

180/
1963/2



საქართველოს
სპორტული

საბოტა
2
1963
სპორტული



საქართველო სულთწინა



თეატრი და მუსიკა
ქილო აკადემიკოსი
ქობინაძე

საქართველოს
ქულტურის
საინფორმაციო
სისტემების
სახელმწიფო

2

საბავშვო ბავშვებისთვის „საბავშვო საბავშვო“

თბილისი

1968

9306





ი. სკრიპკოვი

ინდუსტრია

მთავარი რედაქტორი—ოთარ ეგაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი,
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი,
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,
ვანო წულუკიძე.



რ. სტურუა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების მინისტრის
სამხრეთი

შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის

42 წელი



აბჭოთა საქართველოს ორმოცდარი წელი შეუსრულდა. ეს არის წლები შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის, სიძნელეთა დაძლევისა და ახალი, უფრო მაღალი მიჯნების აღების საამაყო წლები. რამ განაპირობა საბჭოთა საქართველოს, მისი ხალხის ასეთი წარმატებები? რამ უზრუნველყო ჩვენი რესპუბლიკის, მისი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის სულიერი და მატერიალური ბაზისის განმტკიცება?

დიდმა სოციალურმა გარდაქმნამ, ოქტომბრის რევოლუციის ძლევათაშორის გააპარჯებამ, ლენინის მიერ შექმნილი პარტიის თავდადებად და ბრძნულმა კურსმა, რამაც ყოველგვარი პირობა შექმნა ყველა ჩაგრულ ხალხებისა და კლასების გასათავისუფლებლად, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის უღელქვეშ მგმინავი ქვეყნების მონობისაგან დასაღწევად, მართლაც ტანჯული, დამცირებული და დაბეჩავებული ადამიანების ცხოვრების გარდასაქმნელად, მთელი კონტინენტების აწმყოს და მომაღლის შესაცვლელად, ასაღობინებლად.

მუშების ჭარბები, გლეხების მიწა, ადამიანებს თავისუფლება, ხალხებს მშვიდობა — აი, პირველივე ღირებულებები, რომლითაც იბრძოდა ჩვენი სახელმწიფო პროლეტარიატი, ლენინის მიერ დარაზმული, კაცობრიობის ცივილიზაციის დამცველი და გამაღრმავებელი რუსეთის მუშათა კლასი.

ეს ღირებულებები საფუძვლად დაედო ჩვენი ხალხის შრომისა

და ბრძოლას, მის მისწრაფებს დაენგრია ძველი, ძირმომავალი კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც კლასობრივი ანტიგონიზმის, ადამიანი ადამიანისათვის მგელიას პრინციპზე იყო დაფუძნებული, და დამეკიდრებინა ახალი, სრულიად უჩვეულო, ისტორიისათვის ჯერ უხილავი, მაგრამ პროგრესული ადამიანების საცნებო, ბევრი მათგანისათვისაც კი უტოპიად მიჩნეული სოციალისტური ურთიერთობა. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ საფუძველი ჩაუყარა რუსეთის მეფის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხების, დამშინებულ და დამონებულთა ახლებურ, სოციალისტურ, ლენინურ ურთიერთობას, როცა საძირკველი გამოესალა ველიკოდერჟავულ შოვინიზმსა და ადგილობრივ ნაციონალიზმს, როცა შეიქმნა მადლიანი ნიადაგი ახალი ინტერნაციონალისტური დამოკიდებულებისათვის ერებს შორის, დაფუძნდა ლენინური ძიშბა მთელ ხალხებს შორის. განმტკიცდა კავშირი არამარტო პროლეტარულ, მშრომელ კლასებს შორის, არამედ პროგრესულ გზაზე შემდგარ მთელ ქვეყნებს შორისაც.

მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის არც პირველ დღეებში, არც პირველ წლებში მსოფლიოს ჯერ კიდევ არ წარმოედგინა, თუ რა ძლიერ, კეთილშობილურ და პროგრესულ ძალად იქცეოდა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რა დიდ საკაცობრიო იდეებსა და პრაქტიკულ მიზნებს დაისახავდა და განახორციელებდა რევოლუციის ქარცეცხლში შობილი ახალი, სოციალისტური საზოგადოება. მაშინ კიდევ იყვნენ პესიმიზტები, იყვნენ მოწინააღმდეგენი, მაგრამ იყვნენ მოკეთებიც, ვინც იქვისა და რწმენის ჭიდილში მიიღტოდნენ წინ დასახული მიზნის გასახორციელებლად, ძალდონეს არ იმურებდნენ სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, კომუნისტური სამყაროს საძირკვის ჩასაყრელად, კომუნისტური ყლორტების გასახარებლად.

და ამ საპასუხისმგებლო მომენტში, როცა მოწმდებოდა კომუნისტური მოძღვრებისა და სოციალიზმის მშენებლობის პრინციპის სისწორე და სიმყარე, საქართველომაც თავისი პრაქტიკული მონაწილეობით, შრომითა და ბრძოლით იმთავითვე, უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ საერთო მსოფლიო, კომუნისტურ მოძრაობაში, მის რეალურ ხორცშესხმაში და ამაშია ქართველი ხალხის, მისი მუშათა კლასის და გლეხობის, მისი ინტელიგენციის ღვაწლის ფასი და შინძნეულობა.

ორმოცდარი წელიწადია საქართველოს მშრომელები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ავანგარდის დახანა. ამის ნათელი მაგალითია ჩვენი სოფლის მეურნეთა მიწწეები, ის მაღალი, რთული, აქამდე ძნელად წარმოსადგენი, მაგრამ ახლა უკვე გადალახული, ეკონომიური მიჯნების აღება, შემდგენი უფრო მაღალი, საპასუხისმგებლო ამოცანების დასახვა და მის გადასაჭრელად მთელი ძალების დარაზმვა. ამის მკაფიო დადასტურებაა ჩვენი მრეწველობის აარვის მოღვაწეების — მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური აარმის მორალური ენთუზიაზმი, რომლის წყალობით მტკიცე შეიქმნეულ საფუძველზე დაყრდნობილი მათი ნოვატორული შრომა სასაღლო დოღობას ამრავლებს, საერთო საკავშირო სამრეწველო პოტენციოს კიდევ უფრო ამაღლებს. ამის უტურარი გამოვლინებაა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის ფრონტის უღიფხი

მიღწევა, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავება, რაც მოკეთეს ახარებს და მტერს აღონებს.

ვის შეუძლია თვლიდ დახუტოს საქართველოს ხელოვნების ზრდაზე, მისი შემოქმედებით ძალების სიმდიდრეზე. ცოტას რადი ნინუასი ეს ფაქტი, რომ საქართველო თავისი ინტელექტური პოტენციალი, უმაღლესი განათლების მქონე პირების მიხედვით პირველ ადგილზე დგას მსოფლიოში. არის თუ არა ეს ერის აყვავების უმნიშვნელოვანესი საბუთი? რასაკვირველია, არის. განა ცოტას ნინუასი, რომ საქართველოს დედაქალაქს გააჩნია ბრწყინვალე მუსიკალური ინტელიგენცია, მწვენიერი საოპერო თეატრი. არის თუ არა ესეც ერის აყვავების უმნიშვნელოვანი საბუთი? რასაკვირველია, არის. განა ბევრს არ ნინუასი ხალხის ინტელექტურ სამყაროში ისეთი დრამატული თეატრების არსებობა, როგორც არის რუსთაველისა და მარკსანიშვილის სახელობის კოლექტივით თბილისში და ასეთივე კარგი თეატრები ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გორში. ან ვის არ დამაწყვეტებდა ჩვენი საბალეტო დასი, რომელი იტყოდა უარს ჩვენს მხატვრობაზე, ქანდაკებაზე, კერამიკაზე, და ბოლოს ჩვენს პოეზიაზე და პროზაზე, ჩვენს მეცნიერებაზე და მედიცინის მონაპოვარზე, ყოველივე იმაზე, და იმაზეც, ვინც ქმნიდა არა მარტო ხალხის, ერის სახეს, არამედ ვინც წარმოადგენდა კომუნისტების შემადგენელ ნაწილს, მის ყველაზე მკაფიო თვისებას.

უჩვეულო ნაბიჯებით იარა ამ თანოვდაორი წლის განმავლობაში ქართულმა ხელოვნებამ — მუსიკამ, სახეობით ხელოვნებამ, თეატრამ და კინოხელოვნებამ. შეიქმნა ბევრი ისეთი მხატვრობის ტილო, რომლებიც ჩვენი გავიწყობის სურთქვით იყო გამართი და თავის მხრივ ადვილებდნენ და ახალისებდნენ სოციალისტების მშენებელ ადამიანებს, რაზმადნენ მათ ერთ მონოლითურ კავშირად, მიმართავდნენ მათ საკავშირობი იდეას. კომუნისტური შრომისა და ყოფის ჩვევების გასამტკიცებლად. განა პატარა როლი შეასრულა ამ ხნის განმავლობაში ქართულმა საოპერო კულტურამ, რომლის დრისაც დაიწერა ფილიპოშვილის უკვდავი „დაისი“, ალ. მაჭავარიანის „ოტელო“, ო. თაბატაძის „ამინდია“, შ. მკვლადის „ამბავი ტარიელისა“, დ. თორაძის „გორდა“, გ. გილაძის „სინალოვი“, როცა შეიქმნა ლაღო ზეღიაშვილისა და ურა ჯაფარიანის ბრწყინვალე ტილოები, დავით კაკაბაძისა და ლენე ახვლედიანის ნახატები, იაკობ ნიკოლაძისა და ნ. კანდელაკის სკულპტურული პორტრეტები, როცა ჩვენს ცხოვრებაში ავლარდნენ სახელოები ს. ქობულაძის, ქ. მაღალაშვილის, ვ. თოფჩუაძის, შ. შიკაძის, რ. სტურუასის, ბ. ბერძენიშვილის, გ. და ი. ორიაშვილის, გ. ონიანის, ნ. იანჭვიშვილის, თარხან-შორაძის, გ. გაბაშვილის, აქტივობების: უ. ჩხეიძის, შ. დამაშვილის, გ. შავგულიძის, ა. ხორავას, ა. ვასაძის, გ. ანჯაფარიძის, გ. გომიაშვილის, ს. თაყაიშვილის, ს. ჟორჟოლიანის, ვ. კვანტალიანის, შ. ჯაფარიძის, შ. ჩახავას, დ. ჭიჭინაძის, გ. გვეგუაშვილის, გ. მანჯავაძის, გ. მანარაძის, რეჟისორების: გ. მარჯანიშვილის, ს. აბექელიანის, დ. აბაქშიძის, ვ. ყუმიშვილის, ა. ჩხარტიშვილის, შ. თუმანიშვილის, გ. ლორთქიფანიძის, გ. ტაბიაშვილის, ბალეტმაისტრების: გ. ჭაბუკიანის, ი. სუხიშვილის, ნ. რამიშვილის, გ. დავითაშვილის, მოცეკვავეების: შ. კაკაბაძის, ვ. წიგნაძის, მომღერლების — დ. ანდლუაძის, პ. ამირანაშვილის, გ. სოხა-

ძის, შ. ანჯაფარიძის, ნ. ანდლუაძის, ლ. გოციოძის, კინორეჟისორების: შ. კვიციანი, ს. დოლიძის, თ. აბულაძის, რ. ჩხეიძის, დირიჟორების: ი. ფალიაშვილის, ე. მიქელაძის, შ. ანჯაფარიძის, ო. დიმიტრიანის, დ. მიჩქვრუაძის, ვ. ფალიაშვილის, შ. ხურციძის, გ. ანჯაფარიძის.

ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო იმატა ლიტერატურისა და ხელოვნების ფერხალ-გაზრდების რიცხვმა, გამოცემული წიგნების რაოდენობამ, შეიქმნა და მაღალმხატვრულ პოზიციებზე დადგა ტელევიზია, რესპუბლიკაში დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სამხატვრო აკადემია, დისსერვატორია, თეატრალური ინსტიტუტი, მრავალი მუსიკალური და სახეობით ხელოვნების სკოლა და ტექნიკუმი, გამრავლდა სახალხო თეატრების რიცხვი, გაიშალა მისათვლითი მხატვრული თეატრთქმედება, ხელოვნება ღრმად შეიჭრა ხალხის გულში, გახდა მასობრივი, ყვემარტივი ხალხური.

ეს კომუნისტური მოქმედების ხალხისა და პარტიის ერთიანობის საფუძველზე, სამჭოური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის მხრუნველობის შედეგად, ჩვენი ნიჭიერი და გამარჯვებული თვალდამღებელი და შემოქმედებითი ენთუზიაზმის წყალობით.

გაკეთდა ბევრი, მაგრამ გასაკეთებელია კიდევ უფრო მეტი. ასეთია ბუნება ახალი საზოგადოების მშენებელი ადამიანებისა. დღეს უკვე ვეღარ დავაკმაყოფილებ, რაც გვაწყობდა გუშინ. იზრდება ხალხის ესთეტიკური მოთხოვნის დონე, უნდა გაიზარდოს ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის ოსტატობა, მისი მუშაობის ინტენსიურობის მხარეც. ამ მხრივ ბევრის გაკეთება შეიძლება ხელოვნების ყველა უბანზე, თეატრი იქნება იგი თუ კინო, მუსიკა თუ სახეობით ხელოვნება.

ახალი ამოცანები, პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული გეგმები უფრო მეტს მოითხოვენ მხატვრებისაგან, მუსიკოსებისაგან, თეატრისა და კინოს მოღვაწეებისაგან. აშ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა საბჭოთა მხატვრებთან შეხვედრის დღის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხ მიღების ამხ. ლ. ილიჩის მოხსენება ის კონკრეტული სადღისო პროგრამაა, რომლითაც უნდა იხმდებოდნენ ყველა შემოქმედმა, თუ კი მას სურს ღრმად ჩაჟეჟდეს ცხოვრების სულს, სწორად და სისხლსავად ახასის კომუნისტის მშენებელი ადამიანების აზრს, ესთეტიკურ სახეობაში წარმოსახოს კომუნისტის მშენებელი ადამიანების შრომა.

ჩვენი ქვეყნის მშრომლები მაღალი შრომითი ამაჯანებლებით ხელდებიან თავის ერთგულ დღესასწაულს, საბჭოთა საქართველოს 32 წლისთვის, რომელსაც წინ ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძღვის, ისტორია მაღალი ჰუმანობისა და პატრიოტიზმისა, შრომისა და შემოქმედების, სიძნელეთა დაძლევისა და გამარჯვებათა მოპოვებისა. დღეს, როცა რესპუბლიკის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია — შიოლი მისხლბოძის, ყოველ სამტეილ ადამიანთან ერთად, ზეიმობს საქართველოში საბჭოთა ხელოვნების 42 წლისთავს, მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ ააჟმენენ თავიანთ მუშაობას და დაასვენინან: გაკეთდა ბევრი, მაგრამ გეგავითი უფრო მეტი.

ამ იმედით გადადის ჩვენი ხელოვნება ორმოცდაცხამე წელში და, ეჭვი არ არის, ეს დაპირებულ განადგურებული იქნება.

კომუნისტური

იდეალები

ხელოვნებასთვის



ამბოთა ხელოვნების გამალა-განებითარება
საბჭოთა ხალხის, სოციალისტური საზოგადოე-
ბის ზრდისა და გაფორმების არის გაპირო-
ბებულ.

პარტიის XXII ყრილობის, აგრეთვე ნოემბრის პლენუმის
გადაწყვეტილებები საფუძვლად უდევს ჩვენი ხალხის მატე-
რიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლების ამოცანე-
ბის განხორციელებას. ახლა ყველაფერი იქით უნდა წარმარ-
თით, რომ თანმიმდევრულად, შემოქმედებითად ხორცი შევს-
ხათ პარტიის მოთხოვნას — კიდევ უფრო ძლიერი და უხვი
გავხად ჩვენი ქვეყანა, კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი ხალხის,
კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამა-
ნების კულტურის დონე, დაიხვეწოს და კიდევ უფრო გაძლიერ-
დეს მისი ესთეტიკური გემოვნება.

მაგების სულიერი საუქნის გამდიდრებაში, შრომობლი ად-
მიანების გემოვნების ამაღლებაში უდიდესი როლის შესრულე-
ბა შეუძლია საბჭოთა ხელოვნებას, ფორმით ნაციონალურს,
შინაარსით სოციალისტურს, ხელოვნებას, რომლის ამოცანას
შეადგინს ხალხის ინტერესების სამსახური, გასწვლილ კომუნის-
ტური მშენებლობის ტემპებისათვის ხელის შეწყობა, საბჭოთა
ხელოვნებამ თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე უკვე
დღეი დღეა დასდო სოციალისტური საზოგადოების ფორმი-
რების კეთილშობილურ საქმეს. კომუნისტური იდეებით შთაგო-
ბილებით საბჭოთა ხელოვნება, სოციალისტური რეალიზმის მე-
თოდით შეიარაღებული ხელოვნება დიდი არამა მალა პატ-
რიოტული გრძობით აყვებდა და აკვირებს დიდ პროგრესულ
საქმეს, სოციალისტური ურთიერთობის საფუძვლებზე დაყა-
რებული საზოგადოების ადამიანებს წარმართავს ერთი მიზნი-

საკენ, კომუნისმის დიდი შენობის ასაგებად, ისეთი წყობილე-
ბის გასამართლებლად, რომლის დროსაც ადამიანები თავისუ-
ფალი იქნებიან კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილი ომის ში-
ნისაგან, მათი ინტელექტუალური და სულიერი ძალები წარ-
მუდგენლად გაიფორმებება, ქვეყნიერება გათავისუფლდება
წარსულის გადაძინათებისაგან.

საბჭოთა ხელოვნება მით უფრო ახალი, ძნელი, მაგრამ უფ-
რო მეტად საბატიო ამოცანების წინაშე დგას ამჟამად, ნოემბ-
რის პლენუმის შემდეგ, როცა თვითივეს ჩვენგანმა ორჯერ
უფრო მეტი მონდობებით უნდა ვიმუშაოთ და გქმნიდეთ, რომ
უფრო დავაჭართო ჩვენი საერთო მიზნის კომუნისმის გამოი-
ლი მშენებლობის წარმატებით დავაგრძელებთ.

ამ საქმეებში ერთობად მეტი მნიშვნელობა ეძლევა საბ-
ჭოური ხელოვნების იდეურობისა და ხალხურობის პოინციების
წმინდად დაცვის მოთხოვნას, სოციალისტური რეალიზმის მე-
თოდით შემდგომი შეიარაღების ამოცანას, ყოველგვარი ფორ-
მალისთვისა და აბსტრაქციონისთვის წინააღმდეგ დაუნდობელი
ბრძოლის გამსებს, ბურჟუაზიული „ნოვატორების“ რეციდი-
ვისის უკუგდებას.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვისა, მთავრობისა და პარტიის ხელმძღვა-
ნელობის მიერ საბჭოთა მხატვართა გამოფენის ნახვა, ახმ.
ნ. ს. ხრუშჩოვის გამოთქმები და საბჭოთა კავშირის კომუნის-
ტური პარტიის ცვ-ს მდინის ლ. თ. ილიჩოვის სიტყვა ახალ
წარმართულ ნიშანსეკტად იქცა საბჭოთა ხელოვნების შემ-
დგომი განვითარების გზაზე. მთელი საბჭოური მხატვრული
ინტელიგენცია ღრმა კმაყოფილებით შეხვდა კომუნისტური
პარტიის ამ დროულ და მზრუნველ ხმას, რომლის შემდეგ კი-
დევ უფრო მკაფიოდ ჩნდება სახლურები სოციალისტურ და
ბურჟუაზიულ ხელოვნებას შორის, კიდევ უფრო თვალნათლივ
ჩნდება ჩვენი ხალხის ხელოვნების ფასი და მნიშვნელობა, მი-
სი როლი ადამიანების კომუნისტური შეფენების აღზრდის საქ-
მეში.

„თქვენი ძვირფასი საუბარი მხატვრებთან მოსკოვის ცენ-
ტრალურ საგანმდგენი დარბაზში, თქვენ მიერ მიცემული პრინ-
ციპული შეფასება ფორმალისტური ტენდენციების, რომ-
ლებმაც თავი იჩინა ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში —
ეს არის ხელოვნების ლინეური პრინციპების შემდგომი განვი-
თარება და განხტკიცება.“ — ნათქვამია რუსეთის ხელოვნების-
მცოდნეობა და კრიტიკოსთა საერთო წერილობით, რომელიც მათ
გაუგზავნეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ჩვენ ვივით, რომ საბჭოთა ხელო-
ვნების სიდიადე და სილამაზე დანადა ხალხის ცხოვრებასთან
მტკიცე კავშირში, მის მისწრაფებაში ანახვოს ხალხის სული-
ერი სიმდიდრე, მისი შემოქმედებით შრომა, მისი კეთილშობი-
ლური გარჯა. არა ფორმალისტურ მიმბაძელობაში, არა ეგრის-
ბის დატყულობის სულსკვეთებით აღსავსე, ეგრეთ წოდებულ
ხელოვნებაში, უნდა ვიყოთ, არამე კომუნისმის მშენებელ-
თა მდიადი ნილაგაში უნდა ვეცით ნოვატორული შემოქმედ-
ების სათავეში. „თქვენ, ნიკიტა ხრუშის ძე, მოთხოვნის საბ-
ჭოთა მხატვრების ამოცანების, საბჭოთა ხელოვნების განვითარ-
ების შემდგომი გზების შესახებ, პირდაპირი პარტეული სო-
ციალისტური აუცილებლობის მოთხოვნას. ჩვენითვის აქვს უდიდესი
მნიშვნელობა. იგი დავცემამარა ჩვენ ღრმად შევივარდით პასუხის-
მგებლობა, რომლიც გავაგვს მარქსისტულ-ლენინური ესთე-
ტიკის სიმშენისათვის ბრძოლაში, სოციალისტური რეალი-
ზმის მალად პრინციპებისათვის.“

მხატვართა საერთო კრებები ერთხმად უჭერენ მხარს პარ-
ტიის პოლიტკაის ხელოვნებაში, „აბსტრაქტულ ხელოვნებას
არავითარი საერთო არა აქვს საბჭოური სამშობლოს მხატვრულ
კულტურასთან.“ — წერენ რუსეთის მხატვრები.

ასეთსავე ხაზს ადგანან ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა რეს-
პუბლიკის მხატვრებიც. „ფორმალისტური ხელოვნება ხალხს
არ ემისი, არ უყვარს და არასოდეს არ მიიღებს.“ — წერენ
ნ. ს. ხრუშჩოვს უკრაინელი მხატვრები, „ჩვენი გზა პარტიულო-



ს. ართვალაძე

იალაღებზე

ბაში და ხალხურბაშია — ამბობენ ბელორუსები, ამასვე ადასტურებენ აზერბაიჯანელები, სომხები, ქართველები — ყველა, ვინც შემოქმედებითად აშენებს ახალ საზოგადოებას, ისეთს, რომლის ნიადაგში ასე სისხლსასვედ ვითარდება და იფურქვანება ჭეშმარიტად ხალხური, რეალისტური, მრავალფეროვანი ხელოვნება.

ქართველმა მხატვრებმა მთელი გულით შეუერთეს თავიანთი ხმა პარტიისა და მთავრობის მოთხოვნას, ქმნიდნენ და ქმნიან ისეთ რეალისტურ ნაწარმოებებს, რომლებიც სწორად ასახავენ ჩვენს თანამედროვეობას. ამის დამადასტურებელია საქართველოს სურათების გალერეაში მხატვართა რესპუბლიკური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების უმრავლესობა შესრულებულია მაღალ იდეურ დონეზე, ღრმა პროფესიული მიდგომით, დასრულებული ოსტატობით. მრავალფეროვნება ძალზე გამოხრჩვევი თვისებაა ამ გამოფენისათვის, რომელშიც კიდევ უფრო მეტად ვლინდება თვითეული მხატვრის ინდივიდუალური სახე, არ ხდება მხატვართა ხელწერის ნივთიერება, მათი ერთ ხმაზე ამბობება. პირიქით, ნიჭიერი და შრომისმოყვარე საქართველოს მხატვრები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, პოლიფოტოურად ხმაშეწყობილი უძლიერეს შრომას, მარქსისტ-ლენინიზმის იდეებს, სოციალისტურად გარდაქმნილ მიწა-წყალს. ეს არის მთავარი. ამას მოითხოვს ჩვენთან ხალხი, პარტია, ჩვენი სადღესო და სახვადი ამოცანები. მით უფრო მეტად უნდა ვიყიით მომთხოვნი რომ გამოვძვანავ ადგილი არ ჰქონდეს ცრუ ექსპერიმენტულობის რყევადობებს, ფორმით ისეთნაირ გატაცებას, როცა ირღვევა ადამიანის სახის სახეები, გახვიადებულ წარმოსახვევს ნაკეთებს, სინანულისა და გაკვირვების გრანობას შიგნ მხაშველში.

ასეთი ნაშრომები თუცა ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც არის გამოფენაზე და რაც უფრო მცირეა ისინი, მით უფრო თვალთა საცნობარ რეალიზმის პრინციპით შეიარაღებულ მხატვართა აბსოლუტური უმრავლესობის ნაშრომების გვერდით. ამოცანა ახლა მდგომარეობს იმაში, რომ ქართველი მხატვრები

კი არ დამზიდდნენ მიღწეულით, არამედ ერთი შემთხვევაც კი, რომელიც თუხდაც მცირედი მოგავიწყებს ფორმალისმის ელემენტებს, არ გაუფანს კოიტაციის გარეშე. მხოლოდ სადი, მაგრამ ნოვატორული, მხოლოდ ოსტატური, მაგრამ ფართო სუბიექტივი გაკეთებული ტილოები ადვილად ახსნა მათი რეზელს და ამისათვის მზად უნდა იყოს ყოველი მხატვარი და მოქანდაკე.

საბჭოთა ხელოვნება ვერ ურიგდება განწყევლებულობას, აბსტრაქციულობას, ფორმალისმს, ისე, როგორც თვით საბჭოთა ადამიანის ბუნება, კომუნიზმის მშენებლის ბუნება, ვერ ურიგდება არარეალურს. კომუნიზმის მშენებლობა სინამდვილეა. მისი მშენებელი ხალხის ხელოვნებაც უნდა იყოს ცხოვრებისეული, რეალისტური, ისეთივე მრავალფეროვანი და მრავალმეტყველი, როგორც თვით ობიექტური სამყარო, როგორც თვით ბუნება. მაგრამ მხატვრის ამოცანა განა მხოლოდ იმაშია, რომ მის შემოქმედებაში არ იყოს ფოტოგრაფიული ასახვა სინამდვილისა. ეს არა კმარა ხალხისათვის. ხალხი მოითხოვს, რომ ხელოვნება თავისი, მისთვის დამახასიათებელი გრანობებით, უძღვროს სინამდვილეს, თავისი განწყობილებაც ისე განაზოგადოს, რომ პიროვნული ხედვაც ჩანდეს და საზოგადოებრივი მიდგომაც ვლინდებოდეს. ეს ილი ამოცანა არაა, მაგრამ, ვინც ამას ვერ ახერხებს, მას არც მხატვრის, შემოქმედის სახეობის ტარების უფლება აქვს. დიდი მხატვარი მხოლოდ ის არის, ვინც კი არ მიზამავს სხვას, არამედ ხატავს იმას, რაც რეალურია, არსებულია, ხვადიებულია, პროგრესულია.

საქართველოს ხელოვანი — ფორმალის, ქანდაკების, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები თავიანთი შემოქმედების ამოსავალ წერტილად უნდა ისახავდნენ ხელოვნების მასების სამსახურში ჩაყენებას, იმას, რომ იგი გმსახურებოდეს პარტიის იმ ისტორიული გადაწყვეტილებების ხორცენახსნას, რომლის კონკრეტულ საბრძოლო ამოცანები დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნიებრის პლენუმის გადაწყვეტილებებში.



სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიღვისნი ლ. თ. ილიჩოვის სიტყვა
ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავროვის
ხელმძღვანელთა შეხვედრაზე 1962 წლის 17 დეკემბერს

კვანიდეთ

ხალხისათვის,

კომუნისტებისათვის



პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა უსაქანსენელი შეხვედრის დროიდან დაახლოებით ორნახევარმა წელმა განვლო.

ბევრმა წყაღმა ჩაიარა მას შემდეგ, ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ჩვენს ქვეყანაში და საერთაშორისო ასპარეზზე. გაიმართა პარტიის XXII ყრილობა. მიღებულია სკკპ ახალი პროგრამა. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი ლენინური კურსით მიდიან კომუნიზმის გამარჯვებისაკენ. კიდევ უფრო ამაღლდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი.

დღეს ჩვენ კვლავ შევიკრიბეთ, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ აზრები სოციალისტური კულტურის განვითარების იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად გვააღივებს ყველას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილია საქმის ვითარებით კულტურის დარგში — იგი ვითარდება ჯანსაღ საფუძველზე, სწორი მიმართულებით, დროის შესაბამისად. ჩვენი ხელოვნება მარჯვედ ურტყამს საჭირო მიზანში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები, ნოდობით აღსასვლელ და გულახდილი საუბრები საბჭოთა კულტურის მოღვაწეებთან უკვე ტრადიციად იქცა, რომელსაც ყველა იწონებს.

წარსული საუბრები, ყველაფრით ჩანს, სასარგებლო იყო. მათ დადებითი როლი შეასრულეს საბჭოთა კულტურის მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაციაში. დღევანდელი შეხვედრა, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, აგრეთვე სასარგებლო იქნება, ამ კარგი ტრადიციის განვითარებას ემსახურება. იგი უშეშვლია, ხელს შეუწყობს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემდგომ შეკავშირებას კომუნიზმის მშენებლობის კეთილშობილური საქმიანობის სამსახურის ნიადაგზე.

ასეთი საუბარი მომწიფებულად მიიჩნევა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმაც. წამოიჭრა საკმაოდ ბევრი მწვავე იდეოლოგიური საკითხი, რომლებშიც საჭიროა ერთად გავერკვეთ, ცხადვეყოთ თვალსაზრისები, დავაზუსტოთ პოზიციები, რათა კიდევ უფრო წარმატებით ვიაროთ წინ.

ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის იდეური არსენალი უკანასკნელ ხანს შეივსო შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ისეთი შესანიშნავი დოკუმენტებით, როგორც არის XXII ყრილობის მასალები და სკკპ პროგრამა, ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

ახლა თვითეულ საბჭოთა მხატვარს შეუძლია უფრო მეტი სიღრმით შევიცნოს ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დანიშნულება, თავისი ადგილი ხალხის ბრძოლაში კომუნიზმისათვის. ახლა, როცა შევდივით კომუნიზმის გამწვანებულ მშენებლობის ეპოქაში, განუზომლად გაიზარდა მხატვრული ინტელიგენციის პასუხისმგებლობა საბჭოთა საზოგადოების იდეოლოგიური, სულიერი ცხოვრების განვითარებისათვის.

არ შეიძლება არ ვფიქრობდეთ ჩვენი იდეური პოზიციების სიწმინდესა და სიმტკიცეზე, მთავარ მიმართულებაზე, მთავარ ხაზზე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

I

ნ. ს. ხრუშჩოვმა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა ამას წინათ დაათვალიერეს მოსკოველ მხატვართა გამოფენა, ისინი გაეცნენ აგრეთვე ასტრატციონისტი მხატვრებისა და მოქანდაკე ე. ნეიშვესტინის ნაწარმოებებს, იქვე, გამოფენაზე, ეს ნაწარმოებები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მხატვრის ფორმალისტური ნაწარმოებები შეკარდა, მაგრამ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. ყოველგვარ სდ აზრს მოკლებულია აბსტრაქციონისტური

ნათუხენი ტილოზე სხვა არაფერია, თუ არა პათოლოგიური უცნაურობა, ბურჟუაზიული დასავლეთის გახრწნილი ფორმალისტური ხელოვნების უხარბუკი მიხატვა.

„ასეთი „შემოქმედება“ — თქვა გამოფენაზე ნ. ს. ხრუშოვმა. — უცხოა ჩვენი ხალხისათვის, ხალხი უარყოფს მას. აი სწორედ ამას უნდა დაუფიქრდნენ დამაინანებნი, რომლებიც თავიანთ თავს მხატვრებს უწოდებენ, თვითონ კი ისეთ „სურათებს“ ქმნიან, რომ ვერ მიხვდები — ისინი ცაცის ხელით არის ნახატო თუ ვიროს კუთხით ნათუხენი. მათ უნდა შეიგონონ თავიანთი შეცდომები და ხალხისათვის იმუშონ“.

ამერიკა, ნ. ს. ხრუშოვმა და სხვა ამხანაგებმა გამოთქვეს უარყოფითი დამოკიდებულება ფორმალნიზმისა და აბსტრაქციონიზმისადმი, საქმიანად და ძალიან დამაჯერებლად გააკრიტიკეს ფორმალისტური ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ იგი მოწყვეტილია ხალხის ცხოვრების, განზრახ დამახინჯებულად ხატავს სინამდვილეს. პარტიულიობისა და ხალხურობის ღენიწურის პრინციპები ედო და კვლავაც ედება საფუძვლად ჩვენი პარტიის პოლიტიკას სოციალისტური კულტურის განვითარების დარკში.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა მოსკოვში მხატვრებთან მხატვრთა კავშირის მისოკიების განყოფილების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე, რა თქმა უნდა, შემთხვევით როდი მომხდარა.

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, ნიკიტა სერგეისძე ხრუშოვის სახელზე უკანსტელად ხანს მიიღოდა წერილები, რომელთა ავტორები — მხატვრული ინტელიგენციის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები — აყენებენ ჩვენი ხელოვნების განვითარების მწვევე, თითქმის ყველაზე ძირეულ საკითხებს.

რა არის, მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წერილების აზრი? მათი ავტორები მტკიცე გამოთქმებით პროტესტს აცხადებენ იმ ფაქტების წინააღმდეგ, რომ ითვლება რეალისტური ტრადიციები, რომლებიც რუსული კლასიკური და საბჭოთა ხელოვნების დიდებს შეადგენენ. ზოგიერთი მხატვარი, მგალთადა, სულ უფრო ცხადად იჩენს მიდრეკილებას აბსტრაქტული ფერწერისადმი, რაც შემოთოვებს იწვევს, აბსტრაქციონისტები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ — მათრავებთ თავიანთ „ნაწარმოებში“ გამოფენებს, თავმომაბუჭრებლად უწევენ მათ რეკლამას ტექვის შიგნით და გარეთ, თავიანთ თავს ასაღებენ ჭეშმარიტი ხელოვნების ერთადერთი წარმომადგენლებად, ხოლო ყველას, ვინც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგას, აბურხად იგდებენ როგორც „კონსერვატორებს“.

ზოგი ვინმე საუბროდ ხდის იმ მოთხოვნასაც კი, რომ ხელოვნება გასაგები და მისაწვდომი იყოს, ისეთი ხმებიც კი გაისმის, რომ ჭეშმარიტად ნვატორული ხელოვნება მუდამ გაუგებარია, რადგან მასებს თითქოს არ ძალუძთ აღტყვან ხელოვნების თანამედროვე ენა, და რომ მასებისათვის მომუშავე მხატვრების გვერდით შეიძლება იყონ და

კიდევაც უნდა იყონ ცოტათათვის, რჩეულათათვის მომუშავე მხატვრები.

მხატვართა დიდმა ჯგუფმა ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი პლენუმის პრეზიდიუმს მიმართა წერილი. ისინი სწერდნენ:

„ამჟამად ფორმალისტები საუბროდ ხდებიან, როგორც მოძველებულს, ე. ი. ლენინის აზრებსა და პარტიის გადაწყვეტილებებს რეალისტური ხელოვნების შესახებ. თავიანთი გამოსვლებსა და პრაქტიკულ საქმიანობას ფორმალისტები წარმართავენ პარტიის გადაწყვეტილებებით დაგმობილი ფორმალისტური ტენდენციების აღორძინებისაკენ.“

ჩვენ მიგმართათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ვთხოვთ გვითხრას, რა მოქმედდა ამ გადაწყვეტილებებში, თუ ისინი არ მოძველებულა, ამ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ გამოსვლები პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით საჭიროა განხილულ იქნას როგორც რევიზიონისტული, რომლებიც ხელს უწყობენ ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის შემოღწევას“.

ფორმალნიზმის მქადაგებელთა ჯგუფმა, აღნიშნვენი შემდეგ წერილის ავტორები, ისარგებლა რა ისეთი მხატვრების შემოქმედებისადმი არასწორი დამოკიდებულებით წარსულში, როგორც არიან დ. შტერენბერგი, ა. შვერენკო, რ. ფალკი, ა. დრევინი და სხვები, ხელი ჩასჭიდა ახლა მათს ფორმალისტურ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით. ზოგიერთი მხატვარი ამ დროში ცდილობს გაააპაროს ჩვენს სახეთის ხელოვნებაში ამ უკანასკნელისათვის უცხო იდეოლოგია.

და, მართლაც, მისოვლედ მხატვართა გამოფენაზე ხშირად იმართება გატყობებულნი, როგორც ძალიან მწვევე დისკუსია ისეთ საუბრებთან, როგორც არის რ. ფალკის „კამიშვლბლბლ“ და „ნატურმორტი“, დ. შტერენბერგის „ანისკა“ და „ნატურმორტი. ქაშაყი“, ა. ვანსეკოვის „საუზზე“, პ. ნიკონოვის „გეოლოგები“, ა. მოლოგაის ქანდაკებისათ „ედლობა“ და სხვა ნამუშევრებთან.

არ შეიძლება არ დაგეთანხმით გამოფენის დამთვალეობებებს, რომება დიდი უშარკვესობა გმობს ამ სურათებს, გამოთქვას აღმუთოვებას საბჭოთა ადამიანების, მოლიანად ჩვენი ცხოვრების დამახინჯებულად გამოსახვის გამო.

კიდევ უფრო მძიმე, პირდაპირ აუტანელ შთაბეჭდილებას ახდენენ აბსტრაქციონისტთა „ნაწარმოებები“, მაგალითად: ვ. ჰუტკოვსკის „ავტობორტრეტი“, „ტოლკა“, შ. შორის „კოსმონავტივი“, „ნატორტი“, ლ. გრიზოვის „1917-ე“ და სხვები. პროტესტის გრძნობას იწვევს აგრეთვე ე. ნიევესტინის ნამუშევრები „დანგრეული კლასიკა“, „კიბო“ და ზოგიერთი სხვა.

თუ პ. ნიკონოვის, რ. ფალკის, ა. ვანსეკოვის ნამუშევართა ღირსებებსა თუ ანალიზებებზე კიდევ ასე თუ ისე შეიძლება კამათი, იმ ახალგაზრდა აბსტრაქციონისტთა ეგრეთწოდებულ „ტილოებზე“, რომლებს დაჯგუფებული არიან ე. ბელუტინის გარშემო და თავიანთ თავს „მაძიებლებს“ უწოდებენ, საერთოდ საკამათო არაფერია — ისინი ხელოვნების გარეთ არიან, ნოემბერში ამ ფორმა-

ლისტებმა მოაწყვეს თავიანთ „ნაწარმოებთა“ „გამოფენა“. და, რა თქმა უნდა, იქ მისივე განდგენილ უცხოელი სურნალისტები. ისინი ახაკუნებდნენ ფოტოაპარატებს, ატრიალებდნენ კინოკამერებს (მამასადამე, უნდა ველოდეთ, რომ საზღვარგარეთ მალე „გამოვა“ ვარკვეული შუბლის კიდვე ერთი ფილმი), მართავდნენ ინტერვიუებს, შემდეგ კი გაკერვლებით ასწერეს ყველაფერი ეს ბურჟუაზიულ გაზუთებში. ერთი სიტყვით, ცდილობდნენ მოჩვენებინათ, რომ საბჭოთა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში დიდი „მოვლენა“ მოხდა. მერე რისთვის? ცხადია, მხოლოდ იმისთვის, რომ შეურაცხყოფა მიყენებინათ ნამდვილი საბჭოთა ხელოვნებისათვის, დამცირებინათ იგივე!

— აი, ნახეთ: რუბინის რეალისტური ტრადიციების აღსართული დგემაო.

მაგრამ საქმე არა მარტო ის და არც თუ იმდენად ის არის, რომ მოსკოვდე მხატვართა გამოფენაზე წარმოდგენილია ფორმალისტური სურათები, რომლებზეც გამოსახულია რომელიღაც უიმიოდო დაღვრემილი, პირქუში და მახინჯი ადამიანები, რომ წარმოდგენილია სურათები, რომლებიც შესრულებულია ბურჟუაზიული ხელოვნების დაცემოების პერიოდის აშკარა მიზანით. მთავარი ის არის, რომ ზოგიერთი უპირისპიო საბჭოთა კრიტიკისა და თეორიტიკოსის ხობტას სხვადასხვა ფორმალისტა სურათებს როგორც ნოვატორულ სურათებს, ამტკიცებს, რომ მხოლოდ მათ აქვთ არსებობის უფლება, უპირისპირებს მათ ყოველივე საუკეთესოს, ხალისიანს, რაც კი რეალისტურ ხელოვნებას შეუქმნია. ამით სურთ სოციალისტური ხელოვნების მთავარ გეზად გაასაღონ ფორმალისმი და თვით მისი უკიდურესი გამოხატულება — აბსტრაქციონიზმი.

ასეთი „თეორიტიკოსების“ სტატეგია რომ კითხულობ, რწმუნდები, რომ ხელოვნებაში მრავალფეროვნებისათვის უკიდურესი ბრძოლის ესთი ცილოლები დაამყვიდრონ ფორმალისტურის კართოვრე და მრავალფეროვნების დიქტატი, ყოველი ნორმალური, ჯანსაღი ადამიანისათვის უტო გემოვნების დიქტატი.

არის გულისათვის აცხადებენ „მხატვრული თვალის-ახელის“ უკანასკნელ სიტყვად მუჭუბანი ნახოუხანსაც კი.

ჩვენ გვყავს ცალკეული ხელოვნებათმცოდნენი, რომლებიც მზად არიან ამტკიცონ, რომ ჩვენი ხელოვნების თითქმის მთლიანი უფლებურება არასააკმაო ვარკველბა აბსტრაქციონიზმისა, რომელსაც ძალუმს, მათ აზრით, რაღაც ახალი სიციხებლე შობაგეროს სოციალისტურ ხელოვნებას, აქ მდგომარეობის მთელი კომიზმი სწორედ ის არის, რომ დასავლეთშიც კი აბსტრაქციონიზმი გატაცებებს უკვე მთლიან ედება, აბსტრაქციონისტთა გამოფენები ჩაფლავდება ხოლმე, მათს სურათებს დასცინიან, ახიც არის, ადამიანებს თანდათანობით ენილებათ ვთლელი.

ზოგიერთ მხატვარს ეწყენია, საბჭოთა საზოგადოებრიობამ საპარტიოლიანად რომ ვაკერტიკა აბსტრაქციონიზმი და ფორმალისმი.

კაცმა რომ თქვას, რა არის საწყენი? აბსტრაქციონის ტული და მოდერნისტული „ნოვაკაციონი“ ხომ ის მიმდინარეობაა, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ჯანსაღი ხელოვნების დროშა, ეს არის ჩამოშორება საბჭოთა რეალისტურისა და ხელოვნების განვითარების ძირითადი ხაზიდან, ეს არის უარის თქმა ხალხის ცხოვრებათან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მხატვრული შემოქმედების კავშირზე.

თავისი ხალხის რა უვლუბელყოფამდე უნდა მივიდეს ადამიანი, რომ განაცხადოს, ხალხი უკან გახრდილა? იქამდე, რომ აბსტრაქციონისტთა ზემოქმედებით ესმოდეს!

მაინც სადამდე უნდა გაიზარდოს? ჯანსაღი აზრისა და ნორმალური ადამიანური გემოვნების დაკარგვამდე? როგორ შეიძლება მისეღა ჩვენი ხელოვნების შესანიშნავ სოციალისტურ ტრადიციებზე უარისსამხედვე, რომლებიც ბრძოლაში დამკვიდრებული და ცხოვრებით შემოწმებულია? რატომ ითვლება მოწიფვე ნოვატორულ პოზიციად ქედის მონრა ბურჟუაზიული ხელოვნების წინაშე, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით, ცდილობს „ჩაკლას“ ადამიანი. მოაღუნოს მისი ნებისყოფა და ენერგია ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში?

ყველაფერი ბოლომდე უნდა ითქვას. ჩვენს, ასე ვთქვათ, შინაზარად აბსტრაქციონისტებსა და ბურჟუაზიული მოღვების თავიანთმცემებს აშკარა წინააღმდეგობა გამოუვლით პარტიის პროგრამასთან, რომელიც მთელმა საბჭოთა ხალხსა მოიწონა.

ჩვენში ზოგჯერ ცდილობენ არა მარტო ა. გ. ლენინარსკი, არამედ ვ. ი. ლენინიც კი წარმოვიდგინონ აბსტრაქციონისტული „ნოვატორიზმი“ თითქმის მომხრე. ასეთი შეხედულება უმართებულოა ა. გ. ლენინარსკის მიმართ, ვ. ი. ლენინის მიმართ კი ეს პირდაპირ მყრხელობაა.

გაისხენეთ, ც. ცეტკინის საუბარში რა მომაკვდენებელი სარკაზმით ლაპარაკობდა ვ. ი. ლენინი აბსტრაქციონისტთა ნოვატორიზმის პრეტენზიებზე:

„ღიას, ძვირფასო კლარა, ჩანს ისა, ჩვენ ორივენი მოვლუბი ვართ. ჩვენთვის ისიც კმარა, რომ რეკლამიკაში მაინც ახალგაზრდებლად ვჩრებთ და პირველ რიგებში ვიმყოფებით. ახალ ხელოვნებას ჩვენ ვერ დავუწყვეთ, კომპლითი ვაკვევითი უკან.“

ვინ არ იგრძნობს აქ ლენინის სიტყვების გესლიან როინისა არა ვ. ი. ლენინი და პარტია, არამედ მოდერნისტული ჯურის ვანიფორტები ყოველთვის კლემს მიჩანაზლებდნენ და მისჩანაზლებენ მასების რეკლამიკორ — ვერ დამქმნელ საქმიანობას და, მამასადამე, ჭეშმარიტად რეკლამიკორ ხელოვნებასაც. ა. გ. ლენინარსკი, როგორც ცნობილია, ყველა ჯურის მოღვრისტებს ხატუნვად უწოდებდა ბიჭუტუმს, რომლებიც ღრინავლით მირბან პირველი ოცეულის წინ და მასხრულად ღამობენ გამოაჯგურან ნამდვილ ჯარისკაცებს.

II

ფორმალისტური ტენდენციების ვავრცელება, სამწუხაროდ, დაიწყო არა მარტო საბჭოთა ხელოვნებაში, არა-

ბედ მუსიკაშიც, ლიტერატურაშიც, კინემატოგრაფიაშიც. მაგალითად, მუსიკაში საერთო წინსვლასთან ერთად ეხეოდნენ ვატკეცებს სხვადასხვა უცხოური, და არა მარტო უცხოური, ჯახების ვეღური დღეულით. ლაპარაკია არა ჯახური მუსიკაზე საერთოდ, არამედ ბერათა კაკოფონიაზე, რომელსაც ზოგჯერ თავს ატყებენ მსმენელებს და რომელსაც მხოლოდ გაუგებრობით ეწოდება მუსიკა.

კინემატოგრაფიაშიც, სადაც შესაინერგია საერთო შემოქმედებით აღმავლობა, გამომწვეული კეთილშეფოცილი გარდაქმნებით ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, გამოჩნდება ხოლმე იდეურად მოუწონივედგობი ნაწარმოებები, ფილმები, რომლებსაც ახასიათებს განზრახი დახვანაწელობა, ფორმის გართულებულობა და რომლებსაც ამიტომ მაყურებელი უარყოფს.

ზოგჯერ ქვეყნებმა ლექსები და პროზული ნაწარმოებები, რომლებსაც ფორმის ორიგინალობისადმი გამოდევნების გამო, იმის გამო, რომ ხსებენ არ „წაგავდეს“, არა მარტო აცლიან სიკეთესობის დამამყვედელ შინაარსს, არამედ ზოგჯერ უკარგავენ ყოველ აზრს, ამახინჯებენ და ანაგვიანებენ რუსულ ენას.

ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგიერთი მოღვაწე პირდაპირ შეპყრობილია თინით ჩხირკედლაობადეს უკანა ეკოში და არა სურს ხედავდეს, თუ რა ხდება ჩვენი განვითარების გენერალურ მაგისტრალზე.

ცნობილია, რომ სპეციალური დაწინაურების უსებოლი „ტურისტები“, ზურუთაული განხუგების ზოგიერთი კორსპონდენტი ნაღობებზე ჩვენს ქვეყანაში აღმავანებზე, რომლებიც რამითაც უქმყოფილო არიან და უნარი აქვთ ხელში ფანქარი ეჭიროთ. ისინი ცდლობენ ასეთი მიზნუვლებისაგან შეიძინონ ყოველგვარი პასკივლები, რომლებიც ჩირქს სცებენ ჩვენს ცხოვრებას.

ამ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში გამოიცა და ფართოდ იქნა რეკლამირებული ვინმე ალექსანდრე ესენინოვლის წიგნი „გაზაფხულის ფთოლი“. ამ წიგნში მოთავსებულია პრეტენციოზული და უმეცრული „ფილოსოფიური ტრაქტატი“, აგრეთვე ანტისაბჭოთა კაცთმოძულეობითი ლექსები, თითქმის სულით ავადმყოფის ნაპოღვარი.

„ფილოსოფური ტრაქტატიში“ მოცემულია ავტორის „სრულად“, „ანარქია ჩემი პოლიტიკური იდეალია“. მის ლექსში ეს იდეალიც ასე გამოიყურება:

მე არ ვიცი, რისთვის ცხვოვობ
და რა მიზნა მხეცობსაზე,
რომლებიც სახლობენ პოროტ მისკოვოში!“

აღ. ესენინ-ვოლპინი ზოხლდით წერს ჩვენს ახალგაზრდობაზე, შეწუოდებს მას ყველაზე ხშირი საჭეუბის ჩასადენად. ასაზროვებს მას თავის აზრებს „ნაღვლის ბუშის წვენი“ და სძულს რა ქვეყნად ყველაფერი, იგი იზიდავს კი, ვინც მას გაყვება, კარგს არაფერს პირობდა: „დახოცეთ ყველანი“ — აი მისი მოწოდება.

„ამ ბიჭებს შეუძლიათ შევიანონ, რომ სასაცილოა სიყვარული არ რწმენა, რომ მათი ტირანები არიან დედა და მამა, და დიდი ხანია ისინი დასახოცები არიან! ამ ბიჭების ბოლოა მარწყუი, მე კი არა ვინ არ დამღებს მსჯავრს, —

და ამ ლექსს წაიციხავენ
კრები ასი წლის შემდეგ!“

რა არის ეს, როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა დაწეროს, ხოლო ვიღაცამ გამოცხადოს ასეთი ლექსები? მაგრამ სწორედ ამ ღვარძლიან ნაჯღაბს, რომელიც ყოველი ჯანსაღი ადამიანის ზონის იწვევს, ჩვენი მტრები ხოტბას ასხამენ. დიხაყც იგი ხომ გამსჭვალულია მხეცური სიძულვილით საბჭოთა საზოგადოებისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. საზღვარგარეთ და ესენინ-ვოლპინის წიგნს „მოჯახანე“ საბჭოთა ახალგაზრდობის ახალი თაობის „მინიფესტად“ ასაღებენ.

რა თქმა უნდა, სისულელე, ეს ვარწუფარი არავის ვარამოდგენელი არ არის. ეს მხოლოდ და მხოლოდ ძირმომპალი შხამიანის სოკოა.

მაგრამ მისი ყოველმხრივ უზადრეკი ნაჯღაბის ვარწმომ ატეხილი ფუსფუსი ფრიად დამახასიათებელი და სიმბოტოტურია. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენდამი მტრული პროპაგანდა ყველა საშუალებას მიმართავს, ცდლობს დაეთესოს სუბტეტიკის შხამი, თავგზა აუბნისო გაუწაფავადამიანებს, გააჩალოს არაჯანსაღი მოვლენები და ტენდენციები ჩვენს ხელოვნებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შემოქმედებაში, ერთმანეთს წააკიდოს თაობები, დაუპირისპიროს ერთმანეთს „მამები და შვილები“. ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი რაც ძალი და ღონე აქვთ გაპყვირან „ახალ ტალღაზე“, „დისონანსის შემტან ხმებზე“, საბჭოთა ხელოვნების „კრიზისზე“.

საბჭოთა კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეები, რომლებიც ამაყად იღებენ უფროს თაობათა ესტაფეტას, უარყოფენ ღვარძლიან მონაქორსა და ინსინუაციებს. მაგრამ საჭიროა ფიხეული და შეურიგებელი ვიყოთ ყოველგვარი არასწორი ტენდენციებისა და იდეური მერყეობისადმი, ვეახსოვდეს, რომ ფორმალისტური ჯამბაზობა უწყინარი ცეკლეობა არა, ხელოვნებაში უცხო იდეოლოგიის წინაშე კაბიტულანტობაა. საჭიროა კვლავაც მაღლა გვეჭიროს სოციალისტური რეალიზმის დროშა.

მთლიანად ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება სწორი მიმართულებით ვითარდება. ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია პარტის ერთგული თანაშემწეა სამყაროს კომუნისტურ გარდაქმნაში, შრომობლთა აღზრდაში. მაგრამ სწორედ ამიტომ შეუწყინებელია ყოველგვარი გადახევა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზიდან. მათ პროტეტული ხეზღობა და შეხედება ჩვენი ხალხი, რომელსაც უნარი აქვს ნამდვილი სულიერი ღირებულებანი განასხვავოს იდეური სიყაბლისა და მხატვრული სუროვატებისაგან.

მამ რატომ არის, რომ ჩვენს სახეობს (და განა მარტო სახეობს?) ხელოვნებაში ზოგმა ვინმემ დაიწყოს სოციალისტური რეალიზმის პრინციპული პოზიციებიდან გადახევა და იმ მიზნარეობათა მიზნადა, რომლებიც ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც ყოველდღე უსამი მიწვევა-გრება?

ჩანს, ამგვარი მოვლენები შემთხვევითი არ არის. ისინი მოწმობენ, რომ ზოგიერთ ამზანაკს არასწორად ესმის ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლის ხასიათი, ზოგ-

ჯერ იფიქრებს ჩვენი იდეური პოზიციების შეფირავლობასა და უკომპრომიზობას.

უნდა გვახსოვდეს როგორც უცილობელი ჭეშმარიტება, რომ ხელოვნების ყოველთვის აქვს იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა, იგი ასე თუ ისე გამიხივებს და იცავს გარკვეული კლასებისა და საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს. და როდესაც ხელოვნებაში ამა თუ იმ მიმდინარეობას ვხვდებით, ბუნებრივია, პირველ კითხვად წამოიჭრება: ვის ინტერესებს ეს სახურება იგი, საით მოუწოდებს, რა სოციალურ იდეალებს ამკვიდრებს?

თუ მივხინჯაობთ აბსტრაქტული ხელოვნების არსს, აქ არ შეიძლება ორი აზრი იყოს: იგი ხალხის ინტერესებს არ ემსახურება, მშრომელთა განწყობილებას არ გამოხატავს, იგი ნაწარაუდევია სიციხეხეივანი მთის მიხინჯი გემოვნების დასატკობად.

მართლაც, შეიძლება თუ არა აბსტრაქციონიზმი, საერთოდ დეკადენტური ხელოვნება იყოს პროგრესული კლასების დროშა, მით უმეტეს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დროშა? პასუხი აქ მხოლოდ ერთია: ცხოვრებას მოწყვეტილი ხელოვნება არ შეიძლება ემსახურებოდეს ცხოვრების გარდაქმნას, მომავლადეი კლასის სულიერი იარაღი გამარჯვებისაკენ მიმავალი კლასის ბრძოლისუნარიანობას ვერ ამაღლებს; ძველი საზოგადოების დაღმის პოლტეტებისაგან კომუნიზმის კულტურა ვერ შეიქმნება.

ზოგჯერ ამბობენ: განა შეიძლება საბჭოთა წყობილების გრძელვადიანი დადგინა ვუსაყვედურებდეთ სოციალიზმის მიმართ მტრული კლასების ინტერესებისადმი სამსახურის მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ, ვთქვათ, მისი შემოქმედებითი მეთოდი როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰკავს ჩვენი თვის უცხო ხელოვნების მეთოდებს? თვითონ მხატვარს ხომ არა სურს ზიანი მიავენოს ჩვენს ქვეყანას, რომლისთვისაც იგი, შესაძლოა, ომში სისხლსა მღვრიდა, იგი საუკეთესო განზრახვებით ხელმძღვანელობს!

პრობლემის სირთულე სწორედ იმაშია, რომ მხატვრის სუბიექტური განზრახვები ყოველთვის იგივე როლია, რაც მისი შემოქმედების ობიექტური აზრი. მხატვრის კეთილი განზრახვები სრულყოფილად არ გამოიყვანება იმას, რომ სინამდვილეში, ობიექტურად მის ნაწარმოებებში მტრული კლასების ინტერესებს ემსახურებოდეს.

გაიხსენეთ, რას სწერდა ვ. ი. ლენინმა ვ. გ. გორკის დიდი პროლეტარული მწერლის იდეური მერყეობის პერიოდში. „თქვენი კეთილი სურვილი. — სწერდა ვლადიმერ ილიან-ძე. — თქვენს პირად კუთვნილებად, სუბიექტური „წყინარ სურვილად“ ჩნება. რაკი დაწერე, იგი მას ახსი წაივია, და მისი მნიშვნელობა თქვენი კეთილი სურვილით კი არ განისაზღვრება, არამედ საზოგადოებრივი ძალებით თან ახლავს და რა თქმაობა, კლასთა ობიექტური თანაფარდობით“.

რა კეთილი განზრახვებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ჩვენი ფორმალისტური ხელოვნებაში, ისინი მთავლენი არიან მტკიცედ ახსოვდეთ ლენინის ბრძნული ვაჭრობილებად, ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ კო-

მუნიზმის იდეურ მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ გამოიყენონ და უკვე იყენებენ მათს შედომებს საბჭოთა ხალხისადმი მტრული მიზნებით.

III

მას შემდეგ, რაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დათავალერეს საზოგადოებრივ გამოფენა მანქანი და გამოთქვა კრიტიკული შენიშვნები აბსტრაქციონისტებისა და ფორმალისტების მიმართ, შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ ნაწილში დაიწყო ხმების გაერკვლება, რომ ის იხვე დაიწყო ლაშქრობა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ხელოვნებაში ახალ ფორმებს, ახალ გზებს ეძებნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის სახელო შემოვიდა არამდინევი წერილი, რომელშიც გამოთქმულია ასეთი აზრი: გააკეთეთ ყველაფერი, რომ არ გაემორღვს ის, რასაც სტალინის პიროვნების კულტის პერიოდში ჰქონდა ადგილი.

მოვიყვან ზოგიერთ ამონაწერს წერილიდან, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოგზავნა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფმა. ავტორები წერენ: „ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძვე!“

მოგმართათ თქვენ როგორც იმ ადამიანს, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სტალინური თვითნებობის აღმოსაფხვრელად.

ჩვენ სხვადასხვა თაობის ადამიანები ვართ. ვმუშაობთ ხელოვნების სხვადასხვა დარგში, თვითელ ჩვენგანს თავისი გემოვნება, თავისი მხატვრული მრწამსი აქვს. თქვენდამი ამ მომართავში ჩვენ გაკვეთილიან საბჭოთა ხელოვნებისა და საბჭოთა კულტურის მომავლისათვის ზრუნვამ“.


წერილი შემდეგ ნათქვამია:

„ჩვენ სინარულით ვხვდავდით, როგორ ახორციელებს პარტია ლენინის სულისკვებით: თავისუფლებისა და სამართლიანობის აღდგენას. არქიტექტურის ახარებს იმის შესაძლებლობა, რომ აშენონ თანამედროვე სახლები, მწერლებს — იმის შესაძლებლობა, რომ წერონ სიმართლით აღსავსე წიგნები; მუშეობის სუნთქავენ კომპოზიტორები და თეატრის მუშეები; ჩვენი კინემატოგრაფიან ახლა ქმნის სხვადასხვა მხატვრული მიმართულების ფილმებს, ისეთ სურათებს, რომლებსაც გაეცხიბა და აღიარებთ შეხვდნენ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას.“

ცმაყოფილება გამოთქვას რა მოსკოველ მხატვართა გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, რომელზეც წარმოდგენილია სხვადასხვა მიმართულების მხატვართა ნაწარმოებები, წერილის ავტორები აღნიშნავენ:

„ასეთი გამოფენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ პარტიის XX და XXII ყრილობების შემდეგ. ჩვენ შეიძლება სხვადასხვა მიმართულების მხატვრული გამოფენაზე წარმოდგენა ამა თუ იმ ნაწარმოებს. თუ ყველანი მოგმართათ ამ წერილით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გვირდა მთელი გულწრფელობით ვთქვათ, რომ თუ სხვადასხვა მხატვრული მიმართულების არსებობის შესაძლებლობა არ არის, ისე ხელოვნება განწურდება დასაღუბავად.“

ჩვენ ახლა ვხვდებით, თუ როგორ იწყებენ გამოფენაზე



თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვების განმარტებას მხატვრები სწორედ იმ მიმართულებისა, სტალინის დროს ერთადერთი რომ ჰყვოდა, სხვაზე კი არც მუშაობას ანებებდა და არც თვით სიცოცხლეს.

ჩვენ დრამად ვგვაჩვენ, რომ თქვენ ეს არ გინდოდათ და რომ თქვენ ამის წინააღმდეგ ხართ, ჩვენ მოგმართავთ თხოვნით შეაჩეროთ სახეივო ხელოვნების სფეროში მომხრეება წარსული მეთოდებისაკენ, რომლებიც ჩვენი დროის მივილი სულისკეთების საწინააღმდეგეა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მიღებულ იქნა დაახლოებით ასეთვე წერილი, ზოგიერთი ვარიანტით, რომელსაც ხელს აწერდა ამხანაგების სხვა ჯგუფი. წერილი, სხვათა შორის, ხელოვნებაში ყველა მიმართულების „შვეიციური თანა-ტრუნობისაკენ“ მოწოდებასაც კი შეიცავდა, რაც ობიექტურად იხე ვაისმის, როგორც მოწოდება მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ იდეოლოგიის სფეროში.

მაგრამ იმ ამხანაგებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ უთანაცნელ წერილს, აღბათ, ერთხელ კიდევ კარგად რომ აწონ-დაწონეს ყველაფერი, გადაწყვიტეს უკან წაეღოთ ეს წერილი, დაბრუნეს იგი. მათ, ეტყობა, ჯერონად აღ მოუფიქრებიათ თავიანთი წერილის ყველა დებულება, და იგი უნდა მივიჩნიოთ არა დოკუმენტად, არამედ დოკუმენტის შვე მონასხად, ესეივად.

მაგრამ რით არის გამოწვეული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ასეთი დოკუმენტად სკაპ ცენტრალური კომიტეტისადმი?

შეგვიძლია ეგვი არ შევიტანოთ — ისინი გამოწვეულია მათ ზრუნავით საქმის დიხარებისათვის ლიტერატურისა და ხელოვნებაში, გულწრფელი სურვილით — ხელი შეუწყონ მათ წარმატებით განვითარებას და აყავიყვან. მაგრამ წერილების ავტორები, როგორც ჩანს, ერთმანეთში ურევენ ორ სხვადასხვა საკითხს: ლიტერატურისა და ხელოვნების იმ მოღვაწეთა შემოქმედებით თანამეგობრობას, რომლებიც მარქსისტულ-ლენინურ პოზიციებზე დგანან და ხელოვნებაში სხვადასხვა უცხო იდეოლოგიური მიმართულებისადმი დამოკიდებულებას.

ერთია ლიტერატურისა და ხელოვნების იმ მოღვაწეთა შემოქმედებით თანამეგობრობა, რომლებიც, თუმცა სხვადასხვა სტილი და შემოქმედებითი მანერა აქვთ, სოციალისტური რეალიზმის ფარგლებში დგანან და სწორი თანაარსებას ახსავენ ცხოვრებას. პარტია მხარს უჭერს ასეთ თანამეგობრობას, უადრესად ამხანაგურ. ნამდვილად ძმურ ურთიერთდამოკიდებულებას ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვადასხვა რაზმებს შორის.

სოციალისტური რეალიზმი თანამეგობრობის, შემოქმედებითი შეჯიბრების ფართო შესაძლებლობას უქმნის სულ სხვადასხვა მხატვრებს: ჩვენს ხელოვნებაში განზობილებულ-რომანტიკული მიმართულების მომხრეებსაც და ზუსტ ანალიზურ და სხვა სტილურ მიმდინარეობათა მომხრეებსაც. თუ ასეთი თანამეგობრობა არ იქნა, ისე ვერ განვითარდება ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა, ჩვენი საბჭოთა ხელოვნება.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ

ხელოვნებაში ერთმანეთისადმი ისეთ დაპირისპირებულ იდეოლოგიურ მიმართულებათა თანამეგობრობას, „შვეიციური თანაარსებობას“, როგორც არიან სოციალისტური რეალიზმი და აბსტრაქციონიზმი, რომლებიც ასახევენ საბოლოო ანტიარმით ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ არა მარტო იდეურ-ესთეტიკურ, არამედ პოლიტიკურ, კლასობრივ პოზიციებსაც.

უნდა შევიტანოთ სრული სიყვარული: — სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის შვეიციური თანაარსებობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. პარტია გამოდიოდა და კვლავაც გამოვა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყოველ მისი გამოწვევების წინააღმდეგ. ასრულებს რა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითებებს, იგი ყოველთვის იცავდა და დაიცავს პარტიულობას ლიტერატურისა და ხელოვნებაში.

პარტია მტკიცედ და შეურყეველად უჭერდა და უჭერს მხარს ლენინურ კურსს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში.

იდეოლოგიის განაღებულა და წუთითაც არ ყოფილა ბრძოლა ბურჟუაზიულ სამყაროსთან, ბრძოლა ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულისა და გონისათვის, ბრძოლა იმისათვის, თუ როგორი იქნება ისინი, ახალგაზრდები, რას აიღებენ წარსულიდან, რას წაიღებენ მიმავალში. ჩვენ უფლება არა გვაქვს გამოვიჩინოთ შეუფასებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის დიარისიების საშინორობისადმი ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროშიც.

იდეოლოგიის სფეროში თანაარსებობის იდეა სინამდვილეში სხვა არ არის არა. თუ არა დაღმტყობი მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერესებისადმი, სოციალისმის ინტერესებისადმი.

ხელოვნებაში კი ზოგჯერ ეხვდებით კლასობრივი, პარტიული პოზიციებიდან გადახვევას, ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შერიგების ფაქტებს. ეს თავის ვაშობატულებას პოულობს, ტყობოდ, „საერთოსაკაცობრიო საწყისს“ ყალბ განმარტებით, აბსტრაქტული ჰუმანიზმის, ერთგვარი ქრისტიანული ყოვლისაბიტიების ქადაგებით: ვითომ არც ერთმანეთისადმი მტრული კლასები არიან, ერთ კლასობრივია მსოფლიოში, თითქოს არც კომუნიზმისათვის ბრძოლა!

ჩვენ, კომუნისტები, მემკვიდრეობით ვიღებთ და ვამრავლებთ ყველა ნამდვილ საერთოსაკაცობრიო ფასეულობას, რომელსაც მესაკუთრულ საზოგადოებაში ამხანაგებმდე და ასახირობებდნენ. მაგრამ ჩვენ ვადაპტიოთ წინააღმდეგი ვართ საერთოსაკაცობრიოს არაკლასობრივი განმარტებისა, წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ კომუნისტური პარტიულობა, მებრძოლი სოციალისტური ჰუმანიზმი კლასობრივი ზავისა და ყოვლისაბიტიების ყალბი ქადაგებით შეიცვალოს.

ჩვენს ეპოქაში ნამდვილი საერთოსაკაცობრიო სწორედ კომუნისტურია, ვინაიდან სწორედ კომუნისტურ საზოგადოებაში ყველაზე სრულად ვითარდება პიროვნება, ადამი-

ანის ყველა საუკეთესო თვისება. ამიტომ არ შეიძლება გათქვიფოთ ჩვენი კომუნისტური იდეალები რაღაც აბსტრაქტულ და არაკლასობრივ ცნებებში, ვინაიდან ეს გარდევალად იწვევს ჩვენი იდეური პოზიციების დათმობას.

საკვ ცენტრალურ კომიტეტში გამოგზავნილ წერილში ახლა გვხვდა აბსტრაქციონისტ მხატვართა ჯგუფი ირწმუნება, რომ ისინი თავიანთ ვაზს ეძებენ სოციალისტურ ხელოვნებაში და რომ თუ ისინი ძიება არა, ის თითქმის შეუძლებელია წინსვლა. ასეთი აბტკიცებენ, რომ მათი მისწრაფება სახელე გაუთქვან „რუსი ქალის სისხტაკეცს“, გაამობატონ „კოსმოსის დამპყრობი საბჭოთა დამაინანის სიამაზა“.

რუსი ქალის სისხტაკეცის და სილამაზის გამო უნდა ითქვას, რომ საკმარისია შეხედოთ აბსტრაქციონისტთა ობჟექტს, რომ დარწმუნდეთ, თუ რა უხამსამამდე შეიძლება მივიდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი თვის უცხო მოდის გამოსდევნება, რაც შეეხება „ძიებას“, გვინდა ვთხოვათ აბსტრაქციონისტებს: თქვენ კი არ ეძებთ, არამედ თქვენ მოგებენ და გაკვირდით, სწორედ თქვენს ფორმალისტურ „ნაწარმოებებში“ ცდილობენ ჩვენი მტრები მოიპოვონ პავლადარმი კომუნისტურ იდეოლოგიაზე იერაშების სათვის.

ასეთ რამებზე უნდა ჩაუფიქრდნენ არა მარტო ახალგაზრდა ფორმალისტები, არამედ მათი დამცველები და სულსჩამდგმელებიც.

IV

პარტია ახორციელებს საბჭოთა საზოგადოებაში დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების კურსს.

ვის შეუძლია უარყოს, თუ რამდენად უფრო თავისუფალი, უფრო შემოქმედებითი ვახდა ჩვენი ცხოვრების მთელი ატმოსფერო, რა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ჩვენი მხატვრული ინტელექციის მუშაობისათვის. მაგ. რამ უნდა არ არიან ხელოვანების მოღვაწეთა შორის, უფრო ზუსტად, ხელოვნების ვარსშემო მოფუსფუსეთა შორის. ისეთი ადამიანები, რომლებსაც უნდათ ისე წარმოადგინონ საქმე, თითქოს დადგა მოაზარების ტი ელემენტების დაუსუჯელი თავნებობის ხანა?

— თბილისში ჩვენი ბინა არ არის სამუშაოდ მარჯვე —
 წუსდა პოეტტი — მასალები ვერ დამიკრეფებია წესიერად. ხომ
 ნახე, რა არეულობა იყო დღეს. რუსეთიდან ჩემი მეგობარი
 მწერლები ჩამოვიან... სახლში ვერ მიმიპატიათა, შერიდება...
 — ახალ ბინაზე იზრუნეთ, თქვენთვის არ იქნება ძნელი...
 — დრო და ზღაფორითი უნდა... ისე კი მაინც ვფიქრობ...
 მატარებელში მგზავრების ჩასხდობა დაიწყო. გალაკტი-
 ონს რბილ გავიწიმი ავეყვი, კარგახანს მესაუბრა, რამდენიმე
 დავალება მომიცა და მითხრა:

— ახლა გული მწვიდად მაქვს... დაბრუნდი შინ. აბა, გა-
 მარჯვებითი გნახე!

გადავკოცნე და კითლი მგზავრობა ვუსურვე.

* * *

ვასუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე ცხოვრობდა ძველი სახო-
 გადო მოღვაწისა და მწიგნობრის შვილი მძებდაგი-მგზანქანე
 ნინო მელიტონის ასული კვლენჯერეძე. ეს იყო განათლებული
 მანდილოსანი, რომელიც მშვენიერად ბეჭდავდა ქართულად
 გალაკტიონის ხელნაწერებს თუ რუსულად — პუკადიდებს.
 პოეტტი კარგად იცნობდა ნინოს ოჯახს და ნინოს გადაბეჭდი-
 ლი ტექსტები მოსწონდა.

კარგად უბეჭდავდა აგრეთვე ქართულ ნაწერებს მარინე
 ტრონიძე (ქურნალ „საქთოთა ხელოვნების“ რედაქციაში),
 რომელთანაც სასწრაფოდ გადასახტედ მასალას გამატანდა
 ხოლმე. იცოდა, რომ ახალგაზრდა ქალი ყველა სამუშაოს გა-
 დასდებდა და პირველ რიგში გალაკტიონის ლექსებს მოე-
 ლიდა.

— ახლა ჩავუსდეთ და ჩავასწოროთ!.. მერე ნიყო მშვე-
 ლიძეს ჩავაბაროთ — მეტყოდა პოეტტი, როდესაც გადაბეჭდილ
 „ხელნაწერს“ მივეტანიდი შინ და ჩავუსდებოდიდი ხოლმე...
 გადიოდა დღეები, საღამოები და ერთ მშვენიერ დღეს მას
 ხელმწიფო გამომეცემლობაში შევივლიდით. მსატერული ლი-
 ტერატურის რედაქციის გაბეჭ (ამჟამად ქურნალ „ნინანის“
 რედაქტორი) ნიყო მშველიძე მუდამ გულითმიად მითვებდა
 გალაკტიონს, დასაბეჭდად გამზადებულ მის წიგნს ჩაიბარებდა,
 კარადში დააბინავებდა და ღიმილით ეტყოდა: „პატრცემე-
 ლო გალაკტიონი, არ მოვაკლებ ცდას, რომ თქვენი წიგნი დრო-
 ზე გამოვიდეს“.

— ნიკოს ტბიბური ქართული სახე აქვს, აბა, დააკვირ-
 დი!.. საქმითაც კარგი ქართველია, ღირსეული და საიმედო
 კაცია — მეტყოდა, ქუჩაზე რომ გამოვიდიდით.

კაცის ვიწებამი გალაკტიონი ტუნწი იყო. იშვიათად მოეს-
 წინებოდა შინზე, უფრო იშვიათად დაუასლოვებოდა. პოეტის
 მოღვაწეებთან ახლო დამოკიდებულებაში იყო აგრეთვე „ზა-
 რია ვოსტოკას“ გამომცემლობის მუშაკ მარკ ზღატკინთან.
 პატრცისცემით ასხენებდა და მჭეობობდა. ამავე გამომცემლო-

ბაში რუსულ პწკარედებთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ მო-
მიხდა შეხვედრა და საუბარი ჩვენს ცნობილ კრიტიკოს ბესა-
რიოს ქლუბთან. გალაკტიონი მისი სიტაბუკის მეგობარი იყო
და ბესარიონი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა პო-
ეტის ლექსების რუსულად გამოცემას.

საქართველოს მწერლების კავშირში გალაკტიონს, რა თქმა
უნდა, ჰყავდა მეგობრები. მათგან შედარებით ახლოს გაცნო-
ბა შომიხბა ლიტერატურულ კონსულტანტ თამარ ანდლუ-
ლაძესთან. მასთან მიმავალს პოეტი გულთიად მოეოთხვას და-
მაგალენდა და ყოველთვის მოწიწებით ახსენებდა, როგორც
საქმის მცოდნესა და პოეზიის პატრიოტ მანდილოსანს.

ახალგაზრდებიდან გალაკტიონთან ახლო დამოკიდებულე-
ბაში იყვნენ ფ. ნიშნიანიძე, ვ. გურგენიძე და რამდენიმე პოეტი
და მწერალი. ნიშნიანიძის ქალი ხშირად გამოდიოდა გალაკ-
ტიონის შეხვედრა-სადამოებზე და კითხულობდა მოხსენებას
თემაზე — „ცნობილი ადამიანები გ. ტაბიძის შესახებ“, ხოლო
ვახტანგ გურგენიძე საქართველოს რამდენიმე კუთხეში მოგზა-
ურობისას თანახლდა პოეტს და უამრავი ფოტოსურათი გადა-
უღო.

გალაკტიონის თავისებურ ხასიათს შეიძლება მივაწეროთ
ის გარემოება, რომ ზოგ რედაქციაში არასოდეს შეუვლია, ბევრ
რედაქტორს არც იცნობდა პირადად. მაგრამ რედაქტორებს
შორის მეგობრებიც ჰყავდა. მათდან უბრალო და გულახ-
დილი იყო, ყველაფერზე საუბრობდა და რჩევასაც ეკითხე-
ბოდა.

შორეული მეგობრებიც ჰყავდა ჩვენს გალაკტიონს. მახ-
სოვს, 1957 წლის ზაფხულში ავტოთი მოქროლდა ჩვენსას და
სწრაფად ამოვიდა კიბეზე. მთელ ოჯახს გვავარა, ჩეხოსლოვა-
კიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ზაპოტოკის (აწ
განხვანებული) წერილი გადმომცესო ჩვენმა ტურისტებმა. ეს
იყო საპასუხო წერილი გალაკტიონის ბარათზე, რომელიც თან

ახლდა პრეზიდენტისათვის გაგზავნილ ლექსების კრებულს.
გალაკტიონმა გვიამბო, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი მან და
ა. ზაპოტოკიმ მოსკოვში 1929 წელს კომინტერნის მეექვსე
კონგრესზე, როგორ დამეგობრდნენ და ერთად იმოგზაურეს
საბჭოთა კავშირის შინაშენლოვან რაიონებში, ხოლო შემდეგ,
გალაკტიონის თხოვნით, პრეზიდენტი მეუღლითურთ ჩამოვიდა
საქართველოში და პოეტის თანხლებით დათვალიერა თბილი-
ისის მიდ-მოიები (დაწერილებით იხ. „მნათობი“, 1960 წ.,
№ 3, ფ. ნიშნიანიძის — გ. ტაბიძე და ა. ზაპოტოკი“).

* * *

სიტაბუკის წლების მეგობრებიდან გალაკტიონს აფონდებო-
და ხოლმე თავისი პირველი კრებულის რედაქტორი პუტკუ
გვარამია, რომელმაც 1914 წ., ქალაქ ქუთაისში, გა-
მოსცა ეს წიგნი. გალაკტიონის გადმოცემით, დასაბეჭდოდ
გამზადებული ხელნაწერები მოპარეს პოეტს და ორ-სამ დღეში
ჩაეუჯექო და ახალი ვარიანტებით წარედგინეთ. პ. გვარამიას
მოწიწებით ახსენებდა, როგორც მისი გზის პირველ გამკვლე-
სა და დიდ მოამბაგეს.


პოეტის მოგონებათა არეს არ სცილდებოდა ქუჩუ ქავთა-
რადისა და თელი სახოკიას სახეები. ეს უკანასკნელი, უკვე
დრმად მოხუცებული მწერალი, გალაკტიონმა პოეტ იასამა-
ნის — მიხეილ კინწურაშვილის — დაკარღლისას გამაცნო,
მკერღთან იხუტებდა და ეფერებოდა.

მომქმ ერების პოეზიას გალაკტიონი მუღამ თვალს ადევ-
ნებდა. სომეხი პოეტებიდან საამაყო მეგობრად მიაჩნდა ავეტი
ისააკიანი.

ს. ესენინი, მ. გორკი, მ. პასტერნაკი — აი, გალაკტიონის
რუს მეგობრების არასრული სია. აქვე უნდა ვახსენოთ ნ. ტი-
ხონოვი და ი. ერენბურგი, რომლებთანაც პოეტს ხშირი შეხ-
ვედრები და ამზანაგური მიწერ-მოწერა ჰქონდა.

მ. გაბუნია

პირველი ფოლადი





ს. ხომასურიძე

მანდილოსნის პორტრეტი

გამოუმჯობესებელი სურათები

ეთერ ლორთქიფანიძე

ეს იყო თვითმპყრობელობის მძიმე წლებში, იმ წელსაც მოუსავლანობა დაღვრა რაჭაში, სეტყვამ გაანადგურა ადამიანების ნაოფლარ-ნაამბარი. ჯერ ისედაც გაჭირვებული გლეხობა შიშით ძრწოდა იმშვილის მომლოდინე.

გამოსავალი არ იყო. არჩევანი არ ხერხდებოდა... და აი, მეწყერივით დაეშვა ბარში ლომბული და

მკლავმავარი რაჭველობა, რომელიც შვიერ-მწყურვალნი მოეფინენ ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებს... მაგრამ არც ქალაქი შეხვდა მათ მეგობრულად, ქალაქსაც თავისი ხარები აწუხებდა.

სამუშაოს შოვნა ძნელი გახდა, ათავდა მუშახელი.

ოქტომბრის სასიამოვნო დილას უხალისოდ მომავალ ვაკეებს დარდი აწუხებდა. მეორე დღეა სიკო

ხომასურიძეს პირში ლუცმა არ ჩაუდგია, კაბიცი ფული არ გააჩნია... შორს, ზემო რაჭაში, სოფელ ქრისტისში კი მიტოვებულია ცოლი, პატარა ბავშვები, ისინიც მშვიერ-მწყურვალნი, ნახევრად შიშველ-ტიტველნი, მისი მიომედენი და მისგან დახმარების მომლოდინენი. რა ქნას საბრალომ, როგორ იშოვოს სამუშაო და თავშესაფარი?!

სავაჭრო უბანში დარაბები იხსნებოდა, მაღაზიებში პირველი მყიდველები შედიოდნენ.

ბაზართან სიკოს ვიღაცა დაეჯახა, ვიღაცამ შეაგინა, მაგრამ ფიქრებში გართული იგი მთვრალივით იდგა და ვერ გაეგო რა ხდებოდა მის ირგვლივ.

— შენ ეი, რას უდგახარ მანდ, მოდი, მომხმარე — მოესმა ბედის მაძიებელს, მაგრამ სიკო არც განძრეულა, იგი ზეზულად მიძინარეს ჰგავდა.

ვიღაცამ სახელო ჩამოსწია, ვაკეცატი გამოირკვა. მის წინ შუახნის, ჩასტეხული მზარეული იდგა, სანოვაგით დატვირთული უზარმაზარი კალათით. მან თითქმის ძალათი შეაჩეჩა ხელში სიკოს მიმე ტვირთი. მზარეულის თანხლებით კალათი სოლოლაკში მიიტანა, პირველი პილდის ვაჭარ დურმიშხან აბესალომოვის ოჯახში.

სიკო ხომასურიძეს მოულოდნელად გაუღმა ბეღმა. იგი აბესალომოვის ოჯახში დარჩა სამუშაოდ, მათი ორი პატარა ვაყის — გურგენისა და გრიგოლის გამცილებლად და შეთვალყურედ.

შრომაში დღეები ელვის სისწრაფით გადიოდა, იწურებოდა კვირეები, ილეოდა თვეები და წლები. ვაკეებს გული მიტოვებული ოჯახისათვის უკნესიდა, თორემ სხვაფრივ თავს ცუდად არ გრძნობდა, თუმცა მისი ჯამაგირი, რომელსაც იგი მთლიანად სოფელში ავზავნიდა, ძალიან მცირე აღმოჩნდა ამ სიძვირის დროს წვირილშვილის შესანახად.

სურგენს, გრიგოლსა და პატარა გაიანს ძალიან შეუთვისა და შეეწყო. მთელ თავისუფალ დროს

მათთან ატარებდა, ხან სათამაშოებს უთლიდა, ხან სოფლის აზებებს უამბობდა. საღამოს, როცა ბავშვები დაიძინებდნენ, სიკო იჯდა და ციხუბობდა. ყოველ დღით იგი გურგენსა და გრიგოლს სასწავლებელში აცილებდა, ხოლო გაკეთილების დამთავრებამდე ბავშვები მოლოდინში სკოლის ეზოში იჯდა და ფიქრობდა.

მისი გონება და აზრები შორს მივირინავდა. მოკონებათა ცოცხალი სურათები ერთმანეთს ცვლიდა და თითქოს ხორცი შეისხმა ოცნების მიმჭრალმა ჩრდილებმა.

აი ახალგაზრდა ქალი, ბავშვით ხელში, ორღობეში გამობეზარი, უთოოდ მის დაბრუნებას ელოდა. პატარა ნოე და გიორგი მამის შესახებდრად გამოზიანან... რა ემართება სიკოს? იგი ყველაფერს გარეკეულად ხედავს. ნაცნობი სახლი, საყვარელი და ძვირფასი სახეები... ნუთუ ყველაფერი ზმანებაა მხოლოდ წარმავალი და ეგვიპტური? გული აუტოვდა, მამას შვილების აღერსი მოენატრა, მიუახლოვდა კიდევ სკოლის კედელს, მაგრამ უეტრად გონს მოვიდა, შეგონა, შეუნდა, რომ უცნობით დანახული სილუეტები არ დაჰკარგადა.

მაშ რა ქნას ახლა, რა იღონოს, როგორ შეინარჩუნოს ძვირფასი ხატი?.. და აი, ბედნიერმა აზრმა გაუფლდა, გაახსენდა ამ რამდენიმე დღის წინათ გზაზე ნაპოვნი და უშიზოდ ჯიბეში შენახული, ალბათ ოქროყენელ მწანაშორე ბიჭვის დაწვეული ნახშირი.

იგი სკოლის კედელს მოუახლოვდა, ავითოლებული ხელით სასურაფოდ მოხატა ანაზღად დანახული თითოეული სახე და აღტაცებამ შეიკარი. ახლა ხომ აღარ გაიქცევიან და გაჰკრებიან, ახლა ხომ შეუდამ შეიძინებ მათი დანახვა, მათთან მისაღმება და საუბარი?

გამოყოცხლდა ვაკეცი, სინარული თოვლიდა ყოველ გათენებას, სკოლის კედლები მისთვის ახლო-ბელი და ძვირფასი გახდა, ბავშვების მოლოდინი — სასიამოვნო. აქ იგი თავის ხელით შექმნილ

სურათებს ეფერებოდა, ეაღერსებოდა. თითოეულ მათგანს ხან ღიმილს მოჰკვირდა, ხან მწუხარე ელფერს მისცემდა, ან რომელიმე ნაკეთსა და ტანისამოსს შეუსწორებდა.

რა გრუზა თმები აქვს პატარა ნოეს, თვალები როგორი ცოცხალი და ეშმაკური. სიკო თითქმის ოდნავ ეხება შვილის ლოყებს, თითქოს მათ სიბოხსა და სირბილესაც კი ამჩნევს...

ხატვით გართულმა მხარზე ხელის სიმძიმე იგრძნო. მის წინ მდგარი უცნობი დაკვირვებით სინჯავდა მასაც და მის მიერ შექმნილ სურათსაც.

— ვინ ხარ, ყმაწვილო — შეეკითხა იგი უცნაური ქართულით, — კარგია, ძალიან კარგი შენი ნახატები, მოდი ჩემთან, უსასყიდლოდ გასწავლი ჩატვას, ჩემი გვარი ღონევა, მამადავითზე სამხატვრო სასწავლებელი მაქვს, ხელოვნებას დები აუცილებლად... — და პასუხისთვის არ დაუცდია, ისე ჩაუდო ხელში სიკოს თავისი სადარბაზო ბარათი.

მამადავითზე სამხატვრო სასწავლებელში ფრანგი პედაგოგები ღონევა და კიუვე ასწავლიდნენ. აქ სიკომ გაიცნო მასზე ბევრად უმცირეს მსოქ თოიძე და ვალიკო ჯაფარიძე. მოსე რამდენიმე დღის შემდეგ უკვე პეტერბურგს გაემგზავრა ცნობილ რუს მხატვარ რეპინთან სწავლის გასაგრძელებლად.

სიკო და ვალიკო კი ერთმანეთს ძალიან დაუმეგობრდნენ. მათ აკავშირებდათ საერთო მოკონებანი მშობლიურ რაჭაზე.

ღლით, როცა სიკო ბავშვებს სკოლაში მიიყვანდა, თვითონაც გაემორბოდა სასწავლებელში. თავისი საშუაოთი გატაცებულ დროს სრულიად ვეღარ უწყვედა ანგარიშს და ხშირად თავქუდმოგლეჯით უხედებოდა სირბილი, რათა გურგენისა და გრიგოლის სკოლიდან წამოყვანა არ დაგვიანებოდა, მაგრამ ხიფათი მაინც მოხდა.

ახსალალოფებმა ისიც კი არ იცოდნენ, რომ სიკო სამხატვრო

სასწავლებელში დადიოდა და ამ დროის დასმავლობაში მათი შვილები დასწავლბზე სრულიად უშეფაღყუროდ ერთობოდნენ. მაგრამ როცა გაკეთილების შემდეგ ხანგრძლივი მოლოდინითა და თამაშით დაღლილი ბავშვები სახლში ყვეთან მოვიდნენ, მოულოდნელად ყველაფერი გაირკვა. საშინელი ქარიშხალი დატრიალდა ოჯახში და დღრმიზან აქსალალომაც ახა რა-ღა ვაკეცი და იტყობოდა, თუ კიდევ გააჩერებდა თავის სახლში ისეთ კაცს, რომელიც უფრო მეტი უღირად, ვიდრე მისგან სარგებლობას ხედავდა...

ღონეგს რკომენადიით, სიკო თავადაზნაურობის მარშალ, ქართული ახალგაზრდობის მფარველ და მეცნატ, დიმიტრი ჩოლოყაშვილთან მოეწყო ხელზე მოსამსახურედ. ჩოლოყაშვილის ოჯახში თავს იყრდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, წერა-კითხვის გაპარცელებული და სხვა ქველმოქმედი საზოგადოების წევრები; ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ ცხვედაძე და სხვანი...

სიკო ხომასტრიძემ თავისი მშვიდი ხასიათით და გამარჯელობით საერთო სიყვარული და თანაკრძნობა დაიმსახურა.

სასწავლებელში გულდასმით შეცადინებოდა, მუყუასად ხატვად და კარ შედებებსაც აღწევდა.

ღონეგს და კიუვეს მოსწონდათ მისი სამუშევრები, კმაყოფილი იყვნენ მოწვევით, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ილია ჭავჭავაძე ძალიან დაინტერესდა მისმაგალი მხატვრის ბედით. მისი უშუალო ინიციატივით, საქველმოქმედო ორგანიზაციის ხარჯით, ორი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდა სამშობლოდან გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად — სიკო ხომასტრიძე — პეტერბურგში, ვარლამ ჯაფარიძე — მიუნჰენში.

პეტერბურგი. უზარმაზარი, მოსუენვარი, ცივი, ფერმკრთალი... ო, როგორ განსხვავდება იგი მისი ფერდობზე მიმაღული პატარა

სოფლისაგან. დიდი ქალაქის ხმაური უნაურად ღლის მიუჩვეველ კბაქუს.

ზინას დაექმება სიკო, ვადადიოდა უზნიდან უზნში, ქურიდან ქუჩაში, სახლიდან სახლში. დაღლილ-დაქანცულმა ვასილევსკის კუნძულზე განაპირა ეკლესია შეინიშნა და ვინაიდან ძალა აღარ ეყო გზა გაეგრძელებინა, ეზოში პატარა სკამზე ჩამოჯდა. და, პოი საკვირველებზე, ამ ცივ, შორეულ რუსეთში ყველასაგან მივიწყებულ საფლავის ქვას ქართული წარწერა ჰქონდა!

სიკომ ერთდროულად უკიდურესი მწუხარება და განუსაზღვრელი სიხარული იგრძნო. როგორც ძალიან ახლოდელი და შშობლიური გახდა მისთვის ამ დიდი ღლიის ქვეშ დაკრძალული ადამიანის ნეშ-

ტი... და ვინ იცის, უკვე რამდენი ხანია არავის უთქვამს მიცვალებულისათვის შენდობის სიტყვა... დაზინანებული მემორიალური დაფა იუწყებოდა, რომ ტაძარი იგი აუგია ვინმე დიდ სარდალს ამილახვარს. ნეტავ რომელსა და როდის?!

* * *

ამ ცივ და მიუქარებელ ქალაქში სტუდენტთა ქართული სათვისტომო იყო დაარსებული, სადაც ახალგაზრდა ვანო ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა გაცხოველებული სავანმანათლებლო მუშაობა. აქ იმართებოდა ლექციები და დისკუსიები ფილოსოფიის, შშობლიური ლიტერატურის, ისტორიისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მოწინავე ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობით სი-

კომ ბევრი რამ გაიკო და შეითვისა.

სიკოს, როგორც მომავალ მხატვარს, თბილისიდან წერაკიძეების გამარჯვლებული საზოგადოება ემხარებოდა, მაგრამ ღარიბი საზოგადოების ზრუნვა ნუგეში იყო მხოლოდ. პეტერბურგში ყოფნის მთელი 17 თვის განმავლობაში თავისუფალ დროს ლუკმა პურისათვის შრომობდა, დღეიდან დაკვეთით სატაგედა პორტრეტებს, ხატედა ვაჭრებს, მეშჩანებს, რუსი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მაგრამ ასეთი მუშაობა ბევრ დროს ართმევდა, ხოლო მიღებული მცირედენი გასამრჯელი კი ანა რას გაუხდებოდა შოის, რაქაში მიტოვებულ წერილშვის?

მოულოდნელად თვალი მოჰკრა ქუჩაში გაკრულ განცხადებას, რომელსაც მოზღვეებული ხალხი ადღელებით კითხულობდა. სიკო დაინტერესდა შინაარსით, გაარღვია ბიბო, მიუახლოვდა, წაიკითხა...

მწუხარე გარინდებამ დაისადგურა ვაკეკაცის სულში, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით, მას არ სჩვევია შეუშინდეს დაბრკოლებას, გამოსავალი მოძებნილია. იგი ახლა რუსეთის უმაღლესი საყდრის სახურავს შეაკეთებს. თუმცა ხიფათი უსაზღვროა, რადგან ტაძრის გუმბათზე ასვლა და მუშაობა სახელდახელოდ შეკრული კიბების საშუალებით უნდა მოხდეს.


ხარაჩოების აგება დიდ დროსა და თანხას მოითხოვს... წვიმა კი არ იცდის, დაზინანებული ადგილიდან წყალი გონავს და ძვირფას ფრესკებს განადგურება მოელის. მაგრამ სწორედ ამიტომ არის განსაზღვრული ასეთი დიდი გასამრჯელო მამაცისათვის.

სატანის გამბედაობა რამდენიმე საათით, და თუ ბედმა გაგიღიმა, თითქმის ერთი წლით შენი ოჯახითურთ უზრუნველყოფილი ხარ ყოველივე აუცილებლით...

და რა გრძელია ეს ერთი წელიწადი, რამდენ სარგებლობას მოუტანს მომავალ მხატვარს? ახლა

ს. ხომსპურიძე

მეჩარღე



იგი შეძლებს დღიდან საღამომდე თავაუღებლად იმუშაოს რეპისის სახელოსნოში.

შემდეგ... სამშობლოში დაბრუნება, მისი სასმასური, სახელი...

საპირო ხელნაწყოებით შეიარაღებული სიკო ხომასურძემ ასასველელ კიბესთან შეჩერდა, საყდრის გუმბათს თვლი შეველო... უნებურმა კრეოლამ აიტანა, გული შეეკუმშა.

ნუთუ შეშინდა... ხუმრობა ხომ არ არის, მის წინ დრუბლებში ამაართულა ოქროს ჯვრით დაკვირგვინებული ისაკი ტაძარი.

მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია, თავგანწირვა მომავლისთვის ფრთებს ასახამს მას, მოსწონს კიდეც განსაცდელთან თამაში... ოო, როგორ ჰგავს ხელოვნებისადმი დაუშვრეტელი ლტოლვა უსაზღვრო სივრცეში აზიდულ ამ სახიფათო კიბეებს.

ჰმაუკი ატაყებულებით დაიძრა ზევით. მის ფეხქვეშ თითქოს იზნიქებოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული საფეხურები. სიკო უკვე აღარაფერს გრძნობდა, არაფერს ფიქრობდა, მას აწვალბდა მხოლოდ ერთი უსაზღვრო სურვილი, მალე, სულ მალე მიეღწია ტაძრის მწვერვალისათვის... გამხდარიყო ცველაზე უშორესი და უმაღლესი.

გაინაბა. ქუჩაში შეკრებილი უსაქმურთა და ცნობისმოყვარეთა ბრბო, გაკვირვებით, სულმოუთქმელად ადევნებდა თვალს უცნობის მარდ და გაბედულ მოძრაობას... სიკომ უკვე მიაღწია გუმბათს, მოხერხებული მოძრაობით გამოსდო თოკი იქვე გამოშვრილ ქიშხ და მფორე ბოლო წელზე დაიმკარა. მიზანი მიღწეული იყო, მთავარი დაბრკოლება გადალახული.

დინჯი მოძრაობით, გულდასმითა და აუჩქარებლოდ მუშაობდა სიკო და სრულიად ვერ გრძნობდა იმ საშიშროებას, რომელსაც ეთამაშებოდა ასეთი უზარმაზარი მანძილით დაშორებული დედამიწიდან.

წამებს წუთები მისდევდა, წუთებს — საათები. ამ სანახაობით მოჯადოებული ბრბო კი კვლავ ქუ-

ჩაში იდგა და ადგილიდან არ იძროდა.

მუშაობა დამთავრდა, ის-ის იყო სიკომ წელიდან თოკი მოიხსნა და კიბეებზე უნდა დაშვებულყო, რომ უნებურად შემობრუნდა, მწერა ძირს გაექცა... ოო!! რა იგრძნო მაშინ?! თავისი სიდიადე თუ უკიდურესი საბრალეობა?! მისი თვლები ცველაფერს წვდებოდნენ, გონება სწრაფად მუშაობდა, უცნაური აზრები ცვლიდნენ ერთმანეთს. სიკო ახლა ცველაფერს სხვაგვარად განიცდიდა. იგი ხედავდა, რომ უზარმაზარი შენობები დაემსგავსნენ ასანთის ყუთებს, მდინარე ნენა ფერი დაკარგა და თითქოს შიშით გაქვავდა კიდეც, მაგრამ უფრო საბრალოდ მაინც ადამიანები მოეჩვენებნენ. ბედშავნი და სუსტნი, უსუსუ-

რად განბნეული უსაზღვრო სივრცეში.

უკრებ წონასწორობა დაკარგა და ტაძრის სახურავზე ჩაიკეცა ღონე მიხილილი. ძირს მაყურებელს გმინვა აღმობდა, მაგრამ მხსნელი აბა სად იყო. ვინ გამოიჩინეს უჩვეულო გამბედაობას და გადარჩენს უცხო ჰაბაუკს განსაცდელისაგან?!

გაგრძელდა წაში, გამოსავალი კი არ ჩანდა. უიფლებამ მოიცვა ბრბო, და, როგორც ერთმა, მუხლმოდრეკით ლოცვა დაიწყო.

წვიმა დაიწყო, დიდი წვიმა შემოდგომისა... სიკოს მკერდი დაუსველა, თმა დაუნამა, მოსულერსა, უკვადების მალამო მისცხო, გულშემოყრილი შეიმშენა, თვლები გახსნა, მიმოიხედა. მაგრამ მაინც

ლ. ხომასურძე

ჩანახატი





ს. ხომასურდი ახალგაზრდა ვეის პორტრეტი

გონს ვერ მოვიდა. ნეტავ რა მოხდა, რა დაემართა?...

მაგრამ არა, მას ჯერ სიკვდილი არ უწყურია. წინ გრძელი გზაა, ბრძოლა დაუმთავრებელი, განვედ ჩემგან, უიმედობა! — გაიფიქრა სიკომ და წამოიჩნია, მაგრამ უჩვეული სისუსტე იგრძნო, კინაღამ სასოწარკვეთილებამ შეიპყრო. განსაკვდილის შიშმა დაუბრუნა გამბედაობა, გაჭირვებით წამოიღა, კიბესთან მიიკოცა, და როცა სახელურს ხელი ჩაავლო, განსაკუთრებული ძალა იგრძნო განწირულისა, სწრაფი ნაბიჯით ძირს დაეშვა, ჩამოათავა საფეხურები და კვლავ უგონოდ დაეანარცხა დედამიწეზე.

აღარაფერი ახსოვდა, მაგრამ როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ ნათოს ლამით განათებულ პატარა ოთახში იწვა, მაკიდაზა წაწლის ბოთლები ელაკა, სავარძელზე კი გაშლილი წიგნებისა და რვეულების მახლობლად, ალბათ ავადმყოფ-

თან ღამენათვეი, ვანო ნიყარაძე თევღემდა.

მეგობრების მზრუნველობამ და ყურადღებამ მალე მოამჯობინა, მაგრამ არ იქნა და არა მისი საბოლოო განკურნება...

ამ შემთხვევის შემდეგ სიკო უნებურად ესტუმრებოდა ხოლმე ისაკის ტაძარს. დიდებული ტაძარი, როგორც სიმბოლო მარადისობისა, აზინებდა და აჯადოებდა.

მატყვარი ხან საოცარ აღმაფრენას განიცდიდა, ხან კი, დაუკმაყოფილებელი სურვილი და სწრაფვა წარმატებისაკენ აგრძნობინებდა, რომ საჭიროა შრომა, მოქმედება, თორემ ახლო მარცხი სასტიკი...

შემდეგ კი ყველაფერი აირღვინა, ავადმყოფმა მიატოვა რუსეთი და 1898 წელს სამშობლოში დაბრუნდა.

თბილისში გამოჩენა ერიდებოდა. რატომი გაემგზავრა.

თავისუფლად დროს სიკო ხომა-

სურიძე ბევრს ხატავდა. ხატავდა ნაცნობებს, მეგობრებს, ნათესაებს, მაგრამ მხოლოდ საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად. კვლავ გულუხავის შრომა, გაჭირვება, ზრუნვა ლუგმა პურის საშოვნელად...

დადგა მძიმე წლები. დიდ ოჯახს უჭირდა და ფულის საშოვნელად სიკო იძულებული გახდა მოეხატა ონის, ბოყვის, გომის, წყნარის, ქრისტისის, ჯვარცმის, მრავალძლის, მთის კალთისა და სხვა ეკლესიები.

ოქტომბრის რევოლუციამ გვიან მოუსწრო. იგი უკვე სამოც წელს იყო მიღწეული. მისი მრავალი სურათი რუსეთსა და საქართველოში გაიფანტა უგზოუკვლოდ.

სიკო ხომასურიძე ახლა ას წელსაა მიღწეული. იგი ისევ ჭარბად გრძნობს თავს. მშობლიურმა პავამ და ღამაზმა ბუნებამ საბოლოოდ გამოაჯანსაღა ავადმყოფი. ახლა იგი საათობით ზის თავის შვილიშვილის შვილებთან, და როგორც ოდესღაც აბესალომობის ზაფხულისათვის, ქართულად მოჩუქრთმებულ სათამაშო ხანჯლებს, ჯამჭურჭელსა და ჩოგნებს აშხადებს.

საოცარი ამბების თხრობა იცის დიდმა ბაბუამ... უფროს-უმცროსნი ყველა გატაკებით უსმენს მის ნაამბობს.

მსმენელთა წარმოდგანაში ნათლად იხატება თბილისისა და პეტერბურგის ქუჩები, მიუდნებე, შესწონიშნავი ნავებთან, მდინარეები, პარკები. ცოცხლებიან და შინარავანდელი იმოსიბიან იმ პერიოდის ქართული მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელთა და ნაცნობ-მეგობართა — ილია ჭავჭავაძის, ნიკო ცხეველიანის, დიმიტრი ჩოლოყაშვილის, ვანო ჯავახიშვილის, მოსე თოიძის, ვარლამ ჯაფარიძის, ვანო ნიყარაძის და სხვათა სახეები.

მხოლოც ყმაწვილებს ყველაფერს თანდათანობით უაბობს: თავის პირველი მასწავლებლის ლონგეს შესახებ, რომელმაც თბილისის

სამხატვრო სასწავლებელში გაუ-
ზიარა მას გრაფიკული ხელოვნე-
ბისა და ფერწერის საიდუმლოება,
აღწერს აგრეთვე პეტერბურგში
სწავლის პერიოდს, გამოჩენილი
მხატვრის რეპინის სახელოსნოს,
მის შესანიშნავ ტილოებს...

სიკო ხომასურძემ იხსენიებს სხვა-
დასხვა ადამიანებს, რომელთა
პორტრეტი დაუწერია თბილისსა
და პეტერბურგში... მას ახლაც
თვალწინ უდგას წარმოსადგვი,
მშვენიერი შესახედაობის ვეკაცკი,
სამხედრო პირი, ვინმე გვიე ამი-
ლხეგარი, რომელიც დიდად ეხმა-
რებოდა პეტერბურგში მოსწავლე
თანამემამულეებს.

რეპინის რეკომენდაციით, ქართ-
ველმა მხატვარმა ამ გენერლის
პორტრეტი დახატა, ხოლო შემდეგ
წაიყვანა იგი ვასილევის კუნძულ-
ზე. უცნობი და მიტოვებული ქარ-
თული სამლოცველოს სანახავად...
ან კი როგორ დაავიწყდება სიკოს
ის ფარული სევდა და მწუხარება,
რომელიც განიცადა ამილახვრების
ნაშიერმა წინაპართა სამარხის და-
თვალერების დროს... ამილახვარ-
მა დაქვეული ტაძრის შეკეთება
ბრძანა და ქართული წირვა დააწე-
სებინა მასში.

სულს დაფავს გაფერინლ დღე-
ებზე ფიქრი, მაგრამ ცხოვრების
გზაჯვარედინზე — როგორც ავი



ს. ხომასურძე

კახეთის პორტრეტი

ზმანება, დიდი მარცხის უნებური
მიზეზი — მოჩანს ისაკის ტაძარი,
გაძარცული ოცნება, დამსხვრეული
იმიდი — მოულოდნელი დასწე-
ლება. ამ შემთხვევას მოხუცი მუ-
დამ შეუცნობელი გულსწყრომითა
და გამწვარებით გადმოგვეცემს... და

ვინ იცის, კიდევ რამდენი საინტე-
რესო ამბის თბობა შეუძლია დიდ
ბაბუას თავისი უფროსა და უმცროს
თანამედროვეთა ძველი და ახალი
ეპოქის ადამიანების შესახებ. მო-
დელი, გვეყვით მას ზემო რაჭაში და
პირადად მოვუსმინოთ.

საქართველოს თეატრალური სახოგადობა 1962 წელს

ნიკო კეკელიძე

საქართველოს თეატრალური სახოგადობა, ისე როგორც წინა
წლებში, თავის შემოქმედებით მოღვაწეობს წინასწარ დასახული
გეგმის მიხედვით აწარმოებდა.

პირველი დიდი ღონისძიება, რომელიც სახოგადობამ შარშან
ჩაატარა, იყო საქართველოს თეატრალური სახოგადობის V ყრილო-
ბა. (16—17 აპრილი).

ჩატარდა აგრეთვე სახოგადობის მორიგი, მეექვსე პლენუმი,
რომელიც სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს მიეძღვნა. პლენ-
უმმა მოუწოდა ხელოვნების უკვალა მუშა ავადანუგეობებისა
განუხრავად განზრცილებდა.

დღი ზემოთ ჩატარდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის კოტე
მარჯანიშვილის დაბადებიდან 90 წლისთავი. თეატრალურმა სახოგა-
დობამ ამ მნიშვნელოვან თარიღს მიუძღვნა სპეციალური საენცი-

რო სესია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატ-
რალური სახოგადობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არ-
ტისტთა დრო ანთაქმე. მარჯანიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეო-
ბის შესახებ მოხსენებები წაიკითხეს: ბ. ელენტი, გ. კირიციანი (მოს-
კოვი), ე. გავუშვილი, ა. ვახუშვილი, ა. ვასაძე, ალ. ფეცვალი-
სკიძე (მოსკოვი) და კ. გოგოძე. მოგონებებით გამოვიდნენ მარჯა-
ნიშვილის მეგობრები და მოწაფეები — ვ. ანჯაფაროვი, ვ. გომიაშვი-
ლი, ნ. ვოლკოვი და კ. კასტროვი (მოსკოვი), თ. ჭავჭავაძე, ვ. ფერი-
მანი (ირაკა).

კ. მარჯანიშვილის საიუბილეო დღეები ჩატარდა აგრეთვე უკარ-
გელში, (მომხ. საქ. კვ უფროსი რაიკომის პირველი მდივანი ახმ.
გ. ზუტაშვილი), ქუთაისში (მომხ. დ. ჯანელიძე), სოხუმში (მომხ.
დ. ანთაქე), ბათუმში (მომხ. გ. ტორდანი), კ. მარჯანიშვილის
საიუბილეო საღამო გამართა კიევიში.

დიდი ქართველი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის დაბადებიდან
ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში მოეწყო საღა-
მო, რომელზეც მოხსენებები — დ. კლდიაშვილი და ქართული თეატ-
რი“ გამოვიდა ახმ. გ. ციციშვილი, მოგონებებით გამოვიდნენ აქ ვა-
საძე, პ. ფარეშვილი და დ. ჩხეიძე.

დიდი ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას დაბადებიდან



400 წლისათვის სათბილო თარღს მიეძღვნა სპეციალური საღამო. ჩატარდა რეს. სახალხო არტისტის დღით ანაზღაურებული სათბილო საღამო. (შესავალი სიტყვა — გრ. ფოფხიასი, მომხ. ბესარიძის უძენ-ტი). რეს. სახალხო არტისტის ე. სტანის სახელობის საღამო (შესავალი სიტყვა — ვ. ანჯაფრედიასი, მომხ. ნ. შულტაშვილი). გარდა ამისა, მოეწყო შემოქმედებითი საღამოები — რეს. სახალხო არტისტის ა. ფადავის (მომხ. ნ. შვანიძის), თ. ბაქრაძის (მომხ. ვ. ქვიციანი), ნ. ჯალაღანისის (ბათუმში, მომხ. ვ. ნინიძე), ქვეყნის კულტურის (მომხ. ბ. ფრანკოვილი, თელავში), ა. როგავასი (მომხ. კ. გაწერელია, ზუგდიდი), მახლობლის ვლ. დოლიძის (მომხ. კ. გაწერელია, მამაკაძის) და ალ. ბენაშვილის მომხ. თ. ბაქრაძის თბილისში).

საქონალში მიძღვნილ საღამოების ციკლიდან ჩატარდა გამოჩენილი ქართული მხატვრობის იმედპედიის საღამო (შესავალი სიტყვა — ა. ანაძე, მომხ. ალ. ბურთიაშვილი), ნინო დავითაშვილის (მომხ. ნ. შვანიძის), ვასო არაბიძის (მომხ. გ. ჩხეიძე) და ნიკო ქუშინაშვილის (შესავალი სიტყვა საქ. კომ. თანხმობის რაიკომის მდივანი ანხ. ნ. გორჯიშვილისა, მომხ. პირო. გრ. ჩხეიძე, თბილისში). ქართული თეატრის გამოჩენილი მხატვრ-დირიჟორების ნამუშევრების გამოჩენა ციკლიდან პირველი გამოჩენა მოეწყო მისკოცა და დღინგრადში ირალე ვარტყელის ნამუშევრების, ხოლო 1968 წ. იანვრის პირველ რაზმებში აგრეთვე ცნობილ მხატვრებს ა. ბუბლის ნამუშევრებს გამოჩენა.

1962 წლის ზაფხულში ჩვენს რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს საგანგებოდ ეწვივნენ მომხდ რესპუბლიკების თეატრებს, მათ შორის მოსკოვის თეატრი „სოვრენნიკი“, გ. ჯვარიანის სა. კიროვადისა ზურბაჯანული დრამატული თეატრი. აბღლანის სახ. კიროვასის დრამატული თეატრი და ჩრდილო-ოსეთის მუსიკალურ-დრამატული თეატრი.

აღნიშნულმა თეატრებმა თბილისელ მაყურებლებს თავიანთი რეპერტუარით და უჩვენეს 5—10 სპექტაკლი, ხოლო თვითონ თეატრის განტარების დამატარების შემდეგ თეატრალურმა საზოგადოებამ მოწიკო მათი სახალხო კონტაქტების განსაზღვრა-დისკუსიები. „სოვრენნიკის“ სპექტაკლების შესახებ მოხსენიებენ წაიკობეს ნ. ურუშაძის, ბ. ოლშიანიკაი და თ. ანდრონიასვილი, კიროვადისა ანხ. რ. ალიბეი, ნ. გომიაშვილი და ვ. ფრანკოვილი. კიროვასისა და იაქაშვილი, ს. აგინასა და ნ. გომიაშვილი, ხოლო ჩრდილო-ოსეთის ნ. გოგოლაშვილი, ი. კვაცაშვილი და თ. ჩიჯავაძე.

დისკუსიო მოეწყო აგრეთვე მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლზე „მედვი“ (შესავალი სიტყვა ნ. მრეველშვილისა, მომხ. ნ. გურამიანი).

გარდა ამისა, საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ჩვენს დღევანდელ თეატრების განტარების ჩატარებაში. რუსთაველი თეატრი საპარტოლოდ ეწვია — ზესტაურის, მაჩარის, ბათუმს, სოხუმს და ქუთაისს, ვანობოდოცის—სომხეთს და აგრეთვე ანხ. მუსკოვიდამ შემოიარა დავსაუბრო საქართველოს მიმდინარე სარაიოში ქაქავიში და სოფელში, ხოლო მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი მიწვეული იყო მოსკოვში მოზარდ მაყურებელთა თეატრის საკავშირო დათავიერებაზე, სადაც მან სპექტაკლებით: „ციციკი“ და „წერეთელი“ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქართული საზოგადოება სისტემატურ დახმარებას უწევს სახალხო თეატრების შემოქმედებით კოლექტივებს და კულტურის სახელმწიფო არსებულ თვითმომხდელ დაწესებულებებს. საზოგადოებამ 84 სახალხო თეატრში მათური ბრავადების მიღწერა და სპექტაკლების დათავიერება-შემოქმედა, ან შემოქმედის შესახებ მოხსენიებები იქნება წაითხილეს სახალხო თეატრების მომხდელ რესპუბლიკურ თეატრებზე. აღნიშნულ ბრავადები, როგორც წესი, დაიკონტაქტებული იყო რეჟისორის, გრაზიონის, მხატვრის, თეატრკადრის, სასცენო მხატვრობისა და სხვა სპეციალისტებისაგან.

გარდა ამისა, თეატრალურმა საზოგადოებამ, საქ. სსრ კულტურის სამინისტროს, სახლური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან და კულტურის მუშაობა რესპუბლიკური კომიტეტთან ერთად, სახალხო თეატრების მუშაობისთვის მოწიკო აგრეთვე მოყვებულაღიანი სე-

მინარი-თავიბი, სემინარი გახსნა საქ. სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ანხ. ა. დავლთაშვილმა. მოხსენება: „სახალხო თეატრების მუშაობა ამოცანებს სსკკ XXII ყრილობის გადაწყვეტილებითა საფუძვლზე“ წაიკითხა ანხ. ა. კლანდროვილი. წაითხილ იქნა აგრეთვე თეატრული მოხსენებები: 1. „რეჟისორის საკითხი სახალხო თეატრში“ მომხ. ბ. გიგინეიძე; 2. „სასცენო მუშაობების ძირითადი საკითხები“ ნ. ნიკოლაშვილი, მ. სპექტაკლის რეჟისორი ანხ. სახალხო თეატრებში“ — რე. თ. ანდრონიასვილი და 4. „გრაიო სპექტაკლი“ — მ. დედანაშვილი.

ამვე პერიოდში სახლმწიფო თეატრების კოლექტივებში სახალხო თეატრებში და კულტურის მინისტრის წაითხილ იქნა მოხსენებები:

1. „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მუშაობა და ამოცანები“ (გრაიო და სიტყვები, მომხ. ბ. კანდელია). სახ. ოქრავი, რუსთაველის სახ. თეატრში (მომხ. ნ. შვანიძის), მარჯანიშვილის, ვიბოდიძის, თბილისის სომხურ და მუსკოლმების თეატრებში (მომხ. დ. ჩხეიძე); თელავის სახლმწიფო, გურჯაანის და ვლიცის სახალხო თეატრებში (მომხ. გ. იაქაშვილი) და სხვ.

ამვე კოლექტივებში იკითხებოდა აგრეთვე მოხსენებები: „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლის შემსწავლ.“, „რეჟისორის მუშაობა მხატვრობისა“, „რეჟისორისა და მხატვრობის ურთიერთდაპირისმართულება“ (მომხ.სპექტაკლის ბ. ფრანკოვილი, ვ. ნინიძე, ვ. გომიაშვილი, ვ. მურთულა, თ. ანდრონიასვილი, ბ. გიგინეიძე, ვლ. მოღვენი და სხვ.), გრაიოს სპექტაკლი“ მომხ. მ. დედანაშვილი, „სასცენო მუშაობები“ (მომხ. ბ. ნიკოლაშვილი და 4. კანდელია), „სახალხო თეატრის რეპერტუარი“ (მომხ. შ. შავერაიანი, კ. გაწერელია და ტ. იაქაშვილი).

წაითხილ იქნა სახ. თეატრების კოლექტივებში მოხსენებები: „ქართული თეატრის დღე“ (მომხ. ნ. შვანიძის) „ალ. ამბოცილის შემოქმედება“ (მომხ. ნ. კლიაშვილი), „ქართული სახეობა დრამატურა“ (მომხ. ალ. ადამია), „ქართული ხელოვნების მოღვაწეები უცხოეთში“ (მომხ. ა. ცაიციანი). თბილისელ ლექსითა კიკლდელ წაითხილ იქნა სლექციები: „არსებობის პირობები უცხოეთში“, „გრაიო“ (მომხ. ა. ბოჭორიანი), „ესტრადის საფუძვლები“ (მომხ. ვლ. შაფიაკი), „ქართული კლასიკური მუსიკის ფუნქციონირება“ (მომხ. ნ. ფინაგი, რუსთაველის კულტურის უნივერსიტეტი) და სხვ. გარდა ამისა, თეატრალური საზოგადოება სისტემატურად დეპუტატების სახლმწიფო და სახალხო თეატრების ახალ სპექტაკლებზე-პრეზენტაციას, რისთვისაც ახალგაზრდულ ჯგუფებს თავის წარმომადგენლებს.

საქ. თეატრალური საზოგადოებისათვის არსებულმა გამოიკვლიო-ბა „ხელოვნების“ 1962 წლის მინდელ გეგმის 27 დასახილვის წინაი. მათ შორის კარგული „ოცნებ მარჯანიშვილი“, შ. აგინასი — „აგაი ხორაია“, ა. ცაიციანისი — „ქართული ხელოვნების მოღვაწეები უცხოეთში“, დ. ვარაშაძის „მოაწიწილი მოიკავია“, თ. ივანისი — „ქართული ბალეტი“, შ. შავერაიანი — „ქართული სპეობა თეატრი“ (მომხ. ა. ბოჭორიანი) და ბალეტის თეატრი“ და სხვ. მიმდინარე წლებშივე კარგაბოში შეიქმნა სასცენო მუშაობების მითითური საბჭო, რომელშიც შეიან ჩვენი რესპუბლიკის გამოჩენილი ენაშემოებები და თეატრის მოღვაწეობა, აკადემიკოსი ანხ. შამიძე, გ. აბლოდიანი და ვ. თოფურია. პირო. ს. ედენტი, რეს. სახალხო არტისტები: დ. ანაძე, ვ. გომიაშვილი და თ. ალი-სიძე, ხელოვნების დამხ. მოღვაწე ბ. მრეველშვილი და სხვ.

აღნიშნულმა საბჭომ მიზანდ სახალხო თეატრების სასცენო მუშაობების დამატარების შესწავლას და პრაქტიკულ დახმარებას ქართული თეატრებში ქართული ენით სწრაფ მათეკონსტრუქციისთვის.

ვათავისებოდა აგრეთვე პრეპარატივები არსებულ ახალ სპექტაკლებში მიღების კომისია, სარდაციკო კლდეგია, საიფიციატორებო კომისია, ამაი დროს შეიქმნა სახალხო თეატრებისა და კულტ. სახლმწიფო არსებულ თვითმომხდელ თეატრალური კოლექტივების მომხიბა და თეატრალური საზოგადოების წერტობა რწმუნებულთა საბჭო. ეტივი არს. საქ. თეატრ. საზოგადოება უფრო მტრ შემოქმედებით მუშაობის გავლის 1963 წელს სსკკ XXII ყრილობისა და 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებითა განხორციელდა გატარებისათვის.



ქრისტიანობის დასაწყისი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში ნათქვამია, რომ მშრომელთა შემდგომი კულტურული განვითარება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში წარმოადგენს დიადი კულტურული რევოლუციის დამამთავრებელ ეტაპს.

მშრომელთა კულტურული ზრდა, სოციალიზმის, შემდგომ კი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა და განვითარება ურთიერთკავშირშია და წარმოადგენს დიალექტიკურ ერთიანობას.

სოციალიზმის თანდათანობითი გადაზრდა კომუნიზმში ითვალისწინებს არა მარტო მწარმოებლური ძალების მძლავრ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, არამედ აგრეთვე კომუნისტურად შეგნებულ და მაღალგანათლებული ადამიანების აღზრდას და მოზადებას, რომლებსაც უნარი ექნებათ როგორც ფიზიკური აგრეთვე გონებრივი შრომისათვის, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში აქტიური მონაწილეობისათვის.

კაპიტალიზმი, რომელმაც გვიანტურად განვითარა მწარმოებლური ძალები, საბოლოოდ გადაიქცა საზოგადოებრივი პროგრესის უდიდეს დამაბრკოლებელ ძალად. თუ XX საუკუნეში — მწარმოებლური ძალების და მეცნიერების განვითარების უდიდესმა საუკუნეში — ჯერ ვერ შესძლო ასეული მილიონი ხალხის სიღატაკის მოსპობა, ვერ მოუტანა დღემდეაწუხ ყველა ხალხს მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების სიუხვე, ამაში დამნაშავეა მხოლოდ კაპიტალიზმი.

მხოლოდ სოციალიზმის პირობებში, რომელიც რეალურ სინამდვილედ გახდა, განხორციელებულიან ძირფესვიანი გარდაქმნები. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნებისათვის განხორციელებული იყო ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღების გზით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზების, კულტურული რევოლუციის გზით. ეს იყო სოციალიზმის მშენებლობის ლენინური გეგმის ძირითადი რგოლები.

სოციალიზმის მშენებლობა განსაკუთრებით გართულებული იყო ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ტექნიკური და კულტურული ჩამორჩენილობის გამო.

რევოლუციური გამარჯვებულ მუშებს და გლეხებს არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის, ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილება. უდიდესი დაძაბულობის პირობებში კამარჯვა მშრომელთა კლასების რწმუნებს, მათმა მოუღრვეკმა სიმტიციემ და ორგანიზებულობამ, რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში, როცა მრეწველური ბაზა შედარებით სუსტი იყო და წინაშეუწყობიული წარმოები ჭარბობდა, საჭირო იყო დასახულიყო სოციალიზმის მშენებლობის სწორი კურსი და უზრუნველგვეყო მისი მთლიანი და საბოლოო გამარჯვება.

სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობასთან, დიად ეკონომიკურ გარდაქმნებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული იყო კულტურული რევოლუცია, „იმისათვის, რომ კულტურული განვითარება, საჭიროა წარმოების მატერიალურ საფუძვლამათა ერთგვარი განვითარება, საჭი-

კომუნიზმის

მშენებლობა და

მშრომელთა სულიერი

სიმდიდრის ზრდა

ათანადილ გუნია



ომუნიზმზე გადასვლის პროცესში უფრო მეტად იზრდება ზნობრივი საწყისების როლი საზოგადოების ცხოვრებაში. რაც უფრო მაღალი იქნება საზოგადოების წყვერთა შეგნება, მით უფრო სწრაფად და წარმატებით გადაწყდება კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები. შეიქმნება შესაძლებლობა აღიზარდოს ახალი ადამიანი, რომელიც პარმონიულად იქნება შესამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ყოველივე ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება სათანადო კულტურული საფუძვლების შექმნას, ახალ, კომუნიზმის კულტურის განვითარებას. მით უმეტეს, რომ კომუნიზმის მშენებლობის პროცესში შექმნილი იქნება კომუნიზმის კულტურის შესაბამისი მატერიალური პირობები.

ამ მხრივ უდიდესი ამოცანებია დასმული სკკპ XXII ყრილობის და 1962 წ. ნოემბრის პლენუმის დადგენილებებში.



ქ. უსიკოვა

ილიჩინა

როა ერთგვარი მატერიალური ბაზა¹ — ამბობდა ვ. ი. ლენინი. მართლაც და, ამ გვიგანტური ღონისძიებების შედეგად მშრომელი მასები განათავისუფლდნენ სინთელსისაგან და სულოური მონობისაგან, ეზიარნენ კულტურის იმ სიმდიდრეს, რომელიც დაგროვილი იყო კაპიტალიზმის მიერ საუკუნეების განმავლობაში. ქვეყანამ, რომლის მისახლოების უმრავლესობა უწინური იყო, გვიანტური ნახტომი გააკეთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარების უმაღლესი მწვერვალებისაკენ. ამაზე მშრომელ ადამიანს ოცნებაც კი არ შეეძლო წარსულში. XIX საუკუნის, ეპოქალურ დოკუმენტში, კომუნისტური პარტიის მანიფესტში, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა საზოგადოების განვითარების ისტორიის გენიალური ანალიზი მოკვეს. მათ გვიჩვენეს კაპიტალისტური წარმოების წესის როგორც პროგრესული აგრეთვე რეაქციული მხარე. მათ დაასახლეს მუშათა კლასის ბრძოლის გზები ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის.

როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი გვასწავლიდნენ, ბურჟუაზია მყრად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისტორიაში. მას არ შეეძლო ვერსება ისე, რომ მუდმივად არ გამოეწვია გადატრიალებული წარმოების საშუალებებში და წარმოებრივ ურთიერთობებში.

საქვეყნოდ გამოაცხადა რა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი, ბურჟუაზიამ გაათავისუფლა ექსპლოატაცია რელიგიურ და პოლიტიკურ საბურჟუაზიო გახეილი ილუზიებისაგან, შეცვალა იგი ღია და უსიარცხილო ექსპლოატაციით. ინტელექტუალური შრომის მუშაკები კი გახადა გაბატონებული კლასის დაქირავებული მუშაკებად. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საგანძური ხელოვნებაში შექმნილი იყო მშრომელი ადამიანის მიერ, სულიერი განვითარების ყველა საშუალება ემსახურებოდა დაკრძობულ, ექსპლოატატორული კლასის ინტერესებს. მაქსიმ ვიკრი ამბობდა, რომ ხელოვნების ფუქემდეგობები იყვნენ მყედლები და ოქრომყედლები, მერკურთომები, მქსოველები, კალატოზები, მღებავები, მეყრავები, ხუროები და საერთოდ — ხელისნები, ის ხალხი, ვის მიერ არტისტულად გაკეთებული საგნები, გვასარებენ ჩვენ — და რომლებითაც შევსებულია მუხუეები. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზია არასოდეს მისულა იმ გავებამდე, რომ კულტურის განვითარების პროცესის შინაარსი უკლისმიზნის მთელი კაპიტალიზმის კულტურის ზრდას, პირველ რიგში, მშრომელ მასების კულტურის ზრდას. კომუნისტური მანიფესტში, პროლეტარიატის ამ დიდ ქარტულს, ნათქვამია, რომ „პირველ ნაბიჯს მუშათა რევოლუციაში წარმოადგენს პროლეტარიატის გადაქცევა გაბატონებულ კლასად, დემოკრატიის მოპოვება ბრძოლით. პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას გამოიხატავს, რომ თანდათან ათავსოვლიანობს ბურჟუაზიას მიმდებარე კაპიტალი, მოახდინებს წარმოების ყველა იარაღის ცენტრალიზაციას სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად ორგანიზებული პროლეტარიატის ხელში და რაც შეიძლება სწრაფად გაამრავლოს საწარმო ძალთა რაში². ეს აუცილებელი იყო მშრომელთა ფართო მასე-

ბის კულტურული განვითარებისათვის. მარქსისა და ენგელსის იდეებმა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობის შესახებ კონკრეტული გამოხატვა პოვეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა პარტიის მთლიან ყრილობაზე 1903 წ. ეს იყო ჩვენი პარტიის პირველი პროგრამა. უახლოეს ამოცანას, რომელიც დასმული იყო პარტიის პირველ პროგრამაში, წარმოადგენდა ფემპრობლობის ამშოვნა და მისი შეცვლა დემოკრატიული რეჟიმით. ამ ამოცანას განასახიერებდა პროგრამის მიერ დასახულ კონკრეტულ ღონისძიებებში, რომლებიც წარმოადგენდა იყო ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული და ეკონომიკური გარდაქმნებისაკენ. მხოლოდ მუშავედ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას, პარტიის მერვე ყრილობაზე მიღებულ პროგრამაში, რომელიც წარმოადგენდა პარტიის მერვე პროგრამას, დასახული იყო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზები.

ეკონომიკურ დარგში პროგრამა ითვალისწინებდა ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის ბოლომდე მიყვანას, წარმოების საშუალებების საერთო სახალხო საკუთრებად გარდაქმნას. საბჭოთა ხელისუფლების მთავარ, მეურნეობრივ პოლიტიკის განსახლავრებულ ამოცანას წარმოადგენდა ქვეყნის შწარმოებლური ძალეების ყოველმხრივი ამაღლება, უახლოეს პრაქტიკულ ამოცანას კი — მოსახლობისათვის აუცილებელი საბირო პროდუქტების რაოდენობის დაუყოვნებლივ ზრდა. სხვა ყველაფერი კი ამ ამოცანის შესრულებას ექვემდებარებოდა.

ეკონომიკური მდომარეობის ასეთ პირობებში, როდესაც პირველი ნაბიჯები იყო გადადგმული სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის ჩასაყრელად, პარტიამ საზოგადოების მშრომელი ფენების სულიერი განვითარებისათვის აუცილებლად მათვალა, პირველ რიგში „გაიხსნას და მშრომელთათვის ხელმისაწვდომი გახდეს ხელოვნების ყველა საუწავი, რომელიც შექმნილია მათი შრომის ექსპლოატაციის საფუძველზე, და რომელიც აქამდე ექსპლოატატორთა განსაკუთრებულ განკარგულებაში იმყოფებოდა“³.

ამის შედეგად ადამიანის სულიერი განვითარების ყველა ფასეულებანი გამოეყრებოდა უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის, მშრომელი ვლეობისა და სახალხო ინტელიგენციის კულტურული ღონის ამაღლების მიზნებისათვის. იქმნებოდა პირობები, რომ მშრომელთა ფენები მასობრივად ჩამბოლყვნენ კულტურული რევოლუციის საერთო სახელმწიფოებრივი საქმის განხორციელებაში. ამ მხრივ საქართველოში გატარდა რიგი ღონისძიებებისა. ასე, მაგალითად, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წ. 28 ივნისის დეკრეტის საფუძველზე განათლების სახალხო კომისარიატს გადაეცა ყველა სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, კერძოდ, ყველა საბის დაწესებოთი, დაბალი, საშუალო ღია და დახურული ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სასწავლებლები. 1921 წ. 5 ივლისის დეკრეტის საფუძველზე ნაციონალიზებული საცამებები და ლითოგრაფიები ყველა დანდა-

¹ ვ. ი. ლენინი „კომპარტიის შესახებ“, ოსხ. ტ. 33, გვ. 561.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, 1949, გვ. 76.

³ „საკვანძო რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში...“ ნაწ. I, 1954, გვ. 535.

გარეთა და მასალათა. 1921 წ. 11 ივლისს დეკრეტის საფუძველზე ყველა კინოფაქტორი მთელი თავისი ქონებით და გაწყობილობით გამოცხადებული იყო საბჭოთა სახელმწიფოს საკუთრებად. ამგვარი ღონისძიებები იყო განხორციელებული ინდოეთშიც და მუსულმანების სახით, კინოჩემუკლების განვითარების მიზნით და სხვ. გარდა ამისა, 1921 წ. 11 ივლისის დეკრეტის საფუძველზე აგრძალებული იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ კულტურისა და განათლების საგნების გატანა, რათა დაეცული ყოფილიყო ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული საუნჯე, რასაც განსაკუთრებული მხატვრული, ისტორიული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ქონდა⁴. ამრიგად, ხორციელდებოდა ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „აუცილებელია გამოვიყენო ყოველივე ის, რაც ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა კაპიტალისტურ კულტურულ ღირებულებათა არჩილად“⁵. ამის გარეშე, ვეგანგლიდა ლენინმა, შეუძლებელია სოციალისტური კულტურის განვითარება.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა დიდი როლი შეასრულა ნაციონალური კულტურის განვითარებაში მისი სოციალისტური მიზნების გაღრმავების საფუძველზე. სოციალიზმის გამარჯვების ფორმით ნაციონალური კულტურის განვითარების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ეროვნული საკითხის გადაჭრა. მხოლოდ სოციალიზმის დროს გახდა შესაძლებელი ერების ყოველმხრივი გვიწინაგვიანი და კულტურული განვითარება. სოციალისტური საზოგადოებაში უზრუნველყოფილია ერების პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, ლეგიტიმებულია ძველი წყობილების მიერ დატოვებული როგორც მეციკედრობა, მათი ეკონომიკური და კულტურული არათანაბრობა. საბჭოთა შექმნა თავის ქვეყანაში თანამედროვე მრეწველობა და მხარეების შედეგად ყველა საბჭოთა ნაციონალურმა რესპუბლიკამ შექმნა თავის ქვეყანაში თანამედროვე მრეწველობა, მუშებისა და ინტელიგენციის ნაციონალური ადრები, განავითარეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა. მართლაც და „ნებაყოფილობით საწყისებზე ერთიან მრავალწიფოვან სახელმწიფოში — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში თანასწორუფლებიან სახლთა გაერთიანება და შეკავშირება, მათი მჭიდრო თანამშრომლობა, სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურის აყვავება ლენინური ერთეული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შედეგია“⁶. „ეროვნული საკითხის გადაჭრა სოციალიზმის დროს მტკიცედ იყო დაკავშირებული ერის ეკონომიკურ და კულტურულ ზრდასთან, რომელიც ხორციელდებოდა საზოგადოებრივი საკუთრების, სოციალისტურ წარმომრეხი ურთიერთობათა გაბატონებული მდგომარეობის, ადამიანის მიერ ადამიანის ეპაქსოლატაციის არ არსებობის საფუძველზე. „ერის შიგნით კლასთა წინააღმდეგობის დაცემასთან ერთად დაეცემა ეროვნებათა მტრუ-

ლი დამოკიდებულება ერთმანეთში“⁷, ასე წერდნენ კ. მარსი, და ფ. ენგელსი კომუნისტურ მანიფესტში. მაშინ საკითხი იდგა იმის შესახებ, რომ პროლეტარიატმა აუცილებლად უნდა მიიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება, რათა „ამაღლებს ნაციონალური კლასის მდგომარეობამდე, ჩამოაყალიბოს თავისი თავი ერთად“⁸.

ჩვენი პარტიის პირველ პროგრამაში სპეციფიკურად გამოცხადებული იყო, ყოველგვარი წარმოდგენი ყოველგვარი მოქალაქის მილიანი თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად მისი სქესისა, რელიგიური რწმენისა, რასობრივი და ნაციონალური წარმომადგენლობისა, უფლება ყველა მოქალაქისა — ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე. მშობლიური ენის შემოღებ: ყველა ადგილობრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში, ყველა ერის მიმართ, რომელიც უნდა იქნას ხელმწიფოს შემადგენლობაში, წარმოდგენდა თვითგამორკვევის უფლებას.

პარტიის მეორე პროგრამაში, გამომდინარე ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამოცდილებიდან, მთავარი ყურადღება ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაში ექცეოდა სხვადასხვა ერების პროლეტარიატის და ნახევრად პროლეტარიატის დაახლოებას შემავსებლებისა და ბურჟუაზიის დამშობისათვის ერთობლივ ბრძოლაში, აგრეთვე დამონებული ქვეყნების მშრომელთა მიერ დამონებული ქვეყნების პროლეტარიატის მიმართ უფლებობის გადაღებას. ამისათვის აუცილებელი იყო ყოველგვარი უპირატესობის მოსპობა ცალკეული ნაციონალური ჯგუფებისათვის, ერების მილიანი თანასწორუფლებიანობა, კოლონალურ და არათანაბრუფლებიან ერებისათვის სახელმწიფოებრივი გამოყოფის უფლების აღიარება.

ეროვნული პოლიტიკის აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის მავალის წარმოადგენდა და წარმოადგენს სახელმწიფოს ფედერაციული გაერთიანებები საბჭოების სახით, რომელიც ერთ-ერთი გადამამავალი ფორმაა მილიან ერთიანობის გზაზე.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა სოციალისტური ერები. ჩამოყალიბდა სოციალისტური ერების მუშათა კლასი, კოლმეურნეობრივი გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია.

მ. გორკი ამბობდა, რომ იქ, სადაც უძველესი ტომების კულტურა ჩახშობილი იყო მღვდლებებისა და მეფის კოლონალური პოლიტიკით, ამგავად ჩინებულად მგლავდებოდა მათათვის უფლებული ხალხის ტლანტები და საუნჯეები. ასეთ ქვეყანაში ხელოვანი და მეცნიერი განსაზღვრულია მხოლოდ მშრომელი ხალხის სურვილი, — იმ სურვილი, რომელიც მისწრაფვის ათვისის კაცობრიობის ქაზმიზირებად კულტურული განძეულობა⁹.

სოციალიზმის მატერიალური ტექნიკური ბაზის მშენებლობა, სოციალისტური კულტურის განვითარება და სოციალისტური ერების ჩამოყალიბება წარმოადგენდა სოციალისტური მწარმოებლური ძალების და სოციალისტურ წარმომრეხი

⁴ Борьба за упрочение Советской власти в Грузии, сб. док. ум. и материалов (1921—1925 гг.), Тбл., 1959, стр. 500—507, 513—525.


⁵ ვ. ი. ლენინი, „სიბუჯე სტალიად რუსეთის ცაის გიერათანჯებულ სტალიანზე“, თბ., ტ. 28 გვ. 505.

⁶ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 18.

⁷ კ. მარსი, და ფ. ენგელსი, კომუნისტურ პარტიის მანიფესტი, 1949, გვ. 74.

⁸ იქვე, გვ. 73.

⁹ М. Горький, О литературе, стр. 836.



ა. დეინეკა

კარტი დილა

საქართველს
სლოვანს



ურთიერთობათა ერთობლივ პროცესს, სოციალისტური წარმოების წესის განვითარებას.

ყოველთვის, როდესაც მხედველობაში გვაქვს სულიერ და მატერიალურ წარმოებას შორის კავშირი, უპირველეს ყოვლითა — გვასწავლიდა კ. მარქსი, — საჭიროა თვით მატერიალური წარმოების არა როგორც საყოველთაო კატეგორიის განხილვა, არამედ მისი განხილვა გარკვეულ ისტორიულ ფორმის მიხედვით¹⁰.

კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, კომუნისტური წარმოების წესის ფორმირებასთან ერთად იწვევს საბჭოთა ხალხების კიდევ უფრო მჭიდრო განვითარებას. სულ უფრო ინტენსიური გახდება ერებს შორის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გაცვლა, გაიზარდება თვითეული ერის წვლილი კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში. თვითეული ერის კულტურული საგანძური სულ უფრო მეტად გამდიდრდება ქმნილებებით, რომლებიც ინტერნაციონალურ ბასისათ იძენენ. სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის და სოციალისტური კულტურის განვითარების, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, მთელი სოციალისტური ბანაკის მწარმოებლური ძალების განვითარებაში ერთი ერთგვობის ინტერესების შეხამების მაგალითს საზოგადოებრივ ინტერესებისადმი წარმოადგენს სოციალისტური საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარება. მხოლოდ 41 წელსა განვლო იმ დროიდან, როდესაც საქართველოს სახალხო მუერნობა ჩამოირჩინო კოლხიურ მუერნობის ქვეყანას წარმოადგენდა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო მრეწველობის განვითარების დასუსტებული და წერილობითი გულსური მუერნობის აბსოლუტური სიჭარბე სოფლად. 1913 წ. მრეწველური პროდუქციის საერთო ღირებულებიდან მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა რუბელი 78 მან; საქართველოში კი 19 მან. ანუ ოთხჯერ ნაკლები. მექანიკური ძრავების საერთო სიმძლავრე კი 10 ჯერ ნაკლები.

საქართველოს სახალხო მუერნობა განსაკუთრებულად დაზიანდა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში და მენშევიკური მთავრობის დროს. უკანასკნელმა ქვეყნის ეკონომიკა მიიყვანა მთლიან დევრადაციაში.

საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა წარმოადგენდა მისი განვითარების ძირითად თავისებულებას, ამ ჩამორჩენილობის გაღალახვის გარეშე არ შეიძლებოდა სერიოზული ფიქრიც კი მწარმოებლური ძალების და სოციალისტური კულტურის განვითარებაზე. ეკონომიკური და კულტურული განვითარების, მშრომელთა ფენების მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესების, მათი მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული ღირის ზრდის, აგრეთვე არამშრომელი კლასების ნაშთების მთლიანად ლიკვიდაციის, მოსახლეობის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმის ერთადერთ პირობას წარმოადგენდა მუერნობის სოციალისტური სექტორის განმტკიცება, მწარმოებლური ძალების განვითარება, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

სოციალისტური მშენებლობის წლები უმაგალითოდ მძიმე, მაგრამ შემოქმედებითი შრომის წლები იყო. ეს იყო ის პე-

რიოდი, როდესაც ვ. ი. ლენინის მიერ დასახული გეგმით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ხალხი თანამედვერულად ახორციელებდა პარტიის მიერ დასახულ სახალხო მუერნობის აღდგენის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, წვრილგულსური მუერნობის კულტურულიზაციის და კულტურული რევოლუციის გენერალურ ხელს.

საჭირო იყო დამსხრევა ძველი ეკონომიკური ურთიერთობისა და შექმნა ახალი, სოციალისტური ურთიერთობისა. საქართველოში, ისე როგორც რუსეთში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი პერიოდი ხასიათდებოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მრავალწობიანობით.

იმის გამო, რომ სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მუშათა და გლეხთა მთავრობის ხელში იყო თავმოყრილი და დამყარებული იყო პროლეტარიატის დიქტატურა, სოციალისტური წყობა წარმოადგენდა უმაღლეს, მუერნობრივ და კულტურულ ცხოვრების განსახლებურელ წყობას და საბჭოთა ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ხორციელდებოდა მურეუზიული მუერნობის ფორმებისა და მმართველობის მსხრევა, მუერნობის სოციალისტური სექტორის უპირატესი განვითარება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველო მტკიცედ დაადგა სოციალისტური მშენებლობის იეს. ამ ისტორიული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო იყო სოციალისტური სახალხო მუერნობის ეკონომიკური საფუძველი შექმნილიყო, საბოლოოდ მოეციებინებოდა ფეოდალური და კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობათა ნაშთები სახალხო მუერნობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განმტკიცებოდა პროლეტარიატის დიქტატურის ბაზა.

ქართული ხალხის წინაშე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დაისვა ამოცანა ახა იმდენად სახალხო მუერნობის დარგების აღდგენისა, რამდენადაც ახალი ფაბრიკებისა და ქარხნების, რკინიგზებისა და ვაგატკეცილების, ახალი ელსადგომებისა და სარწყავი არხების მშენებლობისა, კულტურის განვითარებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა. ამ ამოცანის შესრულება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ჭრილობების განკურნების შემდეგ, რომელიც მიყენებული ჰქონდა სახალხო მუერნობის იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით და მენშევიკური მთავრობის არსებობით.

სახალხო მუერნობის რეკონსტრუქციის, საქართველოს აგრარული რესპუბლიკიდან ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გარდაქმნის დიდი ამოცანებში გადჭრილი იყო პირველი სოციალისტური განმაჯობაში. თუ 1913 წ. მრეწველობისა და სოფლის მუერნობის ერთობლივ პროდუქტში სოფლის მუერნობის პროდუქტის ხვედრი წონა შეადგენდა 90%, მრეწველობის კი მხოლოდ 10%, უკვე 1933 წ. მრეწველური პროდუქციის ხვედრი წონა გაიზარდა 60,0%-მდე, სოფლის მუერნობისა კი შემცირდა 40,0%-მდე. სოციალისტური მუერნობის არნახულმა ზრდამ, ელექტრისადგურების ქსელის გაშლამ, ახალი ინდუსტრიული კერების, მრეწველობის ახალი დარგების შექმნამ საქართველო გამოიყვანა მრეწველობის მხრივ განვითარებულ რესპუბლიკათა მოწინავე რიგებში. მრეწველობის წამყვანი როლის გაძლიერებამ რესპუბლი-

¹⁰ K. Маркс. Теория прибавочной стоимости, 1954, стр. 263.

კის სახალხო მუერნობაში, საქართველო გარდაქმნა წარსულში მევის რუსეთის განაპირა ნედლეულის მომწოდებელი ქვეყნიდან ინდუსტრიულად განვითარებულ რესპუბლიკად. მომზადებული იყო ყველა აუცილებელი პირობა შემდგომი ეკონომიკური და კულტურულ-ტექნიკური პროგრესისათვის.

ომამდელი ხუთწლებების წლები საქართველოში, ისე როგორც მთელ სამბჭოთა კავშირში, სახალხო მუერნობის რეკონსტრუქციის დამთავრების, სოციალისტური სისტემის მუერნობრივი და კულტურული მშენებლობის განვითარების წლები იყო. ამ წლებში, ჩვენს ქვეყანაში, როგორც ეკონომიკაში, აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სიღრმისეული თვისობებით ცვლილებები მოხდა. ეს იყო წოდებითაბრტალისტური ელემენტების მთლიანი ლიკვიდაციისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისა, რის შედეგად ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ პერიოდში — სოციალიზმთან კომუნისში თანდათანობით გადასვლის პერიოდში.

საგარეო მხარეებში გაიზარდა მრეწველური განვითარების ტემპები. თუ ცარიზმის დროს 12 წლის (1900—1912 წ.წ.) განვითარებაში მრეწველური პროდუქციის მოცულობა გაიზარდა მხოლოდ 3-ჯერ, 1923—1935 წ.წ. ანუ სამბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლის განმავლობაში იგი გაიზარდა 18 ჯერ, 1960 წელს კი 1913 წლის მიმართ 40-ჯერ.

სამბჭოთა საქართველოში შეიქმნა მრეწველობის 30-მდე ახალი დარგი. საქართველო გარდაქმნა ეკონომიკურად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ და მაღალანვითარებულ მრავალდარგიან სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. სამბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად. ამ შექმნილია მრეწველობის ისეთი მაღალტექნიკური დარგები, როგორცაა მეტალურგია, ქიმიკ, ელექტროტექნიკური სატვირთო მანქანების, ელექტროძრავების, ხელსაწყობის მშენებლობა, მანქანათმშენებლობა და სხვა, რომლებმაც შესვალის რესპუბლიკის ინდუსტრიული სახე და მაღალ დონეზე აიყვანეს საქართველოს მრეწველობის წარმოებრივ-ტექნიკური კულტურა.

მრეწველური წარმოების მაღალ ტემპებთან ერთად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მწარმოებლური ძალების განვითარებაში.

საქართველოს მრეწველობის და კულტურის ძირითად კერებად თბილისთან ერთად გახდნენ ქუთაისი, ჭიათურა, ფოთი, სოხუმი, ბათუმი, ცხინვალი და სხვა.

განვითარდა საქართველოს მრავალდარგიობრივი სოფლის მეურნეობა. ცნობილია, რომ მრეწველურმა „აგრარულმა რეფორმამ“ ვერავითარი არსებითი ცვლილება ვერ შეიტანა დატაკ გლეხთა ფენების მდგომარეობაში, საუკეთესო მიწების მეტაკ ნაწილი დარჩათ მიწათმფლობელებს. ამ რეფორმის შედეგად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მსხვილი მემამულეები და კულაკობა. გლეხთა მუერნობის საერთო რაოდენობის 70,8% ფლობდნენ მთელი მიწის მხოლოდ 37,4%. მიწა მუშავდებოდა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი იარაღებით, რის შედეგად სოფლის მეურნეობის წარმოების მაჩვენებლებზე დასუსტებულად დარჩა დონეზე იყო. როგორც

რეგოლუციაამდე ისე მრეწველური საქართველოში სოფლის მეურნეობის ძირითადი წარმოების იარაღ წარმოადგენდა — კავი, თხიბ, ხის გუნათი და ფარცხი. გლეხური მუერნობის უმეტეს ნაწილ სოფლებით არ ქონდა სახნავი იარაღი, 60% — სკი არ ქონდა სატრანსპორტო ინვენტარი.

უდღესი როლი სოფლის განვითარებაში, მისი მწარმოებელურ-ტექნიკური კულტურის ამაღლებაში, საქართველოს გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის და კულტურული დონის ამაღლებაში შესურდა კოლმუერნობრივმა მშენებლობამ. უკვე 1953 წლისათვის გლეხური მუერნობის 99,9% კოლექტივიზებული იყო. მსხვილ სოფლის მეურნეობრივ წარმოებაში გაერთიანებამ მტკიცე საფუძველი შექმნა სოფლის მეურნეობრივ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის, სოფლის მეურნეობრივი ტექნიკის უფრო რაციონალური გამოყენებისათვის. 1960 წ. რესპუბლიკაში ირიცხებოდა 12.300 ტრაქტორი და 1700 მარცვლეული კომბაინი, ამ დროისათვის ელექტროფიკრებული იყო კოლმუერნობების 54% და სამბჭოთა მეურნეობების 93%.

რესპუბლიკაში შექმნილი იყო და განვითარდა სოფლის მეურნეობის ახალი დარგები. საქართველო გახდა სუბტროპიკული კულტურების და ჩაის, მალაგანავითარებული მღვიმეობის, მებაღეობის და თამბაქოს პროდუქციის წარმოების მხრე წყაყენა რაიონად სამბჭოთა კავშირში.

ამრიგად, სამბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს კოლმუერნო გლეხობამ მიადწია დიდ გამაგრებების მეურნეობრივ და კულტურულ მშენებლობაში, რის შედეგად საქართველოს სოფელი მოხდა ძირეული თვისობებით ცვლილებები. განხორციელებული იყო ცხოვრებაში ვ. ი. ლენინის მიითებება პარტიის X ყრილობაზე იმის შესახებ, რომ „წერილი მიწათმომქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგის და ჩვევათა განდამუშავების საქმე მთელი თაობათა საქმეა. წერილი მიწათმომქმედის მიმართ ამ საკითხის გადაწყვეტა, მთელი მისი ფსიქოლოგის, ასე ვთქვათ გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმომქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივ მასშტაბით გამოყენებას, მასობრივი მასშტაბით მოწყობილ ელექტროფიკაციას. აი რა გარდაქმნა ძირფესვიანად და უდღესი სისწრაფით წერილი მიწათმომქმედს“¹¹. მართლაც და, როგორც ამბობდა ლენინი, გლეხებისათვის უნდა გვეჩვენებინა, რომ მხოლოდ მრეწველობის ორგანიზაცია თანამედროვე მაღალ ტექნიკურ ბაზაზე, ელექტროფიკაციის ბაზაზე, შექმნიდა პირობებს ქალაქისა და სოფლის დაკავშირებისათვის, მათი დაპირისპირებულობის ლიკვიდაციისათვის, სოფლის კულტურული აღმავლობისათვის.

სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, მშრომელთა კულტურული დონის და მწარმოებლური ძალების ზრდის ხარისხობრივი მაჩვენებლები ის ცვლილებებში, რომელიც მოხდა რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურაში. საქართველოში საგრანობლად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის ხვედრიწონა რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში და შესამწინევი ცვლილებები მოხდა სახალხო მუერნობის დარგებში

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 263.



დასაქმებელი მოსახლეობის პროპორციებში, როგორც წარმოებდა ისე არამწარმოებრივ სფეროში.

კაპიტალიზმის დროსაც უღებია მოსახლეობის სტრუქტურულ-ცვლილებები, განვითარებულ კაპიტალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის უფრო დიდი ხვედრითაა სოფლის მოსახლეობისთან შედარებით. მაგრამ ამ პროცესს წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს, რადგან ის მიმდინარეობს კაპიტალიზმის დროს არსებულ ქალაქსა და სოფელ შორის დაპირისპირებულობისა და საერთოდ კაპიტალისტური წარმოების წესის წინააღმდეგობის გადრმავეების ვითარებაში.

კაპიტალიზმის დროს სოფლის მოსახლეთა ხვედრითობის შემცირება მიმდინარეობს სტიქიურად, გლეხურ და წარულო ფერმერულ მეურნეობათა გადატაკების და მათი სოფლიდან გაშორების შედეგად, რადგან ისინი არა მარტო ვერ უძლებენ მსხვილ მემამულეთა კონკურენციას, არამედ მსხვილი მემამულეობის შთანთქმენ მათ, რის შედეგად ისინი იძულებული ხდებიან ან მათ კაბალისში მოხდენენ ან კიდევ წაყიდენ ქალაქს სამუშაოს საძებრად.

ქალაქსა და სოფლის შორის მოსახლეობის ადვილი სტიქიური გადაადგილება წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოქმედების გამოხატულებას, რომლის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მრეწველობაში დასაქმებულ მშრომელთა ექსპლუატაციის გაძლიერება და ნაკლებად შეძლებულ გლეხთა მეურნეობების გადატაკება.

სოციალიზმის დროს მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები სტიქიურად არ მიმდინარეობს, იგი ხორციელდება გეგმაზომიერად მწარმოებლური ძალების გადაადგილების სოციალისტური კანონის მოქმედების თანახმად. სოფელსა და ქალაქს შორის ურთიერობის კი ყალიბდება მეშაბა კლასის და კომუნურნობრივი გლეხობის ამხანაგური, მეგობრული ურთიერთდახმარების საფუძველზე, რადგან მათი მოღვაწეობა მიმართულია საერთო-საზოგადოებრივი ამოცანის — კომუნისტურ საზოგადოების მშენებლობის ამოცანის შესასრულებლად. მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის გაძლიერება და გააღრმავება, ამ კავშირის გაძარდა მუშებსა და გლეხებს შორის მეგობრობაში, თანდათანობით მივიყვანს მათ შორის კომუნობრივი განსხვავების მოსპობად, რაც განხორციელდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში. სოფელთან წარმოებრივი კავშირის გაფართოება-განვითარებასთან ერთად, მუშათა კლასი, როგორც საზოგადოებრიობის მოწინავე კლასი, სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელი ძალა ახორციელებს დიდ დახმარებას კომუნურნობრივი გლეხობის კულტურული დონის ამაღლებისათვის, სოფლისმეურნეობრივ შრომის ინდუსტრიული შრომის სახესვავაობად გარდაქმნისათვის.

ამრიგად, მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები სოციალისტური საზოგადოების პირობებში მარეწებელია სოციალიზმის მწარმოებლური ძალების ზრდისა და ხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის მოქმედების საფუძველზე.

საქართველოში მოსახლეობის საერთო რიცხვი 1959 წ. 1913 წ. შედარებით გაიზარდა 61,0%, ქალაქის მოსახლეობა

კი ამავე წლებში გაიზარდა 3,5 ჯერ. მილიანად ქალაქის მოსახლეობის ხვედრითაა რესპუბლიკის საერთო მოსახლეობაში ამაღლდა 19,3%-დან 1913 წ. 42,0%-მდე 1959 წ. ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტურ და შეფარდებით ზრდასთან ერთად საგრძობლად გაიზარდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. 1959 წ. მათი რიცხვი გაიზარდა 1921 წ. შედარებით 9-ჯერ, მათი ხვედრითაა კი ამაღლდა მოსახლეობის საერთო რიცხვი 3,8%-დან 1921 წ. 20,9%-მდე 1959 წ.

საქართველოს მწარმოებლური ძალების ჩქარი ზრდის ნათელი მაჩვენებელია მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვის ზრდასთან ერთად. ასე 1959 წ. მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა რიცხვი 1913 წ. შედარებით გაიზარდა 12,5-ჯერ, მათი ხვედრითაა კი რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვი ამაღლდა 0,7%-დან 1913 წ. 5,7%-მდე 1959 წ.

მწარმოებლური ძალების განვითარებასთან ერთად მუდმივად იზრდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა. მაღლებდა მუშების, კოლმურნეების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და მოსამსახურეთა კვალიფიკაცია და კულტურულ-ტექნიკური დონე.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად საგრძობლად გაიზარდა მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო დონე.

ჯერ კიდევ მეორე ხუთწლიდის პერიოდში საქართველო წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნის რესპუბლიკად გადაიქცა. განხორციელებული იყო საავადმებლო საერთო საყოველთაო სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში. ამაშიად საქართველოში განხორციელებულია საყოველთაო საავადმებლო სწავლება შეიდწლიანი სკოლის ფარგლებში. ფართოდ გაიშალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი, 1960/61 სასწავლო წელს რესპუბლიკაში იყო 4665 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელშიც სწავლობდა 700 ათასზე მეტი მოწაფე, მასწავლებელია რაოდენობა კი ამ სკოლებში შეადგენდა 58 ათას კაცს.

ვ. ი. ილინის ხშირად აღნიშნავდა, რომ შრომის მწარმოებლურობის ზრდის აუცილებელი პირობაა წარმოადგენს მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ზრდა. მართლაც, და, სამტოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში გამჭრეტილი როლი შეასრულა ამ ორმა ფაქტორმა — შრომის მწარმოებლურობის ზრდამ და მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებამ...

საქართველო ჯერ კიდევ იმის წინა წლებში ერთ-ერთ პირველთაგანი იყო სამტოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით უზრუნველყოფის მხრივ.

სამტოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში შედგენილია უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი, სადაც აღიზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. 1960 წლისათვის საქართველოში, რველუკისადმი პერიოდთან შედარებით, უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა გაიზარდა 19-ჯერ. საშუალო და არსრული საშუალო განათლების მქონეთა რაოდენობა



მზაბაძის სარაიონო კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცეკვა ფერხული — ფარცაყვეთა

მარნეულის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.
მუსიკალურ-პორეორგადიული კომპოზიცია. „ზემი კოლმეტრენობა“



საქართველო
საქართველო

დენობა მოსახლეობის 1000 სულზე გაიზარდა 113-დან 1933 წ. 315-მდე, 1959 წ. უმაღლესი განათლების მქონეთა რაოდენობა კი შესაბამისად 11-დან 38-მდე.

საქართველოში ყოველ ათას მოსახლეს სწავლობს 3-ჯერ მეტი ვიდრე საფრანგეთში, 3,6-ჯერ მეტი ვიდრე იტალიაში, 8-ჯერ მეტი ვიდრე თურქეთში და 18-ჯერ მეტი ვიდრე ირანში. ამგვამად საქართველომ კულტურულ-ტექნიკური განვითარების მხრივ გაასწრო არა მარტო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა თურქეთი და ირანი, არამედ ისეთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებსაც, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და სხვ.

რესპუბლიკის ეკონომიკური და კულტურული განვითარების მთელი მსვლელობა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში წარმოადგენს სოციალისტური ერების ჩამოყალიბების ნათელ მაგალიტს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ქართული სოციალისტური ერის მუშათა კლასი, კომუნურ-ეზობრივი გლხობა და ნაციონალური ინტელიგენცია, რომელიც განაგრძობენ და ავითარებენ საქართველოს პროლეტარიატის, გლეხობის, რეპრულეციაზმული ქართველი ინტელიგენციის პროგრესულ ტრადიციებს.

მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური ღონის ამაღლება კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს მასების შრომითი თაოსნობის განვითარებაშიც, შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში. შემთხვევითი არ არის, რომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პირველი ნაბიჯები მაშინ იყო გადადგმული, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ძირეული ღონისძიებები ჩაატარა კერძო საკუთრების და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსაპოვებლად, როდესაც ძირითად წარმოების საშუალებებზე დამყარებულ იქნა საზოგადოებრივი საკუთრება.

სწორედ მაშინ ჩაიყარა საფუძველი იმისათვის, რომ მოსაბოლიყო შრომისადმი მტრული დამოკიდებულება, ქალაქის და სოფლის დაპირისპირებულობა, ფიზიკური და გონებრივი შრომას შორის წინააღმდეგობა, დამყარებულყოფი გლხებსა და მუშებს შორის მეგობრობა და მშრომელთა მასების კულტურულ-ტექნიკური ღონე მაღალ კვალიფიკაციებულ შემოქმედებითი შრომის დონემდე ამაღლებულიყო.

მშრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების პირველი წარმართვი გამოვლინების, საქართველოს მემუშების მიერ გლეხობისადმი ძმური დამოკიდებულების მაგალიტის 1921 წ. წიაღისეულის არხის მშენებლობაზე მოწყობილი შაბათობა წარმოადგენდა. უფრო ფართო და მასობრივი ხასიათი მიიღო შაბათობამ 1922 წელს საქართველოში პირველი ჰიდროელექტროსადგურის — ზაქაისის მშენებლობაზე. ეს შაბათობები წარმოადგენდნენ რუსეთის მუშათა კლასის „დაიდი თაოსნობის“ განვითარების ნაციონალურ რესპუბლიკებში.

შემდგომ რესპუბლიკის ეკონომიკისა და მუშათა კლასის და გლეხობის კულტურულ-ტექნიკური ღონის ზრდასთან ერთად, მშრომელთა შემოქმედებითი თაოსნობა სულ უფრო ფართოვდებოდა და ვითარდებოდა. საქართველოს მუშათა კლასმა და გლეხობამ გაიარეს შემოქმედებითი შრომის განვითარების სახელოვანი გზა პირველი კომუნისტური შაბათობე-

ბიდან მასობრივ ნოვატორულ მოძრაობამდე და ამით დადიწლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის განმტკიცება-განვითარებასა და გამარჯვების, სოციალისტური კულტურის დიდ ზეიშში. მშრომელთა შემოქმედებითი შრომის აღმაშენებელი ნათელ გვიგენსა, რომ სოციალისტური ინდივიდუალიზმის განვითარება ხდება მხოლოდ კოლექტიური შრომის პირობებში.

მ. კარკი შედგმით ღირებულების თეორიების განხილვისას ამბობდა, რომ მატერიალური წარმოების გარკვეული ფორმიდან გამომდინარეობს საზოგადოების გარკვეული სტრუქტურა, ადამიანების გარკვეული დამოკიდებულება ბუნებისადმი. მათი სახელმწიფოებრივი წყობილება და მათი სულიერი ცხოვრება განისაზღვრება როგორც პირველით აგრეთვე მეორით. მასმასამდე, ამითვე განისაზღვრება მათი სულიერი წარმოების ხასიათი.¹²

კულტურული რევოლუცია ვერ მოხდებოდა მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა წარმოადგენდა კულტურული რევოლუციის აუცილებელ წინაპირობას, მაგრამ ეს პროცესი ე. ი. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა და კულტურული განვითარება, არ მიიღოდა ერთმანეთისაგან მიწყვეტილად, არამედ ხასიათდებოდა მათი დიალექტიკური ერთიანობით და ურთიერთკავშირით.

სწორედ მტკიცე ეკონომიკური ბაზის შექმნამ განაპირობა განათლების და კულტურის განვითარების მასობრივი საშუალებების, ყველა მატერიალური პირობების უზრუნველყოფა, მათი გაფართოება და გაფორმება. ჩვენ ხომ ვხედავთ, იმის შესახებ, რომ წარსული კულტურული ღონისძიებებისათვის მატერიალური საშუალებების გამოხსნა ხშირად იყო დაკავშირებული კეთილშობილურ მიზნებით, რომელიც ხორციელდებოდა მოსახლეობისაგან თანხების შეგროვების საშუალებით ანდა ზოგიერთი მეცენატის კეთილგანწყობილების გამოყენებით.

აი რას სწავდა ი. ჭავჭავაძე პროფესორ ილია ოქრომჭედ-ლიშვილს ქართული თეატრის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ: „ყოფიდა, ღმერთმან იცის, მომაკვინებელი ცოდვება, რომ უღონოთი და უილაჯობით ჩვენი თეატრი გაუქმდეს. წელიწადში ერთი საბამი თუშანი რომ გარდადნა როგორმე მოგავშველებინა, თეატრის საქმე გაიჩარხებოდა და ფესი მოიმაგრებდა... შენ იცი ძმო, თუ შენ უნეს და მოწყალე ხელს გამოუწვდი ამ სულმოიღუდლს საქმეს, რომელსაც უილაჯობის სულთა მშუთავი თავს ადგას და დღეს თუ ხვალ სულს ამოართმეს!“¹³

საბჭოთა სინამდვილის პირობებში სახელმწიფო მთლიანად უზრუნველყოფს ყველა მასობრივ კულტურულ ღონისძიებას საჭირო თანხებით. ფართოდანა გაშლილი სკოლები, ბიბლიოთეკები, კლუბების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა. მათი მშენებლობის ტემპები და რაოდენობა კი განსაზღვრულია სახელმწიფოს ეკონომიკური საშუალებების ზრდით. მხოლოდ სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შედეგად შეიძლება ზოგადსაგანმანათლებ-

¹² K. Маркс, Теория прибавочной стоимости. Москва, стр. 260—263.
¹³ ილია ჭავჭავაძე, თეატრის შესახებ, 1955, გვ. 138.

ლო სკოლებში მოწოდების რაოდენობის გაზრდა 1960/1961 სასწავლო წლის 1914/1915 სასწავლო წელთან შედარებით 4-ჯერ და უფრო მეტად, უმაღლეს სასწავლებლებში მყოფ სტუდენტთა რაოდენობის — 170-ჯერ, მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობის ზრდა 1959 წ. 1913 წ. შედარებით 125-ჯერ და უფრო მეტად, მუზეუმების 21-ჯერ, კინოდაანადგარების 41-ჯერ და უფრო მეტად, წიგნების ტირაჟის გადიდება კი თითქმის 22-ჯერ.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ზრდას ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებშიც, ეს აუცილებელია, რადგან დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან საერთოდ, და კერძოდ კი — კაპიტალის ინტერესებთან. მაგრამ არცერთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდის ტემპები იგივე ვერ შეედრება ჩვენს ქვეყანაში ამ დაწესებულებების ზრდის ტემპებს. ამის გარდა, რაც მთავარია, ჩვენთან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები ასრულებენ დიდ როლს მშრომელთა ფართო მასებში სოციალისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებაში, ხელს უწყობენ მუშების, გლეხების და ინტელიგენციის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას, ახალი საზოგადოების, კომუნისტური მშენებელი ადამიანის ფორმირებას.

კულტურულმა რევოლუციამ ჩვენში ადამიანის არა ერთ-მხრივ განვითარებაში კპოვა გამოხატულება, არამედ მის მრავალმხრივ მოღვაწეობაში. ექვს გარეგან, რომ სოციალისტურ სინამდვილეში განათლებული, კულტურული ადამიანი წარმოადგენს ახალი, მოწინავე ტრადიციების გამტარებელ ძალას, მისი დამოკიდებულება შრომისადმი, წარმოებისადმი არ იფარგლება პირადი ინტერესებით, არამედ ის გამსჭვალულია საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი ინტერესებით და ამ თვისანგულს უშორილეს თვის პირად ინტერესებს.

მ. გორკი ამბობდა, რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ძლიერია იგი, ეს უდავოა, მაგრამ როდესაც იცის ადამიანმა, როგორი იდებულება ის მიზანი, რომელიც დასმულია მის წინაშე, იგი ხდება უფრო ძლიერი¹⁴.

რაც უფრო ვუახლოვდებით კომუნისტურ, უფრო შესაძრევად იხრება მშრომლების შეგნების დამოკიდებულება შრომისადმი. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშრომელთა კვალიფიკაციის, გონებრივი შრომის წინსვლის ამაღლების ამოცანა, რადგან ტექნიკური პროგრესი საგრძნობლად გადაიღებს მოთხოვნილებას წარმოების კულტურისადმი, ყველა მშრომელის სპეციალურად და ზოგადი განათლებისადმი. უკვე ამჟამად ბევრი მუშისა და კოლმურების კვალიფიკაცია იმდენად ამაღლდა, რომ მათ ყოველდღიურ მოღვაწეობაში სულ უფრო მეტად შეძლებენ გონებრივი შრომის, ანუ მაღალკვალიფიკაციური შრომის ელემენტებს.

მშრომლების კულტურული დონის ამაღლება წარმოადგენს აუცილებელ პირობას, როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდისათვის, აგრეთვე მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ახალი, უფრო კვალიფიციური დარგების შექმნისათვის,

რომლებიც მიითხოვენ როგორც შრომის მაღალ კვალიფიკაციას, აგრეთვე — მაღალ წარმოებრივ კულტურას.

საქართველოში, განსაკუთრებით იმისმომდომ პერიოდში, განვითარდა წარმოების ახალი, მაღალტექნიკური დარგები, რომლებსაც დიდი განვითარების პერსპექტივები აქვთ. აღსანიშნავია, რომ ამ დარგების ათვისება ახალგაზრდა კვალიფიციური მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების მიერ წარმატებით მიმდინარეობს. უკანასკნელ წლებში მათი ხვედრის წონა მრეწველურ საწარმოებში, კოლმურებოებში და საბჭოთა მეურნეობებში, მეცნიერულ კვლევით ინსტიტუტებში საგრძნობლად ამაღლდა.

კომუნისტური მშენებლობის მთავარი ეკონომიკური ამოცანის განხორციელება ე. ი. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობა განაპირობებს კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში გათვალისწინებულია განმარტებული და ბეჭდვითი სიტყვის ყოველმხრივი განვითარება და მის შესაბამისად პოლიგრაფიული მრეწველობის და ქაღალდის წარმოების გაძლიერება; ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, კინოსადგომების, სალექციო და სამკითხველო დარბაზების, თეატრების ქსელის გადიდება; ტექნიკის რადიოფიზიკების დამთავრება, სატელევიზიო ცენტრების მშენებლობა, რაც მოემსახურება ტექნიკის ყველა რაიონს, სახალხო უნივერსიტეტების, თეატრალური კოლეჯების და სხვა თვითნებულ კულტურულ ორგანიზაციების ფართო განვითარება; კინოსტუდიების, სამხატვრო სახელოსნოების და მეცნიერულ-ტექნიკური ლაბორატორიების ფართო ქსელის ორგანიზაცია, სადაც ყველა მოყვარულს საშუალება ექნება გამოამყვანოს თავისი ნიჭი და მისწავლანა. კულტურის ბაზის ამგვარი ფართო მშენებლობა და განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ კომუნისტური ეკონომიკის შექმნის შედეგად.

საგმარისა ითქვას, რომ რადიომაუწყებლობის სადგურების სიძლიერის მიხედვით ჩვენს ქვეყანას ამჟამად პირველი ადგილი უკავია ევროპაში და მეორე — მსოფლიოში. ჩვენ გვაქვს 31 მლნ. რადიოსატრანსლაციო წერტილი და 30 მლნ.-მდე რადიომიმბები. რადიოგადამცემის ისმება თითქმის ქაღალდის ყველა და 90%-დე სოფლის მოსახლეობა. 1950 წ. სსრკ-ში იყო სულ 15 ათასი ტელევიზიონი და ორი ტელევიზიონის ცენტრი — მოსკოვი და ლინინგრადი. ამჟამად კი ჩვენ გვაქვს 6 მლნ.-მდე ტელევიზიონი 100-ზე მეტი მძლავრი სატელევიზიო და 200 სატრანსლაციო სადგური. შეიძლევის დასარსულს კი ჩვენს ქვეყანაში იმუქმებენ 160-ზე მეტი სატელევიზიონი ცენტრი და სატელევიზიო სადგური, ტელევიზორების რაოდენობა კი გაიზარდა 15 მლნ.-მდე. ამრიგად, რადიო და ტელევიზია უსაზღვროდ საშუალებებს ქმნის როგორც პროფესიული და ზოგადგანათლებისათვის, აგრეთვე მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ამის გარდა, რამდენი ახალი ტექნიკური საშუალება შეიქმნება თეატრებში, კინემატოგრაფიაში, არქიტექტურაში და ხელოვნებისა და კულტურის სხვა დარგებში, რომლებიც შექმნიან ხელოვნების, კულტურის ყველა მუშაკისათვის შეუზღუდავ პირობებს მათი ხელოვნების განვითარებისათვის.

¹⁴ М. Горький. О литературе, стр. 283.

მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს მოღვაწეების წინაშე ისახება ფართო ასპარეზი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, მაღალი ოსტატობის გამოვლინებისათვის, შემოქმედებითი ფორმების, სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნებისათვის.

კულტურისათვის ბაზის შექმნის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს კულტურული დაწესებულებების თანაბარი ტერიტორიული გაადგილება იმ ვარაუდით, რომ სოფლის მოსახლეობის კულტურული დონე თანდათანობით აყვანილ იქნეს ქალაქის მოსახლეობის კულტურულ დონემდე, რაც მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის პროცესის დაჩქარებისათვის, კომუნისტური საზოგადოების ყველა მუშაკთა ყოველმხრივი განვითარებისათვის.


ქვემოთაღებულ მწარმოებლური ძალებისა და მშრომელთა

კულტურული დონის განვითარების ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება და დიალექტიკური ერთიანობა წარმოადგენს საწინდარს ახალი კომუნისტური კულტურის შექმნისათვის. „კომუნისტური კულტურა, — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — რომელმაც შეიწოვა და ავითარებს ყოველივე საუკეთესოს, რაც მსოფლიო კულტურას შეუქმნია, ახალი უმაღლესი საფეხურია კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. იგი განასხივრებს საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჭეშანიშს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების, საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა“¹⁵.

¹⁵ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 144.

ა. პაპიკიანი

ბაჭოილო კომისრები





„ივანეს ბავშვობა“

ალექსანდრე კოკია



ადიგრიალა ომის მრისხანე დღეებმა. გავიდნენ წლები, მაგრამ საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის მოსაგონარი ეხო დღესაც მკაფიოდ გაისმის. არ შეიძლება წარსულის დაიწყება. ომმა ძლიერი ღრმა ჭრილობა მოგვყენა, რომელიც თითქოს ღიძინებდა მოვიშუშეთ, მაგრამ დედას რა დაეიწყებს თავის პირმშოს, ცოლს რა დაეიწყებს ქმარს, ბავშვებს — მამას, რა ვაში წაშლის ჩვენი მოკონებიდან ნაცნობ-მეგობრებს, რომლებიც თუ არა ომი, დღესაც ჩვენსავე თმა-შვეერცხლილი ადამიანები იქნებოდნენ. რამდენი ნიჭი შთანთქმა მტრის ულმოზელმა ტყვიამ ან ფაშისტთა სიკვდილის ბანაკებმა. ომის გრაალი მიყურდა, მისი ნაკვალევის დაეიწყება კი შეუძლებელია.

ღიდი სამამულო ომის თემა კიდევ დიდხანს დარჩება ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედების ერთ-ერთ წყაროდ განსაკუთრებით კინემატოგრაფიაში ომის თემას ვარკვეული ადვილი უჭირავს. ომზე ახლებურად გააზრებულ და გადაღებულ სურათებს არა ერთი მაყურებელი მოუხიბლავს. მათი სახელები გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს. ამის ნათელი დადასტურებაა „ბედი კაცისა“, „მიფრინავენ წეროები“, „ბალადა ჯარისკაცზე“, „ამაზი მგზნებარე წლებისა“.

და როცა უყურებთ „ივანეს ბავშვობას“ ძალაუნებურად გახსენდებათ გ. ჩხურაის „ბალადა ჯარისკაცზე“. მათ რაღაც საერთო აკავშირებთ ერთმანეთთან. პირველ რიგში ეს გამოიხატება რეჟისურის ახლებური გააზრებით. მრავალი კინოსურათი გვინახავს ომის თემაზე, ზოგიერთი ტყუბი ძმებოვით გვანდნენ ერთმანეთს, ბევრი მესხიერებიდანაც წაიშალა, მაგრამ ღიდი სამამულო ომის თემაზე არის ფილმები, რომელთა დაიწყება არ შეიძლება. ამ სურათებში ომის თემა გადაწყვეტილია ღრმა ადამიანურობით, მათში მოქმედების ძირითადი პრინციპები გამომდინარებენ მთავარ გმირთა სულიერი სამყაროს ფართო გაანალიზებიდან, მახვილი ვადატანილია ფსიქოლოგიურ განცდებზე, ხასიათები სრულად არის გამოკვეთილი.

„ივანეს ბავშვობა“ მოსფილმის ერთ-ერთი უკანასკნელი ნაწარმოებია. იგი შექმნილია გ. ზოგომოლოვის მოთხრობა „ივანეს“ მიხედვით, თუმცა ავტორმა და სცენარის თანაავტორმა მ. პაპაევამ ბევრი რამ ისე გააკეთეს, რომ რეჟისორ-დამამდელ ა. ტარკოვსკის მეტი ფანტაზიისა და მოქმედების ერთგვარი თავისუფლება ჰქონოდა. ყოველივე კარგად გამოიყენა, ახალგაზრდა რეჟისორმა და მაყურებელს მიაწოდა პოეტური, ერთი შეხედვით რომანტიკული კინოსურათი პატარა ბიჭუნა ივანეზე — ამ ფილმში მთელი სიცხადით გამოვლინდა ნიჭიერი რეჟისორის ინდივიდუალური ხმა კინოხელოვნებაში. ღირიზმი, პოეზია, უშუალობა — წითელი ხაზოვით გასდევს ფილმის დინამიურ მსვლელობას. ამაში ვარკვეული წვლილი მიუძღვის ოპერატორ გ. იუსოს.

თითქოს წარმოუდგენელია ომი და პოეზია ერთ სიბრტყეზე განვალაგოთ, ორივე ერთდროულად ადვიცეთა, მაგრამ „ივანეს ბავშვობაში“ ომი ეს მარტო ფონი როდია, რომელზედაც ასახულია კეთილბუნა და ბოროტის ბრძოლა. ომი მასში გამოყენებულია გმირული სულისა და მტიკივე ხასიათის გამოსაკვეთად. თორმეტი წლის ბიჭუნა — ივანე, რომელმაც გამოიარა ომისა და მტრის ბანაკების მთელი საშინელება, ეუბნება უფროს ამხანაგს: „ჯერ ხომ ომია. და იცი გინ ისვენებს ახლა? ვისკანაც არაფერი არ გამოვა“. ამას სცენარისტის როდი ათქმევინებს პატარა გმირს, ეს სიტყვები თვით ნორჩი ყმაწვილის გულიდან მომდინარეობს, იგი უარს აცხადებს წაივიდეს სუვოროვის სასწავლებელში. „ახლა ხომ ომია“. ეს სიტყვები ნადრეველ დაკაც-

ბული ბავშვის სიტყვები როდია, ეს არის ბუნების ამბოხი უღიღეს ძალადობაზე და უსამართლობაზე. ეს არის აჯანყებული სულის ამოძახილი საერთოდ ომზე, რომელმაც სოფიანი უბედურება მოუტანა მილიონობით მის თანატოლს. ივანემ დაკარგა დედ, მამა, სახელ-ყარი, ბავშვობა. ყოველივე ეს ომმა წაართვა. სიკვდილის ბანაკებში თავისი თვალთი ნახა ფაშისტთა მცენებანი. გამოვლილმა ქართველმა არც დაეაყვას ბიჭუნა. ომი შემოიტარა მის ოჯახში, როგორც ბოროტი სული, როგორც ზღაპრული სიმინელება.

...ტყე, ქალები, ზავხულის მაკოცხლებელი მზე, სადღაც გუგული „გუგუს“ ძიახის; ამ ბუნებაში ხაროს ივანე, მისი დედაც. პოეზია დაუფლებია მიდამოს. მყუდროება დასადურებულა მოწმენდილ ცაზე. ივანე დედას უღიღეს, წყალს ეწაფება — და უღრბლო იცნა მეზი ჩამოყარდება. ყველაფერი ბრუნავს, თვალდათრია დგება. იწყება ომი. ამ დღეზე კარგად ამბობს ილია ერენბურგი: — „ეს იყო წელიწადის ყველაზე გრძელი დღე. და იგი გრძელდებოდა დიდხანს, ძალიან დიდხანს, თითქმის მთელი ოთხი წელიწადი. ეს იყო დღე დიდი გამოცდილება, დიდი მამაკობისა, დიდი უბედურებისა, რომელიც საბჭოთა ხალხმა აჩვენა თავისი სულიერი სიძლიერე“. ამ დღეებმა მოიხიზოვა ივანე სიცოცხლეც. ამ აღრე დაეაყვაცებულ ყმაწვილის ძვალ-რიზობი გამჯდარია საბჭოთა ადამიანისათვის დიდახასიათებელი პატრიოტიზმი და მშობლიურ მიწა-წყალზე მობოიანე მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი.

ივანე ბონდარევი, რომლის როლს ანსახიერებს კ. ბურელიავე — მოქმედების ცენტრშია. მისი სახის დახატვაში არაფერია ხელოვნური. ყმაწვილ ბიჭუნას ისე ძალუმად აღუქვამს სცენარისტებისა და დამდგმულ-რეჟისორის ჩანაფიქრი, რომ მიზანს აღწევს: არაფერი დარჩენია ივანეს ქვეყანაზე გარდა ერთი სურვილისა: შური იძიოს მტერზე იგი ჩადის გმირობას, რომელზედაც არც ერთ ყმაწვილს უოცნებია ბავშვობაში. მაგრამ ნამდვილი ომი როდია ისეთი, ბავშვობის წლებში რომ „ომობანა“ ან „ყაჩაღობანა“ სურათშია, როცა ყველას უტარდა ყოფილიყო ამ ვიორივი სააკაძე და ან არსება ოქელაშვილი. იგი სიკვდილს არაერთხელ ესტერა თვალბები. ვაჟთმშობელმა ფიფრეებმა დაეაყვაცა იგი. ყმაწვილობაში ომი უტარაფრადება ადამიანს, მაგრამ ივანე ბონდარევი — გამხდარს, ქერა ყმაწვილს გაუტარაფრად სული. ეს იფრინება ივანეს ყველ მოქმედებებში და ეს არის ყველაზე საშინელი, რაღვენადღაც ივანეში არაფერი დარჩა ბავშვური. ყოველ საკითხს ისე უდგება როგორც დიდი, გამოცდილი კაცი. იგი შეუბრალდება ივანეს. მაგრამ დამდგმული ყოველთვის ასე როდი გვიხატავს ივანეს. იგი იყენებს სიზმარს (ღიან, უკვე სიზმრად და მოგონებად იქცა მშვიდობიანი ცის ქვეშ ცხოვრება, დედის გაღიშებული სახისა და სიყვარულით ანთებული თვალბების ხილვა) და დაუშთავრებელი ბავშვობის წლები აქ ისახება. ივანე სინამდვილეში და ივანე ძილში საწინამდგომე სახეებია გარემოც, ბუნებაც, სიცოცხლეც სრულ კონტრასტში არიან ერთმანეთთან.

დასამახსოვრებელია ეპიზოდი ქვანთს. ივანე და მისი დედა ჭაში იყურებიან. წყალზე აირეკლება მათი სახეები: ივანე ეძებს ბედნიერების ვარსკვლავს, რომელიც დიდის თქმით, დღისითაც მოჩანს ცაზე. ბიჭუნა ეძებს ამ ვარსკვლავს, ბოლოს მიაკვლევს და ის არის ხელი უნდა წაატანოს, რომ ჭაში გულისწამლები გრიალით ეცემა მეზი — სიკვდილი, რომლის პირველი მსხვერპლი ივანეს დედა. გაქრა ყოველივე — თაყარა მზე და მოწმენდილი ცი, ტან-ყერილი ვერხხენარები და ჩიტუნების საამო კლურტული. რა შორსაა ყოველივე ეს დაბალი და ბნელი მიწურიდან. წარსულის მხოლოდ მოგონება დარჩა. უკან დარჩა განუმეორებელი ბავშვობა. ივანეს ძილის წუთებში ნანახსა და განცდილში, რეჟისორის თვალსაზრისით, არაფერია ახალი. მაგრამ მასში შერწყმულა ცხოვრების ფილოსოფიური კანონები: ასეთია ცხოვრება, იგი სასცა მოუღონდელიობით. ბუნებაში ყველაფერი იცვლება. სწორედ ბუნების ამ ფაქტურების გამოყენება მხატვრული სახეების და ხასიათების გამოყენებაში, შურისძიების მომწოდებელი ღრმა სულიერი ჭილით აძლევს სურათს დიდ ემოციურ ძალას.

ერთი შეხვედრით სურათი არ ჰგავს ჩვენს პირთ ათასობით ნანახ კინოფილმს ომის თემაზე. ამ ფილმში არ იმის დაუსრულებელი „გაშა“, ტანკებისა და თვითმფრინავების ყურის წამლები ღრიალი. თუ შეიძლება თითქმის ფილმი უტყვია, მასში ძალიან ცოტაა დილოგი, მაყურებელი მოქმედებაში ხედავს ყველაფერს. ხოლო რასაც ვერ ხედავს, მას თავად გაიაზრებს. უბრალო მაკალე: ჩვენი გმირები მიწურიდან გადაინაცვლებენ ველისის შენობაში. კედლებზე არის წარწერები: „სიკვდილი გერმანულ სხუ-პანტებს“, „ჩვენ ვერ დაგვიმონებთ“, „შური იძიეთ“ და ოც-აქ გერმანელთა სიკვდილის ბანაკი იყო, ამ ბანაკში იყო ივანე ბონდარევიც. მან აქ საკუთარი თვალთ დახა ომის მთელი საშინელება. იატაკზე ვლია ზარი, ის ზარი სკოლას გაკონებთ. კვლავ სიზმარი, ივანე რეკავს ზარს, მუსიკა და ზარის ხმა გაკრძნობინებთ, რომ იგი ნაბათია, — ბროლისაკენ, შურისძიებისაკენ მომწოდებელი. ამ საერთო ხმად ურში პატარა ივანე მაყურებლის წინაშე წარმოსდგება, როგორც დევგირი — ილია მოწმენდილი მსგავსი.

სიზმრებს ფილმში გარკვეული მისია აქვს. ისინი ყოველთვის მუნჯად მიმდინარეობენ. ხანდისხან მუსიკა გაილეება აქ-აქ და გინდა, რომ მან დიდხანს გასტანოს. გინდა, რომ ეკრანთან მშვიდობა და სიცოცხლე იტურბოდეს. ივანესთან ერთად „ილიძიქმს“ მაყურებელიც. და სინამდვილე წარმოსდგება, როგორც საშინელი კონტრასტი. ზარი კვლავ იატაკზე ვლია. ივანე კი თვალბებს ისრებს. კედლებიდან კვლავ გაღმობეკტერის განწირულ ადამიანთა მოწოდება „შური იძიეთ“...

„შური იძიეთ!“ — ეს ორი სიტყვა ისე ძალუმად არის გამჯდარი ივანეში, რომ იგი არაფრად ადგებს საფრთხეს. იცის, რამდენი განსაცდელი გააძახებდა მტრის ზურგში, ხოლო მტრის ზურგში რომ მიხვდებოდა, უნდა დაეღალაო მიეინარე. დატაობებული ტყე, ამ მანძილის ყოველ კუნძულში სიკვდილი ჩასაშობელი ამ ანაზრუნ სურათს აძლიერებს მიწარის ნაბირს ხეზე დაკიდებულ ორი საბჭოთა

მეომრის გვაში. მათ აქვთ წარწერა ცინიკური და დამამინებელი — „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. ეს წარწერა კარგი რეჟისორული მიგნებაა. წარწერა გვეუბნება, ვინც გაბედავს ამ ნაპირზე გადმოსვლას, ასეთივე ბედი მოელოს. ივანე და მისი მეგობრები არც ამას უშინდებიან ივანე გადღვას მტრის ზურგში. მტერი არ ჩანს. მხოლოდ მის ყოფნას გვაგრძობინებს ცაზე აკიაფებული შუშუნებები. შიში ისადგურებს მაყურებლის გულში. რა გრძელი და უღვიძარ ეს გზა მდინარესა და ქვაბზე რომ გადის.

ამ მრისხანე ფონზე თითქოს კონტრასტშია კაპიტან ხოლონისა და ტქემის თანაშემწე მამას გასურჩენება არყის ტყეში. ასეთი ტყე ძალზე ნაცნობაა მაყურებლისათვის. რომელიღაც რუსი მხატვრის სურათში გვიჩანავს ტანყარილი არყის ხეების ასეთი ხეივანი. ხეებზე აქა-იქ თოვლის ფთოლები შემორჩენილია. ბუნების ამ წიაღში არ იგრძობა ომის სუნთქვა. მხოლოდ სამხედრო ფორმა, რომელიც ამ ორ გმირს აცვია, გაგვახსენებს, რომ ომი საღდაფ ახლთა. ქალისა და ვაჟის ურთიერთობის ეს სცენა ერთობ რომანტიკულია, თითქოს მას არა აქვს კავშირი მოქმედების მთავარ ღერძთან. დაშორებულია მოქმედებას. მაგრამ ეს კადრი დასმუკაღვლია ადამიანობით. ეს ტყე დასველებს ბის პარკს გავგონებთ. თუ არა ომი, ეს ორი წყვილი კარგი მეგობრებიც და შობილებიც იქნებოდნენ. კაპიტანი ხოლონი (სახელი იგი ვერსიკოვი) ვაჟაკური, ტიპიური საბჭოთა ოფიცერია. იგი ძალზე ახალგაზრდაა. ისარგებლა ფრანტზე დროებითი სიწყინარით და, თუ შეიძლება ასე თქვას, ექთან იმამს (მსახობი ე. მალიაჟინა) „აკიტყუა“ ბუნების წიაღში გულში დაგუბებულ გრძნობათა გადმოსაფრქვევად. მერე რა არის აქ ისეთი: სიყვარული გაჩენილია სიკოცხლისათვის და არა ომისათვის. მამა სულ რაღაცნიმე სიტყვას წარმოიტყვას მთელი სურათის მანძილზე. იგი უწყინარი, ჩუმი გოგონაა, გრძნობთ, რომ მის ომმა სკოლასა თუ სამედიცინო სასწავლებელში მოუსწრო. ამ შავთვალა გოგონას არაფერი აქვს საერთო მომთან. მისი თვალები შეღალავებდ მინამის: მომეცით სიყვარულისა და მოქმედების თავისუფლება. სამხედრო ფორმა — ხომ ბევრ რამეს ავალებს ადამიანს. სამხედრო ფორმა — დისციპლინისა და მორჩილების სინონიმი. მამა ბავშვური მორჩილებით შეჰყურებს ხოლონს, რომელიც ცენტრულდება ქალიშვილს: „მამა, აბა, მოდი ჩემთან“.— და გოგონა მიდის მასთან და თავს მის მხარეზე დასდებს. კვლავ ისმის კაპიტანის ჩურჩული — „კარგი ახლა, წადი, წადი მამა, გეძისმ? მალე წადი, მალე“. და მამა მიდის. თითქოს ახლა გამოკრავა მაყურებელი, ახლა შენიშნა ხეივანში გათხრილი ახანარი. იგი ისე გამოიყურება, როგორც მომაკვინებული ჭრილობა ადამიანის სხეულზე. მაყურებელი სცილდება წუთიერი რომანტიკას და რეალობას უბრუნდება.

დაიხ, კარგი რეჟისორული ჩანაფიქრი კარგადაა ხორცილსხმული. როცა დამდგმელისა და ოპერატორის შემოქმედებითი სული ერთიმეორეს ეთხვევა, შედეგიც ასეთია. ფილმში არ არის ზოგადი, მიტმასნილი ადგილები, ცალკეული დეტალები თავისებური წარმოსახვა, კადრი-ოდნ კადრში გადასვლა ისე ბუნებრივად მიმდინარეობს,

რომ მაყურებელი გულს ფანქცალით ელოდება თბრობის მსვლელობას, ფილმის ავტორებმა შეგნებულად აუარეს გვერდი მასობრივ სცენებს, რომელიც ეგზომ დამახასიათებელია ომის თემაზე გადაღებულ სხვა ფილმებში. ავტორებმა მთელი ყურადღება მიმართეს მთავარსახე — ივანეს ფსიქოლოგიური განცდებისა და სულიერ სამყაროს წარმოსახვის რეალისტურ ფორმებში გადმოცემისაკენ. სცენაზე არ ჩანს ივანეს დაღუბა მაყურებელი არ ხედავს რა ვითარებაში დევდა პატარა გმირი. მაგრამ ფილმის ფინალი ბევრ რამეს გვეუბნება. რაისტკაის შენიშნა ამ შემთხვევაში გამოყენილია, როგორც ბუდე და წარმომშობი ყოველი ბოროტებისა. მილიონობით ადამიანის ხოცვა-ჟლეტის გეგმები აქედან მოედინებოდა. აქ ივანეს უფროსი ამხანაგები პოლუბოდე პირად საქმეს ივანეს ფოტოსურათით: საქმეს აწერია: „დახვრტლილი“.

წუთიერი დუმილი დისაღვურებს დარბაზში. მაყურებელს არ უნდა დაეკეროს ივანეს სიკვდილი... ეგრანზე კვლავ ისახება ზღვხელის მიმზღველი დღე. ტანყარილი, შეფოთლილი ხეები, ზღვის უსაზღვრო სივრცე და ბუნების ამ შვენიერ ფონზე კვლავ ხედავთ ივანეს, რომელიც დარბაზის, იცინის, ტყბება სიყოცხლითა და მშვიდობიანი ცნის ცქერით. ეს სიხმარია როდია, ეს ფილმის ლოკაციური დამთავრება. ასეთი უნდა ყოფილიყო ივანეს ბავშვობა.

იქნება ასეთი ბავშვობაზე ოცნებობდა ივანე სიკვდილის წინ? დიახ, გვეუბნება ფილმი. ასეთი ბედნიერი უნდა იყოს ყველას ბავშვობა. დაე, ომი ისტორიის ყველაზე საზოადარ მოკონებად დარჩეს: დაე, არ განმეორდეს წარსული ომის საშინელება! და მშვიდობისა და განიარაღების მოსკოვის მსოფლიო კონგრესმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი ხალხის ამ მოთხოვნასა და სურვილს.

ძირს ომი! ასეთი შთაბეჭდილებით გამოიხიარ კინო-თეატრიდან.

ეს წერილი აწყობილი იყო, როდესაც მოვიდა ცნობა: წელს ენეციაში, საერთაშორისო კინოფესტივალზე საბჭოთა ფილმის „ივანეს ბავშვობა“ აღინიშნა მთავარი პრიზით. ენეციის უსუტესი კინოფესტივალის „ოქროს ლომი“ ამ შესანიშნავი სურათისათვის დამსახურებული ჯილდოა.

კადრი ფილმიდან „ივანეს ბავშვობა“





წელს ლომონოსოვი არჩეულ იქნა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის წევრად. მან შეადგინა რუსული ეროვნული სამხატვრო კულტურის განვითარების პროგრამა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეროვნული ისტორიის ასახვას. თავის სტატიაში „იდეები ფერწერითი სურათებისათვის რუსეთის ისტორიიდან“, მან წარმოადგინა ისტორიული სიუჟეტების სანიმუშო სია.

ლომონოსოვი დიდად უყვებოდა ხელს რუსი მხატვრების აღზრდასა და დაწინაურებას (ისევე, როგორც მშობლიური სამეცნიერო კადრებისა).

დიდად ლომონოსოვის დამსახურება სახეთი ხელოვნებაში, კერძოდ მხატვრული მოზაიკის დარგში და ამ მხრივ რუსულ მონუმენტურ მხატვრობაში. ლომონოსოვმა ადადგინა რუსეთში XII საუკუნიდან მივიწყებული მოზაიკის ხელოვნება. როგორც ჭიმოქოსი, იგი იკვლევდა მოზაიკური მიწების შეფერადების ტექნიკას. ამასთან დაკავშირებით, მან ჩაატარა 3000-ზე მეტი ცდა, რასაც თითქმის სამი წელიწადი მოანდომა. ამ ცდების წარმატებით დამოაგრების შემდეგ დედოფალ ელისაბედს მან მიუძღვნა პირველი მოზაიკური პანი, რომელიც 4.000-ზე მეტი ფერადი მიწის ნაჭრისაგან შედგებოდა.

ლომონოსოვი ცდილობდა ფერადი მიწების ფაბრიკისა და მოზაიკების ქარხნის დაარსებას. 1753 წელს მას გამოუყვეს მიწის ნაკვეთი და 212 მუშა ფაბრიკის მოწყობისათვის. ეს საქმე ბევრ დროსა და სახარებას ართმევდა ლომონოსოვს. გამოიგონა დაზეგები, არჩედა ხელსაწყოებს, ასწავლიდა მუშებს. 1755 წ. ქარხანა მზად იყო და ექსპლუატაციაში შევიდა, როგორც უსტრუდცივის ქარხანა. ლომონოსოვი სიცოცხლის უკანასკნელ დღემამდე ზრუნავდა ამ ქარხნისთვის. საჭირო ხდებოდა ვალების აღება, მაგრამ მუშაობა მაინც არ შეწყვეტილა. მხატვრულ ნაკეთობათა ეს ქარხანა დღემდე არსებობს და მან სახელი გაითქვა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

ლომონოსოვის მოზაიკებში მკაფიოდ ჩანს შესანიშნავი მხატვრული ნიჭი. მოზაიკის დარგში გამოკვლევებისათვის იგი არჩეულ იქნა ბოლთონის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მის მოზაიკებს შორის საუკეთესოა პეტრე პირველის პორტრეტი (შესრულებული 1754 წ. ინახება ლენინგრადში, სახელმწიფო ერბიტაკში). ლომონოსოვის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებული იქნა 40-მდე მოზაიკა, რომელთაგან შემორჩენილია 23. მისი მოზაიკები ხასიათდება მონუმენტურობით, ფერების ძალით და მკაფიოდ, ლაკონურ გამომხატველობით. ლომონოსოვის ჩაფიქრებული ჰქონდა პეტერბურგის ცნობილი პეტრე-პავლეს ტაძრის შიდა კედლებისთვის თორმეტი მონუმენტური კომპოზიცია. ამათგან, 1762-64 წლებში მისი ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა განადიოშული პანი „პოლტავის ლაშქრობა“.

ლომონოსოვი ცნობილია როგორც პოეტიც, მისი ოდები გამოირჩეოდნენ მრავალთემიანობით და პატრიოტული სულისკვეთებით. იგი ადიდებდა თავის ხალხსა და ბუნებას, ადამიანს, შრომას, მეცნიერებას და გონიერებას. ლომონოსოვის დრამატულ ნაწარმოებებშიც აქვს. მისი ტრაგედია „ოამირი და ელსიმი“ იმით არის საყურადღებო, რომ ამ თხზულებაში იგი იბრძვის მტაცებლური ომების წინააღმდეგ, გამოდის, როგორც ხალხთა შორის მშვიდობის მტყადაგებელი.

ლომონოსოვი

და

ხელოვნება

გიორგი ჩიტაია




ინგილ ვასილის-ძე ლომონოსოვი რომლის დაბადებიდან ახლახან 250 წელი აღინიშნა, ახლაც გვანცვიფრებს შემოქმედებისა და მოღვაწეობის მრავალმხრივობით (დაიბადა 1711 წელს, 19 ნოემბერს ჩრდილოეთ ზღვისპირეთში, არხანგელსკის გუბერნიის სოფელ მიზნინსკოში). იგი გვხვბილავს ნათელი იდეებით და ძლიერი გონებით, კოლოსალური ენერჯით და ღრმა პატრიოტიზმით, დიდი ნებისყოფითა და მაღალი კეთილშობილებით.

მ. ლომონოსოვი თავადღებით იბრძოდა მშობლიური რუსული მეცნიერების აყვავებისათვის, იბრძოდა პეტერბურგის აკადემიაში მოღვაწე გერმანელ სწავლულთა რუტინის წინააღმდეგ, რუს მეცნიერთა აღზრდისათვის, მოსკოვის უნივერსიტეტის შექმნისათვის (რომელიც მისი ინიციატივითა და პროექტით დაარსდა 1755 წელს), ცდილობდა მეცნიერების მიღწევების დანერგვას ცხოვრებაში და მშობლიური ბუნების წიაღის სიმდიდრეების ათვისებას. ცნობილია მისი შრომები ქიმიასა და ფიზიკაში, ასტრონომიასა და გეოლოგიაში, ისტორიასა და გეოგრაფიაში.



გ. გამსახურდია

სეესურთა ღრეობა



პეანას ერთ-ერთი კუბო

ლის მხარედ აქცია და მის საინტერესო ისტორიას ფართო გზა გაუფარა ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ამჟამად საქართველოში 5 ათასი სკოლა, მეცნიერებათა ორი აკადემია და 50-ზე მეტი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტია. ყოველი 1000 ქართველიდან 38 უმაღლესი განათლებულია, ეს ციფრი აღემატება დასავლეთ ევროპის ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მაჩვენებლებს. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების — რუსების, უკრაინელების და სხვათა მეგობრობა შეადგენს ქვეყნის სიმდიდრეს.

15 მომზე რესპუბლიკის ომანიანი ხმა ადსტრუბებს, თუ როგორი სიმტკიცით მიაბიჯებს წინ მრავალეროვანი ქვეყანა. ჩამორჩენილი ქვეყანა გადაიქცა ინდუსტრიულ, აგრარულ და სამთაბანო ქვეყნად. ჩვენ გვაქვს ლოკომოტივმშენებელი, ავტომანქანების წარმოებელი, ქიმიური ინდუსტრია. იმეტა ახალი ეკონომიური ცხოვრების მაჯისცემამ. საქართველოს ინდუსტრიული ნაწარმი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება კავშირში. აქედან სასულვარგარეთ გააქვთ ღვინო, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, დასუგები და მანქანები. ჩვენს მინდვრებსა და ბარქიან მიწაზე შესანიშნავად ხარობს ყველა სუბტროპიკული პროდუქტი, გარდა ბანანისა. (ეკვადორის უხესილესი კომპანიები, რომლებიც ამუშავებენ ბანანის პლანტაციებს, ცდილობენ ფასების აწევას ჩვენს ბაზრებზე. ისინი ფუჭად ყრან ზღვაში იმ პროდუქტებს, რომელთა გატანაც შეუძლებელია სასულვარგარეთ. ჩვენ ვფიქრობთ იმ სარგებლობაზე, რომლის მოცემა შეუძლო კომერციულ გაცვლა-გამოცვლას სოციალისტურ ქვეყნებთან. მათ შეუძლიათ შექმნან მანქანათმშენებელი ინდუსტრიის მუდმივი ბაზარი, რომელიც ხელს შეუწყობდა ჩვენი, ეკვადორის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას).

— საქართველო თავისი მინდვრების დასამუშავებლად იყენებს მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მან მიაღწია იმას, რომ მისი მევენახეობის ნაწარმს ისევე, როგორც საფრანგეთისას, აქვს მაღალი ხარისხი. მისი ღვინოები, კონიაკი და მამხანური წარმატებას იმსახურებენ საერთაშორისო გამოფენაზე. მრავალენობის საბადოები, რომლებსაც მეფის რუსეთის დროს ინტელისტები ფლობდნენ, ამჟამად იძლევიან ხარისხითა და რაოდენობით მსოფლიოში საუკეთესო მინერალებს. ქვანახშირი საესებით აკმაყოფილებს შინაგან (საკუთარ) მოთხოვნებს და გაგვაქვს კიდევაც. საქართველოს ენერგეტიკული რესურსები,

აურაცხელია. აქ ყველაფერი იმისათვის კეთდება, რომ ხალხის ცხოვრება იყოს უფრო ლამაზი და მდიდარი, უფრო პარნიონული და ნათელი.

ბუნებრივი პრივილეგიებით დაჯილდოებული ქვეყანა მუშათა კლასის ხელში გადაიქცა წარმატებულ ბაღნარად, რომლის სანატორიუმები და ბალნეოლოგიური კურორტები მაგნიტებით იზიდავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებსა და უსოილ ტურისტებს.

კითხვაზე, როგორია მათი დამოკიდებულება ამ ხანგრძლივ მოგზაურობაზე სხვადასხვა ქვეყნებში, გ. სისხარულიძემ ცოცხლად უპასუხა:

— ჩვენი მოგზაურობა მიზნად ისახავს ამ ქვეყნის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, ეს არის გულითადად გვგმა, რომელიც ჩვენ მიგვაქვს ყველა ქვეყანაში. ამიტომ, რომ ყველგან, სადაც ჩვენ ვივლით, სიმშაითურად და კეთილგანწყობილად გვეპაობოდნენ.

— რა შთაბეჭდილებას ხართ, ჩვენს ქვეყანაზე?

— კარგია ეკვადორის ხალხი. ესარგებლობთ შემოხვევით, გულითად სალამს გადაცემით მას და უსურვებთ დიდ, ნამდვილ ბედნიერებას. ჩვენ ძალზე მოგვიწონს გუაიკილი, მაგრამ ვისურვებთ მეტ სისუფთავს აქ, რადგან იგი ეკვადორის მთავარი ნავსადგურია. მავალითად, ჩვენს ქვეყანაში ასეთივე პორტი — ბათუმი ვაქციეთ ნამდვილ ბოტანიკურ ბაღად. ჩვენ ვალამაზებთ ჩვენს ქალაქს და ვჭმით აუცილებელ სანიტარულ პირობებს. სისუფთავე ჯანმრთელობისა და ბედნიერების საწინდარია.

